დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ - ქალაქ თბილისის №136 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ლიანა კობესაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი);

წევრები:

ლანა ყურაშვილი - (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი);
ირმა ავალიანი - (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);
ნანა მარღანია - (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);
თაია მამარდაშვილი - (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი);
დავით კიკაბიძე - (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი);
ნინო მარღიშვილი - (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი);
თამარ ოძელაშვილი - (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი);
ჯულიეტა ტაბეშაძე - (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი);
ქეთევანი ბორაშვილი - (სპორტის საგნობრივი ექსპერტი);
ქეთევან ცირეკიძე - (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი).

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - ქალაქ თბილისის №136 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	209472729

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	თბილისი
იურიდიული მისამართი	ქალაქი თბილისი. ფორე მოსულიშვილის ქუჩა N18 (გლდანი „ა“ მ/რ)
ფაქტობრივი მისამართი	ქალაქი თბილისი. ფორე მოსულიშვილის ქუჩა N18 (გლდანი „ა“ მ/რ)
საფოსტო ინდექსი	**0178**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi.emis.ge/
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Tbilisi136@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	0322652980

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ბრძანება MES 5 23 0001021902 (22/08/2023წ)
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	24, 25 ოქტომბერი, 2023 წ.

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1.	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	ქალაქი თბილისი. ფორე მოსულიშვილის ქუჩა N18[1] (გლდანი „ა“ მ/რ)
2.	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	ქალაქი თბილისი. ფორე მოსულიშვილის ქუჩა N18[1] (გლდანი „ა“ მ/რ)
3.	ზოგადი განათლების საშუალო საფეეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	ქალაქი თბილისი. ფორე მოსულიშვილის ქუჩა N18[1] (გლდანი „ა“ მ/რ)

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

[1] საჯარო რეესტრის განახლებული ამონაწერით შეცვლილია სკოლის მისამართი. ახალ მისამართად მითითებულია თბილისი ფორე მოსულიშვილის ქუჩა N18 . სკოლის მიერ წარმოდგნილ თვითშეფასებაში და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №448 - ში სკოლის მისამართია გლდანი „ა“ მ/რ.

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ მე-5 მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების განხორციელების მიზნით ექსპერტთა ჯგუფი სსიპ - ქალაქ თბილისის N136 საჯარო სკოლაში იმყოფებოდა 2023 წლის 24 და 25 ოქტომბერს. ჯგუფმა ვიზიტის ფარგლებში შეამოწმა სკოლის მიერ შემუშავებული სკოლის ფილოსოფია (შემუშავების, გაზიარების, გასაჯაროების და მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები), განსახორციელებელი ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები **ქართულ სექტორზე,** სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერისა და მოსწავლეთა მხარდაჭერის მიმართულებით სკოლის მიერ დაგეგმილი საქმიანობა. დაათვალიერა კურიკულუმთან მიმართებაში დაწესებულების სასწავლო გარემო, საგანმანათლებლო და მატერიალური რესურსები, შეამოწმა სკოლის ბიბლიოთეკა და ლაბორატორიები. გაესაუბრა სკოლის წარმომადგენლებს: ადმინისტრაციას, მასწავლებლებს (კათედრების მიხედვით), დამრიგებლებს.

სსიპ ქალაქ თბილისის N136 საჯარო სკოლა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანების მე-9 დანართის მიხედვით, ორსექტორიანია (ქართულ-რუსული) და სწავლების ენაც არის ქართულ-რუსული. ვიზიტის პერიოდში ექსპერტების მიერ გადამოწმებული იქნა მხოლოდ ქართული სექტორისთვის შემუშავებული პროგრამები, ვინაიდან დაწესებულებას თვითშეფასების ფორმაში ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ენად მითითებული ჰქონდა მხოლოდ ქართული ენა. სკოლის დირექციის განმარტებით რუსული სექტორი ფუნქციონირებდა მილევად რეჟიმში და 2022-2023 სასწავლო წელს დაასრულა სწავლა რუსული სექტორის უკანასკნლმა მე-12 კლასმა. სკოლას ვებგვერდზე უფიქსირდება 2 სექტორი, თუმცა პირველკლასელთა ლიმიტი მხოლოდ ქართულ სექტორზე აქვს მითითებული.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე მომზადდა შესაბამისი დასკვნის პროექტი. ექსპერტების მიერ, წარმოების ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტების ანალიზისა და ინტერვიუების შედეგად დანახული მიგნებები გაცნობილი იქნა დაწესებულების წარმომადგენლებისთვის ვიზიტის დასასრულს.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2	☒ შეესაბამება

მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: **1150**	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	*აღწერა* *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ შესაბამისად შეაფასა სამივე საფეხურის, დაწყებითი, საბაზო, საშუალო, ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები.

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*

ინდიკატორი		.....
სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი 4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	ხარვზი

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*ხარვეზი*
ინდიკატორი		.....

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[2]

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაც*
ინდიკატორი		.....
სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
ინდიკატორი	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას.	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის უზრუნველყოფის

2 გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

N3.1.2.4.		გეგმით განსაზღვრულ ვადაში პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტში სრულად ასახოს სკოლაში დასაქმებული (საშტატო განრიგით გათვალისწინებული) პირების საკვალიფიკაციო მოთხოვნები.
ინდიკატორი N3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას.	სკოლას მიეცა რეკომენდაცია: ა.შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში უზრუნველყოს სკოლის ტერიტორიის დაცვა უცხო პირთა უნებართვო გადაადგილებისაგან. ბ. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში მოიპოვოს სკოლის შენობა - ნაგებობების სახანძო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობი დასკვნა
ინდიკატორი N3.5.1.3.	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლ ინკლუზიურ გარემოს	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს სკოლის ინკლუზიური გარემოს მოწყობა
სტანდარტი 4	*მოსწავლეთა მხარდაჭერა*	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაც*

სტანდარტი 2	*სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)*	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაც*

ინდიკატორი		.....

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი 1	**სკოლის ფილოსოფია**	*რჩევა*
ინდიკატორი N1.1.1.1.	სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს	სკოლას მიეცა რჩევა ხედვა განსაზღვროს უფრო გრძელვადიან პერსპექტივაში და გახადოს ამბიციური.
სტანდარტი 3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	*რჩევა*
ინდიკატორი N3.1.2.2	სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა	სკოლას მიეცა რჩევა შეიმუშაოს პრევენციული და ინტერვნციული მართვ დოკუმენტი
ინდიკატორი N3.3.1.2	იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთ დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები.	სკოლას მიეცა რჩევა მოახდინოს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესების იდენტიფიცირება და აღწერა ცალკე

		დოკუმენტად.
ინდიკატორი N3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას.	სკოლას მიეცა რჩევა ა.დაასაქმოს კანონმდებლობის შესაბამისი შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. ბ..უზრუნველყოს სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 06.11.2023 წლის კორესპონდენციის N5007022223 თანადართული დასკვნის N007784523 კვლევით ნაწილში განხილული საკითხებზე დაუყოვნებლივი რეაგირება.
ინდიკატორი N3.4.1.5	სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას	სკოლამ პერსონალთან გაფორმებულ ყველა ხელშეკრულებაში გაითვალისწინო პერსონალური მონაცემების დამუშავება, გამოყენება და გავრცელებაზე შესაბამისი თანხმობის მოპოვება.
ინდიკატორი N3.5.1.5.	სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).	სკოლას მიეცა რჩევა ლაბორატორიაში ა.თვალსაჩინო ადგილას გამოაკრას ლაბორატორიაში უსაფრთხოდ მუშაობის წესები და ლაბორატორიის დატვირთვის განრიგი. ბ. დაამონტაჟოს გამწოვი კარადა,

	ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.	გ.აგრესიული მჟავები შეინახოს სეიფში. დ.შეიძინოს ლაბორატორიაში ჯგუფური მუშაობისათვის საკმარისი ეკიპირება. ე.მოიმარაგოს სააფთიაქო საშუალებები პირველადი დახმარებისათვის ვ.უზრუნველყოს სადემონსტრაციო მაგიდი ზედაპირის შეცვლა მჟავების და ტემპერატურის მიმართ მდგრადი ინერტული მასალით ზ. მოაწყოს ქიმიური ჭურჭლის საშრობი კედელი.
სტანდარტი 4	*მოსწავლეთა მხარდაჭერა*	*რჩევა*
ინდიკატორი N4.1.1.2	მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან	რჩევა: სკოლამ გასაჩივრების მექანიზმი გაასაჯაროვოს სკოლის ვებ-გვერდზე.
ინდიკატორი N4.1.2.3	სკოლის მიერ განსაზღვრულ მომსახურების სახეების, პირობები პროგრამების და მათი სპეციფიკი მომსახურებისათვის დადგენილ საფასურების (არსებობის შემთხვევაში სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლ	სკოლას მიეცა რჩევა სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეები, პირობები, პროგრამები, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურები (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლ

	მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაც საჯაროდაა ხელმისაწვდომი	მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია განათავსოს ვებგვერდზე.
ინდიკატორი		

სტანდარტი 2	*დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი*	*რჩევა*
კომპონენტი 2.1.	კურიკულუმის შემუშავება	რჩევა:.სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცებისას გაითვალისწინოს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ვადები.
ინდიკატორი N2.1.1.1.	კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას	სასურველია, კათედრის ოქმში/ ანგარიშში/სამოქმედო გეგმაში აისახოს დაწყებითი საფეხურის (ოთხწლედის ბუნებისმეტყველების მასწავლებელთა) გადაწყვეტილება სადიაგნოსტიკო შეფასების შესახებ, ასევე კლუბ ''მზესუმზირების წესდებაში აისახოს დაწყებითი საფეხურის მოსწავლეთა შესაძლებლობა კლუბის წევრობის შესახებ, მით უფრო, რომ აქტივობებში მონაწილეობას იღებენ დაწყებითი კლასების მოსწავლეებიც.
ინდიკატორი N2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	სკოლას მიეცა რჩევა ა.ტექნოლოგიებში მოხდეს ყველა კლასის კურიკულუმში ყველა სამიზნე ცნების დამუშავება და საგნის კურიკულუმში ასახვა. ბ.ბუნებისმტყველებაში კურიკულუმის განვითარების მიზნით შეირჩეს

		კონტექსტ-მაგალითი მე-5 კლასში მოცემული საკითხისთვის ‘’მზის სისტემა’’, მე-6 კლასის კურიკულუმის განვითარების მიზნით ჩამოყალიბდეს შუალედური მიზანი თემებისთვისთვის ‘’ენერგია და მისი გარდაქმნა’’ და ‘’ ადამიანის სხეული და ჯანმრთელობა’’, თემის ფარგლებში შერჩეულ საკითხებზე შესაბამისად შეიქმნას განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. გ.მათემატიკაში დაემატოს მე-3 - მე-6 კლასში ელ. რესურსებს, Geogebra, Mathigon, WolframAplha-ს პლატფორმებიდან. დ.სახვითი ხელოვნების დაწყებითი საფეხურის I-IV კლასის კურიკულუმებში თემატური ბლოკები სადაც არ არის დამუშავებული ოთხივე სამიზნე ცნება სასურველია ჩასწორდეს იმდაგვარად, რომ თემატური ბლოკის ფარგლებში დამუშავდეს სტანდარტით გათვალისწინებული ოთხივე სამიზნე ცნება
2.1.2.4	განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;	სკოლას მიეცა რჩევა, მე-2 და მე-4 კლასების კურიკულუმში (ქართული ენა) შემაჯამებელი განმავითარებელი შეფასების რუბრიკა (კომპლექსურ დავალებაზე დაფუძნებული) შეივსოს სრულად, ხოლო მე-3, მე-5 და მე-6

		კლასების კურიკულუმში ჩაშენდეს კომპლექსური დავალების პირობა, რომელსაც თან ერთვის სრულად შევსებული შემაჯამებელი განმავითარებელი შეფასების რუბრიკა (კომპლექსურ დავალებაზე დაფუძნებული).
2.2.1.3.	**სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე.**	ბუნებისმეტყვლებაში, რომ სასურველია, შეიქმნას განმავითარებელი შეფასების ისეთი ტიპის რუბრიკები, რომელიც ხელს შეუწყობს კათედრის მიერ შერჩეული სადიაგნოსტიკო შეფასებების მესამე ინსტრუმენტის ეფექტურად გამოყენებას.
2.2.2.3	შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე	სკოლის ბუნებისმეტყველბის კათედრას მიეცა რჩევა - სასურველია, კათედრის მიერ გამოვლენილი სუსტი მხარეები გაანალიზდეს ერთობლივად, გადავიდეს კათედრის სამოქმედო გეგმაში და თითოეული პუნქტის გაუმჯობესების/აღმოფხვრის მიზნით მიზნით დაიგეგმოს შესაბამისი

		აქტივობები.
2.3.1.4.	მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.	სპორტის პედაგოგებმა სამომავლოდ დაწყებით საფეხურზე შეიმუშაონ სადიაგნოსტიკო კვლევის გეგმა და ანალიზი შეადგინონ საჭიროების მიხედვით მიზნის მისაღწევად.
2.3.2.1	შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს	სკოლას მიეცა რჩევა - ბუნებისმეტყველება განმავითარებელი შეფასების სრულყოფისათვის სასურველია უფრო ხშირად იყოს გამოყენებული იყოს სხვადასხვა ტექნიკები, რომელიც ეფექტიანია დაწყებით საფეხურზე, ასევე კითხვარები, რომელიც მეტწილად ასახავს მოსწავლის გამოცდილებას, მიღწევებს, პრობლემებს, სოციალურ ან ემოციურ მდგომარეობას როგორც ფორმალურ, ასევე არაფორმალურ გარემოში დაკვირვებას, თვითშეფასებას, დაკვირვების დღიურის წარმოებას და სხვა.
ინდიკატორი	შეფასებისას გამოყენებულია	უცხოური ენების კათედრას მიეცა

N2.3.2.3	მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები	რჩევა სკოლის საერთო სტრატეგიის შესაბამისად მათაც შეფასებისას გამოიყენონ მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები; (მაგ. ანკეტირება, გამოკითხვა, ინტერვიუ, მეორად მონაცემთა ანალიზი, თვისებრივი და რაოდენობრივი დაკვირვება, ტესტირება, სამოქმედო კვლევა და ა.შ). უცხოური ენების კათედრას მიეცა რჩევა სკოლის საერთო სტრატეგიის შესაბამისად მათაც შეფასებისას გამოიყენონ მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები; (მაგ. ანკეტირება, გამოკითხვა, ინტერვიუ, მეორად მონაცემთა ანალიზი, თვისებრივი და რაოდენობრივი დაკვირვება, ტესტირება, სამოქმედო კვლევა და ა.შ).
სტანდარტი 2	**საბაზო საფეხურის კურიკულუმი**	*რჩევა*
კომპონენტი 2.1.	კურიკულუმის შემუშავება	რჩევა: სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცებისას გაითვალისწინოს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ვადები.

ინდიკატორი N 2.1.1.1	კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;	რჩევა: ბუნებისმეტყველება - სასურველია, კლუბის ხელმძღვანელმა მასწავლებელმა კლუბების ფუნქციონირებისათვის და მოსწავლეთა დაინტერესების მიზნით შეთავაზებული ინიციატივებიდან რომელიმე აქტივობა პრაქტიკულად შესთავაზოს.
ინდიკატორი N2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	მათემატიკა - მე-7 კლასში სწავლება სასურველია წარიმართოს საკითხთა იმ თანმიმდევრობით, როგორც ეს კურიკულუმშია გაწერილი. თუ ცვლილებები შეიტანეს თანმიმდევრობაში, მაშინ უნდა ასახონ ეს ცვლილება კურიკულუმშიც. სასწავლო პროცესი სასურველია თანხვედრაში იყოს დამტკიცებულ, კათედრის მიერ ერთად შემუშავებულ კურიკულუმებთან. ასევე კარგი იქნება, თუ დაამატებენ ყველა კლასში ელ. რესურსებს, Geogebra, Mathigon, WolframAplha-ს და ა.შ. პლატფორმებიდან. ეს რესურსები უფასოა და მარტივად გამოსაყენებელი. ბუნებისმეტყველება - მე-8 ქიმიის კურიკულუმის განვითარების მიზნით სასურველია განისაზღვროს მკაფიოდ კომპლექსური დავალების პირობაში მოცემული პრობლემა, შეფასების კრიტერიუმები შერჩეული კომლექსური დავალებისათვის, მაგალითები შედარებისათვის დაკონკრეტდეს, ტექნიკურად გასწორდეს დოკუმენტის ორიენტაცია - მიეცეს landscape ფორმა. მე-9 კლასის ქიმიის კურიკულუმში

		გამოიკვეთოს კომპლექსური დავალების სრული პირობა, რესურსები შეივსოს, მათ შორის სასურველია, წარმოდგენული იყოს ელექტრონული რესურსებიც. ბიოლოგიის მ-7, მე-8, მე-9 კლასის კურიკულუმებში განვითარების მიზნით მიეთითოს შერჩეული კომპლექსური დავალების იდეის მიხედვით სრული პირობა. ორიგინალური სასკოლო კურიკულუმის შექმნის მიზნით, ყველა კურიკულუმში სჯობს, აისახოს სკოლის ბაზაზე არსებული მატერიალური რესურსებიც. ესთეტიკა - VIII და IX კლასის მუსიკის კურიკულუმებში პირველი თემების ,,ხილული და უხილავი'' და ,,მითი და რეალობა მუსიკაში'' ფარგლებში ამ ეტაპზე სასურვლია დატოვოთ ორი კომპლექსური დავალება,შესაბამისად ორი საკითხი (მერვე კლასის შემთხვევაში შესაძლებელია საკითხთა კლასტერის გაკეთებაც), რადგან მერვე კლასში მუსიკაში პირველ სემესტრში საათების რაოდენობა არის კვირაში 1 საათი, ხოლო მეცხრეში 2, ჩემი ვარაუდით ვერ მოესწრება თქვენს მიერ მითითებული ოთხი კომპლექსური დავალების სრულყოფილად განხორციელება.
ინდიკატორი N 2.1.2.3	სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;	საბუნებიმტყვლო მეცნიერებები-ყოველწლიურად განხორციელდეს ლაბორატორიაში არსებული ყვლა სასწავლო

		ერთეულის (მათ შორის პოსტერების, ან მოსწავლის/მასწალებლის მიერ შექმნილი სასწავლო რესურსის) ინვენტარიზაცია, გაეკრას თვალსაჩინო ადგილას ლაბოატორიაში უსაფრთხოს მუშაობის წესები, შედგეს წინსაწრი შეთანხმების საფუძველზე ლაბორატორიის დატვირთვის განრიგი, აგრესიული მჟავბი გადავიდეს სეიფში ან კარგად დაცულ/დაკეტილ საცავში ან სათავსოში, ცდების უსაფრთხოდ ჩატარებისთვის უნდა დაკომპლექტდეს ეკიპირება დამცვი სათვალეების და ხალათების (მინიმუმ 4) სახით, მომზადდეს პირველადი სამედიცინო დახმარებისთვის სააფთიაქო ყუთი, სადემონსტრაციო მაგიდა დაიფაროს სრულად ან ნაწიობრივ ფოლგით ან ბუნებრივი ქვის ფილებით, აალების შემთხვევაში წინასწარ მომზადდეს ქვიშა/ცეცხლმაქრი ან აალების საწინააღმდეგო ნაჭერი, მოეწყოს ქიმიური ჭურჭლის საშრობი კედელი ან კუთხე.
ინდიკატორი 2.1.2.4	განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს	ქართული ენა და ლიტერატურა - სკოლას მიეცა რჩევა, საბაზო საფეხურის სხვა კლასების მიერ წარმოდგენილი შეფასების ნიმუშების მიხედვით შექმნას მე-9 კლასის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.
ინდიკატორი N2.1.2.2	კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);	რჩევა - სასურველია კათედრამ მოსწავლეებს შესთავაზოს უფრო მრავალფეროვანი მეთოდები და აქტივობები გლობალურ ფუნქციური

		უნარების განვითარების მიზნით.
ინდიკატორი N2.2.1.1	სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;	მათემატიკა - სასურველია, სასწავლო პროცესში გამოყენებული ელ-რესურსების შესახებ ინფორმაცია სრულად ასახონ კურიკულუმში რესურსების ველში.
ინდიკატორი N2.2.1.3	სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;	საბუნებისმეტყველო - სასურველია, შეიქმნას განმავითარებელი შეფასების ისეთი ტიპის რუბრიკები, რომელიც ხელს შეუწყობს კათედრის მიერ შერჩეული სადიაგნოსტიკო შეფასებების მესამე ინსტრუმენტის ეფექტურად გამოყენებას.
ინდიკატორი N2.2.2.3	შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;	საბუნებისმეტყველო - სასურველია, კათედრის მიერ გამოვლენილი სუსტი მხარეები გაანალიზდეს ერთობლივად, გადავიდეს კათედრის სამოქმედო გეგმაში და თითოეული პუნქტის გაუმჯობესების/აღმოფხვრის მიზნით მიზნით დაიგეგმოს შესაბამისი აქტივობები.
ინდიკატორი N 2.3.1.3	მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.	სპორტის პედაგოგებმა სამომავლოდ საბაზო საფეხურზე შეიმუშაონ სადიაგნოსტიკო კვლევის გეგმა და ანალიზი შეადგინონ საჭიროების მიხედვით მიზნის მისაღწევად.
ინდიკატორი N2.4.1.1	იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;	საბუნებიმესტყველო მეცნირებები - სასურველი იქნებოდა მასწავლებლის, დამრიგებლის, კათედრის ხელმძღვანელის, ხარისხის ჯგუფის წევრის ანგარიშებში კონკრეტული კითხვების შეტანა (მაგ: ·რა გამოცდილება დამიგროვდა სასწავლო წლის მანძილზე? როგორ გამოვიყენო ეს გამოცდილება სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისათვის? კურიკულუმის გასავითარებლად? საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის გასაუმჯობესებლად? რა უნდა

		გავითვალისწინო ახალი წლის დაგეგმვისას: ადმინისტრაციის,კათედრის, კოლეგის, მოსწავლის, მშობლის დონეზე? როგორ გავაზიარო პასუხისმგებლობა ამ გამოცდილების გათვალისწინებაზე სასკოლო საზოგადოებაში? რამდენად დამეხმარა/დავეხმარე კოლეგის უკუკავშირი? და სხვა). აღნიშნულ კითხვებზე პასუხი შექმნიდა კურიკულუმის მხარდამჭერ საჭიროებათა პაკეტს, რომელიც გაზიარდებოდა სასკოლო საზოგადოებაში, შექმნიდა ერთგვარ გზამკვლევს.
სტანდარტი 2	**საშუალო საფეხურის კურიკულუმი**	*რჩევა*
კომპონენტი 2.1.	კურიკულუმის შემუშავება	რჩევა: .სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცებისას გაითვალისწინოს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ვადები.
ინდიკატორი N2.1.1.1	კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;	.საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - სასურველია, კურატორმა/კლუბის ხელმძღვანელმა მასწავლებელმა კლუბების ფუნქციონირებისათვის და მოსწავლეთა დაინტერესების მიზნით შეთავაზებული ინიციატივებიდან რომელიმე აქტივობა პრაქტიკულად შესთავაზოს.
ინდიკატორი N2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - მე-10 და მე-11 კლასების ქიმიისა და ბიოლოგიის კურიკულუმის ჩარჩოებში გამოიკვეთოს შერჩეული კომპლექსური

		დავალების სრული პირობა.
ინდიკატორი N 2.1.2.2	კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები)	საბუნებისმეტყველო - სასურველია, ბიოლოგიის და ქიმიის საშუალო საფეხურის კურიკულუმებში ნათლად აისახოს კვლევითი კომპონენტი, რაც უკავშირდება შერჩეულ შუალედურ მიზნებს.
ინდიკატორი N2.1.2.3	სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;	საბუნებისმეტყველო მცნიერებები - ყოველწლიურად განხორციელდეს ლაბორატორიაში არსებული ყვლა სასწავლო ერთეულის (მათ შორის პოსტერების, ან მოსწავლის/მასწალებლის მიერ შექმნილი სასწავლო რესურსის) ინვენტარიზაცია, გაეკრას თვალსაჩინო ადგილას ლაბოატორიაში უსაფრთხოს მუშაობის წესები, შედგეს წინსაწრი შეთანხმების საფუძველზე ლაბორატორიის დატვირთვის განრიგი, აგრესიული მჟავბი გადავიდეს სეიფში ან კარგად დაცულ/დაკეტილ საცავში ან სათავსოში, ცდების უსაფრთხოდ ჩატარებისთვის უნდა დაკომპლექტდეს ეკიპირება დამცვი სათვალეების და ხალათების (მინიმუმ 4) სახით, მომზადდეს პირველადი სამედიცინო დახმარებისთვის სააფთიაქო ყუთი, სადემონსტრაციო მაგიდა დაიფაროს სრულად ან ნაწიობრივ ფოლგით ან ბუნებრივი ქვის ფილებით, აალების

		შემთხვევაში წინასწარ მომზადდეს ქვიშა/ცეცხლმაქრი ან აალების საწინააღმდეგო ნაჭერი, მოეწყოს ქიმიური ჭურჭლის საშრობი კედელი ან კუთხე.
ინდიკატორი N2.1.2.4.	**განმსაზღვრელი და განმავითარებელ შეფასება მიემართება გრძელვადი მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;**	სკოლას მიეცა რჩევა, იმუშაონ მე-11 და მე-12 კლასების განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებზე.
ინდიკატორი N2.2.1.3	სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლ სწავლაზე;	საბუნებისმეტყველო - სასურველია, შეიქმნას განმავითარებელი შეფასების ისეთი ტიპის რუბრიკები, რომელიც ხელს შეუწყობს კათედრის მიერ შერჩეული სადიაგნოსტიკო შეფასებების მესამე ინსტრუმენტის ეფექტურად გამოყენებას.
ინდიკატორი N2.2.1.4	სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - კათედრაზე მომზადდეს მოსწავლებში მეტაკოგნიტური უნარების ხელის შემწყობი კითხვების პაკეტი, რომელზეც პასუხები ინდივიდუალური ხასიათის იქნება და დაეხმარება მასწავლებელს სადიაგნოსტიკო შეფასებაში მესამე ინსტრუმენტის შესაბამისად.
ინდიკატორი N 2.2.2.2	შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე	საბუნებისმეტყველო - სასურველია, კათედრის მიერ გამოვლენილი სუსტი მხარეები გაანალიზდეს ერთობლივად, გადავიდეს კათედრის სამოქმედო გეგმაში და თითოეული პუნქტის გაუმჯობესების/ აღმოფხვრის მიზნით მიზნით დაიგეგმოს შესაბამისი აქტივობები.

ინდიკატორი N2.4.1.1	იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - სასურველი იქნებოდა მასწავლებლის, დამრიგებლის, კათედრის ხელმძღვანელის, ხარისხის ჯგუფის წევრის ანგარიშებში კონკრეტული კითხვების შეტანა (მაგ: ·რა გამოცდილება დამიგროვდა სასწავლო წლის მანძილზე? როგორ გამოვიყენო ეს გამოცდილება სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისათვის? კურიკულუმის გასავითარებლად? საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის გასაუმჯობესებლად? რა უნდა გავითვალისწინო ახალი წლის დაგეგმვისას: ადმინისტრაციის,კათედრის, კოლეგის, მოსწავლის, მშობლის დონეზე? როგორ გავაზიარო პასუხისმგებლობა ამ გამოცდილების გათვალისწინებაზე სასკოლო საზოგადოებაში? რამდენად დამეხმარა/დავეხმარე კოლეგის უკუკავშირი? და სხვა). აღნიშნულ კითხვებზე პასუხი შექმნიდა კურიკულუმის მხარდამჭერ საჭიროებათა პაკეტს, რომელიც გაზიარდებოდა სასკოლო საზოგადოებაში, შექმნიდა ერთგვარ გზამკვლევს.

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

დაწესებულება არგუმენტირებულ პოზიციაში (24.11.2023 წ-ის კორესპონდენცია NMES 9 23 0001601470) დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის მიერ მომზადებულ დასკვნის პროექტს, მასში აღწერილ ფაქტობრივ გარემოებებს და წამოადგინა რიგ შემთხვევაში დასკვნის პროექტში დაფიქსირებული შეუსაბამობების აღმოფხვრის მტკიცებულება და რიგ საკითხთან მიმართებით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები და შესაბამისობის

უზრუნველყოფის გეგმა და კომპონენტების შეფასება არ შეესაბამება შეცვალა რიგ შემთხვევაში შესაბამისობით და რიგ შემთხვევაში მეტწილი შესაბამისობით.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სკოლის მისიაა **მოსწავლეებში კულტურული მრავალფეროვნებისადმი ემპათიის ჩამოყალიბების უნარის განვითარება**, ხედვა- **„სხვადასხვა პროექტის ფარგლებში 2027 სასწავლო წლისთვის სკოლაში იქნება მოწყობილი კულტურული თავისებურებების შესახებ საინფორმაციო სივრცეები, მოსწავლეთა წარმომავლობის მიხედვით.“** ხედვა არის ლაკონური და გაზომვადი, სკოლის პერსპექტივით 4 წლიან პერიოდში მისაღწევი. საშუალებას იძლევა მუდმივად ხედავდეს სასკოლო საზოგადოება განსხვავებას არსებულ და სასურველ მდგომარეობას შორის, მარტივად გასაგებია ნებისმიერი მკითხველისათვის. არის კონკრეტული სკოლისთვის უნიკალური გამომდინარეობს მისიიდან, თუმცა ექსპერტთა ჯგუფმა მიიჩნია, რომ სკოლის ფილოსოფია უნდა იყოს მეტად მამოტივირებელი, ხედვა უნდა იყოს ამბიციური - იდეალური სამომავლო სურათის აღწერა და არა მოკლე ვადაში მისაღწევი მიზანი. **სკოლას მიეცა რჩევა ხედვა განსაზღვროს უფრო გრძელვადიან პერსპექტივაში და გახადოს ამბიციური.**

ინდიკატორი დაკმყოფილებულია

2.სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს.

სკოლის წარმოდგენილი მისია, რომელიც კულტურული მრავალფეროვნებისადმი ემპათიის ჩამოყალიბებას მიემართება - ემოციურად უსაფრთხო გარემოს პირდება საზოგადოებას, ხოლო ხედვა, რომელიც კულტურული თავისებურებების შესახებ საინფორმაციო სივრცეების მოწყობაზეა ორინტირებული პიროვნულ განვითარებას და სკოლის სოციო - კულტურულ სივრცედ გადაქცვას ემსახურება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით

სკოლის მისიისა და ხედვის პირველადი ვერსიის შემუშავებაზე იმუშავეს კათედრების ხელმძღვანლებმა. მათ მიერ მომზადებული სკოლის ფილოსოფია განხილული და გადამუშავებული იქნა პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე, რომელსაც ესწრებოდნენ სამეურვეო საბჭოსა და მოსწავლეთა თვითმმართვლობის წარმომადგენლები. რის შემდგომაც, სკოლის ფილოსოფია გაზიარებული იქნა სასკოლო საზოგადოებისათვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

შემუშავებული სკოლის ფილოსოფია გაზიარებული იქნა სასკოლო საზოგადოებისათვის. მის განხილვასა და უკუკავშირში მონაწილეობა მიიღო თანამშრომელთა 60%-მა, მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა 14% - მა და მოსწავლეთა 26%-მა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5.**სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი.**

სკოლის მისია და ხედვა დაწესებულებას გამოქვეყნებული აქვს სკოლის ვებგვერდზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**.

6.სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

სკოლის სახელწოდება სსიპ - ქალაქ თბილისის №136 საჯარო სკოლა, შეესაბამება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ტერმინს - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება/სკოლა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ვებგვერდი;
- სკოლის ფილოსოფიის და სტრატეგიული გეგმის შესახებ შექმნილი კითხვარის ანალიზის დოკუმენტი;
- ფილოსოფიისა და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის მოსამზადებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი N1 (2023 წ. 4 სექტემბრი) .

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსიპ ქალაქ თბილისის N136 საჯარო სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია. წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინებას სკოლა უზრუნველყოფს დაგეგმვის ყოველი ახალი ციკლის წინ სასკოლო საზოგადობის (სკოლის დირექცია, თანამშრომლები, მასწავლებლები, საბაზო/საშუალო საფეხურის მოსწავლეები, მშობლები/ კანონიერი წარმომადგენლები) წარმომადგენლებით დაკომპლექტებული სამუშაო ჯგუფის შექმნით (განისაზღვრება დირექტორის შესაბამისი ბრძანებით), რომელსაც ევალება სკოლის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებთან კომუნიკაციით სკოლის ფილოსოფიის შემუშავება და სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის წარმართვა. სკოლის შიდა და გარე მარეგულირებელი დოკუმენტაციის და ფაქტორების დამუშავება და ანალიზი. ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის ეტაპზე სამუშაო ჯგუფი აქტიურ კომუნიკაციას ამყარებს სასკოლო საზოგადოებასთან, ისმენს მათ შენიშვნებს და რეკომენდაციებს და საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს აღნიშნული რეკომენდაციების ასახვას საბოლოოდ შემუშავებულ დოკუმენტებში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2.სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს.

სკოლის სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი და ციკლური. მისი მიზნებია: სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება, ადამიანური რესურსის განვითარება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა, მშობელთა ჩართულობის გაზრდა, ორგანიზაციული განვითარება და მასტიმულირებელი ბერკეტები სწავლებისა და აღზრდის საქმეში. წარმოდგენილი მიზნები უზრუნველყოფს მისიის შესრულებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3.სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას

სკოლის მიერ წარმოდგენილი ერთწლიანი გეგმა დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს სხდომაზე (ოქმი N12, 2023 წლს 15 სექტემბერი). წარმოდგენილი ერთწლიანი გეგმა ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

წარმოდგნილ ერთწლიან სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნების და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების ვადები, პასუხისმგებელი პირები და შესაბამისი რესურსები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქალაქ თბილისის N136 საჯარო სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- ერთწლიანი გეგმა;
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N6 (15.09.2023 წ);
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N12 (15.09.2023 წ.).

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს.**
   ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში განსაზღვრულია სკოლის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის, შეფასებისა და წლიური ანგარიშის მომზადებასთან დაკავშირებული საკითხები. კერძოდ, სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის მე-11 მუხლი ადგენს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის ფორმას, შემფასებლებს, ვადებს და მომზადებული ანგარიშის გასაჯაროების წესს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**
   მიმდინარე წარმოების ფარგლებში ინდიკატორი არაა შეფასებადი.
3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**
   მიმდინარე წარმოების ფარგლებში ინდიკატორი არაა შეფასებადი. თუმცა სტრატეგიული დაგეგმვის მთოდოლოგიის მიხედვით სკოლა გეგმავს სტრატეგიული და სამოქმდო გეგმების განხორციელების შედეგების გასაჯაროებას მისი სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებით.
4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**
   მიმდინარე წარმოების ფარგლებში ინდიკატორი არაა შეფასებადი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლის საშტატო განრიგით გათვალისწინებულია შემდეგი თანამდებობრივი პოზიციები: დირქტორი, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი, მტუკი, საქმის მწარმოებელი, საინფორმაციო მენეჯერი, ბიბლიოთეკარი, მასწავლებელი, ექიმი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტი, დარაჯი, დამლაგებელი, ცეცხლფარეში, მუშა. სკოლის მიერ წარმოდგენილი ორგანიგრამის მიხდვით სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულებია: სამეურვეო საბჭო (უმაღლესი არჩევითი ორგანო), პედაგოგიური საბჭო, მრჩეველთა საბჭო, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭრის ჯგუფი, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი, საგნობრივი კათედრები. სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები გაწერილია შესაბამის დებულებებში: პედაგოგიური საბჭოს დებულება (ბრძანება N2-389, 5 ოქტომბერი 2023 წელი), ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება (ბრძანება N2-423, 25.10.2023წ), კათედრის დებულება (ბრძანება N2-246, 15.09.2022 წ), მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება. მრჩეველთა საბჭოს საქმიანობა რეგულირდება საქართველოს განათლების, მცნიერების კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის 06/ნ , **ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ, ბრძანებით.** ბიბლიოთეკარის ფუნქციები განსაზღვრულია როგორც მასთან გაფორმებულ ინდივიდუალურ შრომით ხელშეკრულებაში, ასევე ბიბლიოთეკის მუშაობის წესში (დებულება) (ბრძანება N2-388, 5 ოქტომბერი, 2023 წელი). დასაქმებულების ფუნქციები განსაზღვრულია მათთან გაფორმებული ინდივიდუალური ხელშეკრულებებში. დამრიგებლების

მუშაობა რეგულირდება **დამრიგებლის მუშაობის დებულებით (ბრძანება N2/244, 14 სექტემბერი 2022 წელი). როგორც ინდივიდუალურ ხელშეკრულებებში, ასევე დებულებებში გაწერილი სტრუქტურული ერთეულების/პირები ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.**

სკოლის მიერ წარმოდგენილი ორგანიგრამის და პერსონალთან გაფორმებული ინდივიდუალურ ხელშეკრულებებში გაწერილი ფუნქციების, ასევე საშტატო განრიგის და მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემების (პერსონალის შესახებ) მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები განაწილებულია, არ ხდება ფუნქცია - მოვალეობების დუბლირება. სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები, მთლიანობაში, სრულად მოიცავს ყველა იმ სფეროსა და არეალს, რომლებიც სკოლის ძირითად საქმიანობის შესრულებასა და მიზნებს უკავშირდება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- პედაგოგიური საბჭოს დებულება (ბრძანება N2-389, 5 ოქტომბერი 2023 წელი);
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება (ბრძანება N2-423);
- მრჩეველთა საბჭოს შექმნის შესახებ ბრძანება N2-27, 26.02.2019წ. (ცვლილებები: ბრძანება N 2-268, ბრძანება N2-419);
- მოსწავლეთა თვითმმართვლობის დებულება;
- კათედრის დებულება (ბრძანება N2-246, 15.09.2022 წ);
- ბიბლიოთეკის მუშაობის წესი (დებულება) (ბრძანება N2-388, 5 ოქტომბერი, 2023 წელი);
- პერსონალთან გაფორმებული ინდივიდუალური ხელშეკრულებები;
- **დამრიგებლის მუშაობის დებულება (ბრძანება N2/244, 14 სქტმბერი 2022 წელი);**
- **საშტატო განრიგი;**
- **ორგანიგრამა;**
- **მართვი საინფორმაციო სისტემა.**

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად.**

სკოლაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის და სკოლის შიდა მარეგულირებელი აქტების: სკოლის შინაგანაწესის, პერსონალთან დადებული შრომითი ხელშეკრულებების, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის, ეროვნული სასწავლო გეგმის, კათედრების დებულების, დამრიგებლის დებულების, სკოლის წესდების, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №174/ნ-ის (მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ), საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება №41/ნ/01-23/ნ -ის მიხედვით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში ხდება მისი ფუნქციების გადანაწილება სხვა დასაქმებულზე. მაგალითად, მასწავლებლის არყოფნის შემთხვევაში საათების გადანაწილება ხდება შესაბამისი საგნობრივი ჯგუფის სხვა მასწავლებელზე, ხოლო იმ შემთხვევაში თუ გადანაწილება შეუძლებელია სკოლა ხელშეკრულებას აფორმებს შემცვლელ მასწავლებელთან, ტექნიკური პერსონალის/დამლაგებლის არყოფნის შემთხვევაში მისი ფუნქცია - მოვალეობები ნაწილდება სხვა დამლაგებლებზე.

სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია: სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, სამუშაო და დასვენების დრო; შრომითი ურთიერთობის პირობები; შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი; შრომის პირობების დაცვის წესები; დასაქმებულის წახალისების ფორმები და დისციპლინური პასუხისმგებლობა; განცხადების/საჩივრის განხილვის წესი. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით რეგულირდება კადრების მოზიდვისა და შერჩევის პოლიტიკა, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა, დასაქმებულის მიერ შესრულებული სამუშაოს, პროფესიული უნარ-ჩვევებისა და ცოდნის შეფასება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

სკოლას მიეცა რჩევა შეიმუშაოს პრევენციული და ინტერვენციული მართვის დოკუმენტი.

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სკოლამ წარმოადგინა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი (სამეურვეო საბჭოს სხდომა N12, 15.09. 2023 წ.), რომელიც განსაზღვრავს ადამიანური რესურსის მართვისა და განვითარების პოლიტიკას სკოლაში. წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით სკოლაში მასწავლებლის/მასწავლებლის მაძიებლის/სპეციალური მასწავლებლის, მიღება ხდება კონკურსის გზით საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №174/ნ (2019 წლის 20 აგვისტო) დამტკიცებული მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის შესაბამისად. სკოლის სამედიცინო პერსონალის შერჩევა ხორციელდება სკოლის მიერ შერჩეული სპეციალური კომისიის მიერ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება №41/ნ/01-23/ნ (2022 წლის 21 მარტი) მიხდვით. ინკლუზიური განათლებაში ჩართული პირების მიღებისას სკოლა დამატებით ხელმძღვანელობს ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 16/ნ (21/02/2018) ბრძანებით განსაზღვრული პირობებით. დაწესებულებამ წარმოადგინა მასწავლებლის, სპეციალური მასწავლებლის, ექიმის დასაქმების პროცესის ამსახველი გასაუბრების ოქმები, გასაუბრების კომისიის ფორმირების ბრძანებები, გადაწყვეტილებები. სკოლაში თანამშრომლის მიღება, გარდა მასწავლებლის/მასწავლებლობის მაძიებლის/ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტის და სამედიცინო პერსონალისა, ხორციელდება დირექტორთან გასაუბრებით. დაწესებულებაში ვიზიტის პროცესში გადამოწმდა პერსონალის პირადი საქმეები. პირადი საქმეების გადამოწმებისას აღმოჩნდა, რომ სკოლის პერსონალს წარმოდგენილი ჰქონდა საქართვლოს კანონით ზოგადი განათლების შესახებ (მუხლი 33[1] -ით პერსონალისათვის დადგენილი შეზღუდვა) განსაზღვრული ცნობები

„სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ და საქართველოს მთავრობის №463 დადგენილებით განსაზღვრული ცნობები „უფლების ჩამორთმევის შესახებ“. ასევე ცნობა ნასამართლობის შესახებ მასწავლებლების შემთხვევაში. (საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ. მუხლი 21). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას.

დასკვნის პროექტში ასახული იყო „სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტი. აღნიშნული დოკუმენტით დადგენილია მასწავლებლის, სპეციალური მასწავლებლის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტის, ექიმის, საქმისმწარმოებლის, ბიბლიოთეკარის, საინფორმაციო მენეჯერის საკვალიფიკაციო მოთხოვნები (ბრძანება N2-427, 25 .10.2023 წ.). პერსონალის პირადი საქმეების მიხედვით სკოლაში დასაქმებული ყვლა ზემოაღნიშნული პირი აკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. გამონაკლისია ექიმი, რომლის შემთხვევაშიც არ იყო წარმოდგენილი დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატი (დირექციისა და ექიმის განმარტებით ექიმს საკვალიფიკაციო გამოცდა ჩაბარებული ჰქონდა და ელოდებოდა სერტიფიკატს). წარმოდგენილი **პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტი სრულად არ მოიცავს სკოლაში დასაქმებული (საშტატო განრიგით გათვალისწინებული) პირების საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. კრძოდ, არ არის განსაზღვრული მუშის, დარაჯის, დამლაგებლის, მტუკის საკვალიფიკაციო მოთხოვნები.** შესაბამისად ვერ მოხერხდა შეფასებულიყო თუ რამდენად შეესაბამება სკოლაში დასაქმებული **ყველა** პირის კვალიფიკაცია სკოლის მიერ განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

სკოლაში დასაქმებულია სულ 77 თანამშრომლი. მათ შორის: დირქტორი, დირექტორის მოადგილე, 4 წამყვანი მასწავლებელი, 46 უფროსი მასწავლებლი, 1 მასწავლებლობის მაძიებელი, 4 სპციალური მასწავლებელი (მათ შორი 2 უფროსი), 6 სსსმ პირის ასისტენტი, 1 ბიბლიოთეკარი, 1 ბუღალტრი, 5 დამლაგებელი, 3 დარაჯი, 1 მტუკი, 1 მუშა, საინფორმაციო მენეჯერი, სქამისმწარმოებელი, ექიმი.“

არგუმენტირებულ პოზიციაში სკოლამ წარმოადგინა სკოლაში დასაქმებული ექიმის დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების განხორციელების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატი. რაც შეეხება პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტს, რომელიც სრულად არ მოიცავდა სკოლაში დასაქმებული (საშტატო განრიგით გათვალისწინებული) პირების საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადგინა დოკუმენტი, რომელიც კვლავ არ მოიცავს სრულად სკოლის პერსონალისათვის განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. შესაბამისად სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში სრულყოს დოკუმენტი. გამომდინარე ზემოთთქმულიდან ექსპერტთა ჯგუფმა კომპონენტის შეფასება შეცვალა მეტწილი შესაბამისობით.

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრუქტურული ერთეულების: ხარისხის განვითარებისა და პროფსიული მხარდაჭრის ჯგუფის, სამეურვეო საბჭოს, კათედრების, პედაგოგიური საბჭოს, სხვადასხვა საჭიროებების შესაბამისად შექმნილი კომისიების მუშაობის დამადასტურებელი ოქმებით დგინდება, რომ სკოლაში მოქმედი სამუშაო ჯგუფები და სრუქტურული ერთეულები მუშაობენ გუნდურობის პრინციპით, ოქმის

სახით იღებენ გადაწყვეტილებებს. საგნობრივი კათედრის თითოეული წევრი ჩართულია კურიკულუმების შემუშავების პროცესში. კათედრის წევრებს შორის ხდება გამოცდილების გაზიარება, ერთად გეგმავენ სხვადასხვა პროექტებს. სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებაში ჩართულები არიან სკოლის მასწავლებლები და დირექციის წარმომადგენლები. მოსწავლეთა თვითმმართველობა გუნდურად იღებს გადაწყვეტილებას თავმჯდომარის არჩევაზე, აქტივობების დაგეგმვაზე. სკოლის დირექტორმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში სკოლის თანამშრომლები აქტიურად იყვნენ ჩართული თვითშეფასების პროცესში. ამრიგად, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასწავლებლის შერჩევის პროცედურა (კომისიის შექმნა გასაუბრება, გადაწყვეტილების მიღება), კათედრების და მრჩეველთა საბჭოს ოქმები, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცების პროცედურა ამტკიცებს, რომ სკოლაში დამკვიდრებულია მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6.სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

შინაგანაწესი მუხლი 10 და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მე-16 მუხლით სკოლა ადგენს წარმატებული გამოცდილების აღირებისა და გაზიარების მექანიზმს. კერძოდ, სკოლა გეგმავს ერთობლივი შეხვედრების ჩატარებას, სკოლის სოციალურ ქსელში ან ვებგვერდზე შესაბამისი ინფორმაციის გაზიარებას. კარგი მუშაობისთვის თანამშრომლების პრემიით დაჯილდოვებას და სხვა. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულ კათედრების ფუნქციებით და კათედრის დებულებით ასევე განსაზღვრულია კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, წარმატების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემის გადაჭრის გზების ძიება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შემცვლელ მასწავლებელთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- თანამშრომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები (ბრძანება N2-427, 25.10.2023 წ);
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა (სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N12, 15 სექტემბერი 2023წ.)
- შინაგანაწესი;
- კათედრის დებულება;

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- პერსონალის პირადი საქმეები;
- საკვალიფიკაციო მოთხოვნები (ბრძანება N2-427, 25 .10.2023 წ.);
- შრომითი ხელშეკრულებები,
- დამრიგებლის დებულება;
- ხარისხის განვითარებისა და პროფსიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები

სკოლა აღიარებს, რომ პროფსიული განვითარება ადამიანური რესურსების მართვის სისტემის მნიშვნლოვანი კომპონენტია და მიზნად ისახავს თანამშრომლის პროფესიული განვითარების მოთხოვნების იდნტიფიცირებას სამუშაოს კატეგორიის, ცალკეული ფუნქციის, თანამდებობრივი მოთხოვნებისა და ინდივიდუალური საჭიროებების ანალიზის საფუძვლზე (ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი). მასწავლებელთა პროფესიული საჭიროების დადგენას ემსახურება კათედრის წევრების ურთიერთდასწრება, და ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის მონიტორინგი საგაკვეთილო პროცესში, რომელიც რეგულარულად ამოწმებს მასწავლებელთა პროფესიულ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით. ესწრება საგაკვეთილო პროცესს და აფასებს წინასწარ შედგენილი კითხვარის საშუალებით. სკოლამ წარმოადგინა საოქმო ჩანაწერი (2023 წლის 15 ოქტომბერი ოქმი #1) და დანართი გაკვეთილებზე დასწრების განრიგის განსაზღვრის შესახებ. წარმოდგნილი დოკუმენტაციის მიხედვით საგაკვეთილო პროცესზე დასწრების შემდგომ ხდება მასწავლებლებისთვის განმავითარებელი უკუკავშირის მიცემა. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მარდაჭერის ჯგუფი ადგენს საჭიროებებს, რომლის საფუძველზეც იგეგმება სხვადასხვა აქტივობები: გამოცდილების გაზიარება, ტრენინგები, მასწავლებელთა გადამზადება და სხვა. დირექციასთან ინტერვიუთი დადგინდა, რომ სკოლის პერსონალის (არა მასწავლებლის) შეფასება ხორციელდება უშუალო ხელმძღვანელის მიერ და პერსონალის თვითშეფასებით, გამოვლენილი შემთხვევების ანალიზით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად

სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრულია თანამშრომელთა საჭიროებების გამოვლენის მექანიზმი. გამოვლნილი საჭიროებებიდან გამომდინარე სკოლა გეგმავს დაეხმაროს სკოლაში დასაქმებულ პირებს ტრენინგების შესახებ ინფორმაციის დროული მიწოდებით, კათედრის წევრებს შორის გამოცდილების გაზიარების ხელშეწყობით, სამუშაო შეხვედრების მოწყობით, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის წევრების მიერ გაკვეთილებზე დასწრებით და განმავითარებელი უკუკავშირის მიცემით. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მიხედვით (მუხლი 10) დირექციის შეხვედრებზე რეგულარულად მოხდება ადამიანური რესურსების მართვის მეთოდებისა და შესაბამისი პროცედურების ეფექტიანობის დადგენა, შემუშავდება რეკომენდაციები, ჩატარდება სამუშაო პირობების შესახებ დასაქმებულთა აზრის პერიოდული კვლევა და ანალიზი, ჩატარდება კონსულტაციები, მოეწყობა სადისკუსიო შეხვედრები.

ადამიანური რსურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმების განხორციელების ხელმძღვანელობის ვალდებულება აქვს სკოლის დირექტორს, აღნიშნული მიმართულებით ფუნქციები გაწერილი აქვს დირექტორის მოადგილესაც. მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა დეკლარირებულია სკოლის განვითარების სტრატეგიულ და ერთწლიან გეგმებში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას

სკოლა ზრუნავს დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაციის ზრდაზე. სკოლის მხრიდან დროული ინფორმირებით და მხარდაჭერით სკოლის ერთი მასწავლებელი გახდა წამყვანი. ვიზიტის პერიოდში სკოლას ჰყავდა ერთი მაძიებელი მასწავლებელი, რომელსაც ბრძანებით გამოყოფილი ჰყავდა ტუტორი. ერთწლიანი და სტრატეგიული სამოქმედო გეგმებით სკოლას განსაზღვრული აქვს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხლშეწყობა. კერძოდ სკოლა მიზნად ისახავს გამოვლენილი საჭიროებების მიხედვით მასწავლებელთა ინფორმირებას მასწავლებელთა პროფესიული განვითრების ეროვნული ცენტრის მიერ გამოცხადებულ ტრენინგების

შესახებ და ტრენინგებზე დასწრების ხელშეწყობას, განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმის შესახებ სისტემატურ ინფორმირებას. კოლეგიალური ორგანოს - საგნობრივი კათედრების მიერ სწავლების ხარისხის ამაღლებასთან დაკავშირებული შეხვედრებისა და განხილვების ხელშეწყობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

ადამიანური რსურების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით სკოლას განსაზღვრული აქვს ახალი თანამშრომლის სკოლაში ადაპტაცია. კერძოდ, ახალი მასწავლებლის შემთხვევაში საგნობრივი კათედრის ხელმძღვანელის ვალდებულებაა კათედრის წევრების, კათედრის დებულების, სამოქმედო გეგმის, საგანმანათლებლო რესურსების გაცნობა, საკონტაქტო ინფორმაციის გაზიარება, ურთიერთდასწრების გრაფიკში ახალი თანამშრომლის დამატება. დირექტორის მოადგილეს ევალება ყველა ახალი დასაქმებულის შემთხვევაში სკოლის ტერიტორიაზე მეგზურობა და სკოლის ისტორიისა და კულტურის, მისი პირადი ფუნქცია-მოვალეობების გაცნობა/განმარტება, კოლეგებისათვის წარდგენა. სკოლის შინაგანაწესის, მატერიალური რესურსით სარგებლობის წესის, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესის, საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმის გაცნობა და სხვა. საინფორმაციო მენეჯერს ევალება ახალი თანამშრომლისათვის ეფლოუს და ესქულის ბაზებში მომხმარებლის პროფილის შექმნისათვის საჭირო ღონისძიებების გატარება. ელექტრონულ ჟურნალში პროფილის შექმნა, სკოლის დახურულ სოციალურ ჯგუფებში დამატება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

სკოლის მიერ წარმოდგენილ ადამიანური რსურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში და შინაგანაწესში აღწერილია, თუ როგორ ახორციელებს სკოლა პერსონალის წახალისებას, როგორც მატერიალური ასევე არამატერიალურ სტიმულირებას. სკოლაში პერსონალის მოტივირებისთვის გამოყენებული ფორმებია: მადლობის გამოცხადება, სიგელის გადაცემა, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება, ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა. ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულებები - პრემიები გაცემული თანამშრომლებზე (ტექნიკურ პერსონალზე). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა (სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N12, 15 სექტემბერი 2023წ.);
- კათედრის დებულება;
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;

- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის ოქმი N1.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად.

სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე და განავითარე ციკლს. აღნიშნულზეა დაფუძნებული სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების

ხელშეწყობა, სასწავლო პროცესის (სასწავლო პროცესის დაგეგმვა, მართვა და შეფასების შედეგების ანგარიში სამეურვეო საბჭოსთან), და სკოლის ბიუჯეტის მართვა. სკოლა გეგმავს სასწავლო პროცესს (სასკოლო სასწავლო გეგმა) და შესაბამის ბიუჯეტს, ახორციელებს დაგეგმილ ღონისძიებების პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას, სასწავლო წლის ბოლოს კი შეიმუშავებს რეკომენდაციებს ახალი სასკოლო სასწავლო გეგმის შესამუშავებლად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები.**

სკოლას მიმდინარე საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი და დამხმარე პროცესები ცალკე დოკუმენტად შემუშავებული არ ჰქონდა. სკოლაში მიმდინარე საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული პროცესები აღწერილია/წარმოდგენილია სკოლის რეგულაციებში: შინაგანაწესი, სასკოლო სასწავლო გეგმა, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, ვერიფიკაციის წესი, კათედრების დებულება, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება. თითოეულ ზემოთ ჩამოთვლილ დოკუმენტში გაწერილია შესაბამისი საქმიანობის აღმწერი პროცესები.

სკოლას მიეცა რჩევა მოახდინოს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესების იდენტიფიცირება და აღწერა ცალკე დოკუმენტად. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლის შინაგანაწესით რეგულირდება საჩივრების განხილვის წესი, რომელიც ხელმისაწვდომია ყველასათვის. შინაგანაწესით განსაზღვრულია დასაქმებულთა (გარდა მასწავლებლების) დისციპლინური გადაცდომის განხილვაზე უფლებამოსილი ორგანო და დისციპლინური წარმოების წესი, რომლის მიხედვითაც დასაქმებულთა (გარდა მასწავლებლების) დისციპლინურ გადაცდომებს განიხილავს სკოლის დირექტორი. სკოლის დირექტორის გადაწყვეტილებით დასაქმებულთა დისციპლინური გადაცდომა შეიძლება განიხილოს ასევე დისციპლინურმა კომიტეტმა. დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველი კი შეიძლება იყოს: მოსწავლის, მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის, სკოლაში დასაქმებული პირის, უფლებამოსილი პირის, აგრეთვე, იმ პირის წერილობითი მიმართვა ან ინფორმაცია, რომლის სამსახურებრივ მოვალეობასაც წარმოადგენს სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფა.

სკოლას შემუშავებული აქვს განცხადებისა და საჩივრის განხილვის პროცედურა, სადაც გაწერილია დისციპლინური დევნის/დისციპლინური წარმოების ვადები. წარმოდგნილი დოკუმენტით დგინდება საჩივრის/განცხადების განხილვისას აცილების წესი, განცხადების /საჩივრის სკოლაში წარდგენის საშუალებები და განცხადების აუცილებელი რეკვიზიტები, რეგისტრირების პროცესი, საჩივრის განხილვის წესი და ვადა, დისციპლინური სახდელის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების ზოგადი წესი, დისციპლინური სახდელის დაკისრების თაობაზე გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა და განხილვაზე უარის თქმის საფუძვლები, დაინტრესებული პირისა და გასაჩივრებული აქტის/გადაწყვტილების გამომტანი პირის/ორგანოს მონაწილეობა საჩივრის განხილვის დროს და საჩივრის განხილვის **ვადა, შიდა სასკოლო გამოცდების შედეგების გასაჩივრების წესი და სხვა.** სკოლაში

დასაქმებული პერსონალის და მშობლის უფლებები და ვალდებულებები გაწერილია მშობელსა და სკოლას, დასაქმებულ პერსონალსა და სკოლას შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებში. თითოეული გადაწყვეტილება, რომელიც გამოიცემა სკოლაში ბრძანების სახით, შეიცავს გასაჩივრების ვადასა და ადგილს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.**

სკოლის მიერ შემუშავებული დოკუმენტაციით შინაგანაწესი (რომელშიც გაწერილია დისციპლინური გადაცდომების ნუსხა და დისციპლინური პასუხისმგებლობის სახეები), შემოსული განცხადებებისა და საჩივრის განხილვის პროცედურა - დგინდება სკოლის მზაობა დაიცვას პერსონალისა და მშობლის/კანონიერი წარმომადგნლის უფლებები. შინაგანწესის მიხედვით სკოლაში დასაქმებული პირები, მოსწავლეები და მათი მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები სარგებლობენ თანაბარი უფლებებით დისკრიმინაციის გარეშე. მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს შინაგანაწესს აცნობს დამრიგებელი. სკოლას შემუშავებული აქვს ასევე რემედიაციის წესი, რომლის მიზანიცაა მოსწავლეებს შორის არსებულ კონფლიქტების შემთხვევაში დროულად რეაგირება.

სკოლაში პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმების მოქმედების დასტურად სკოლამ წარმოადგინა მშობლის განცხადება სემესტრული ნიშნის ამაღლებასთან დაკავშირებით და განცხადებაზე რეაგირების მასალები - სემესტრული გამოცდის შედეგები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- განცხადებისა და საჩივრის განხილვის პროცედურა (ბრძანება N2-371, 18.09.2023წ.) ;
- შინაგანაწესი;
- სკოლის მიერ გამოცმული ბრძანებები;
- მშობლის განცხადება;
- მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან და პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- მოსწავლთა შორის მედიაციის მარეგულირებელი წესი (ბრძანება N2-373, 18 .09.2023 წ);
- შემოსული განცხადებებისა და საჩივრის განხილვის პროცედურა (ბრძნება N2-371, 18 სექტემბერი, 2023 წელი).

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი (ბრძანება N2-384, 5 ოქტომბერი,2023 წელი). წარმოდგენილი წესი განსაზღვრავს შიდა და გარე კომუნიკაციის მართვის პრინციპებს, საინფორმაციო საშუალებების მართვისა და განვითარების სტრატეგიებს, დაინტერესებული მხარეებისგან მიღებული უკუკავშირის ანალიზისა და რეაგირების ფორმებს. მიზნად ისახავს საზოგადოების ინფორმირებულობის ხარისხის, სკოლის ცნობადობის, სკოლისადმი ნდობისა და აღიარების გაზრდას, საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფას, სანდო, უტყუარი და ობიექტური ინფორმაციის დროულ ხელმისაწვდომობას, საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფას საქმიანობის გაუმჯობესების პროცესში, ორმხრივი, ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობების შექმნა/შენარჩუნებას დაინტერესებულ პირებთან, სოციალური ქსელის საინფორმაციო უზრუნველყოფას, უკუკავშირის შედეგების ანალიზსა და მათ გამოყენებას სკოლის საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებისთვს. სკოლა გეგმავს მოახდინოს სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებებით შემოსული შეკითხვების, ინიციატივებისა და შენიშვნების ანალიზი. შეიმუშაოს კითხვარები, რომელსაც განათავსებს სკოლის სოციალურ გვერდზე არანაკლებ წელიწადში ერთხელ და ნებისმიერ დაინტრესებულ პირს მისცემს შესაძლებლობას დააფიქსიროს საკუთარი აზრი ანონიმურად კომუნიკაციის პროცესის ხარვეზებზე და გასაუმჯობესებელ გზებზე. უკუკავშირის ანალიზის შედეგებს სკოლა გამოიყნებს საქმიანობის გასაუმჯობესებლად. სკოლის მიერ წარმოდგენილი დამრიგებლის მუშაობის დებულების მიხედვით (ბრძანება N2/244, 14 სექტემბრი, 2022 წელი) დამრიგებლის ვალდებულებაა სასწავლო წლის დაწყებისას მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს გააცნოს შემდეგი დოკუმენტაცია: სკოლის შინაგანაწესი; მოსწავლის ქცევის კოდექსი; გრიფირებული და დამხმარე სახელმძღვანელოების ნუსხა; უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები; ევაკუაციის გეგმა, საგანგებო სიტაუციების დროს სამოქმედო გეგმა და ქცევის წესები; ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი; სკოლაში არსებული მოსწავლეთა ზოგადი შეფასების სისტემა; სკოლაში დაგეგმილი სხვადასხვა აქტივობების შესახებ ინფორმაცია. მიღებულ ინფორმციაზე უკუკავშირს დამრიგებელი აცნობს სკოლის დირექციას. სკოლა ასევე იყენებს სკოლის საინფორმაციო დაფას ინფორმაციის გასავრცელებლად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.**

სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა უზრუნველყოფილია სკოლის სტრუქტურულ ერთეულებში მათი მონაწილეობით. სამეურვეო საბჭო, სკოლის მართვის უმაღლესი ორგანო, წარმოდგენილია მშობლებით, მასწავლებლებითა და მოსწავლეებით. სამეურვეო საბჭო მონაწილეობას იღებს ისეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაში, როგორიცაა სკოლის დირექტორის არჩევა, სკოლის ბიუჯეტის დამტკიცება, საჩივრების განხილვა, პედაგოგიური საბჭოს მიერ შემუშავებული სასკოლო სასწავლო გეგმის, სასწავლო მასალის, მათ შორის, გრიფმინიჭებული, პედაგოგების მიერ შერჩეული, სასწავლო წლის განმავლობაში გამოსაყენებელი სახელმძღვანელოების ნუსხის შეთანხმება და სხვა. მოსწავლეთა თვითმმართველობაში გაერთიანებული არიან საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები. მოსწავლეთა თვითმმართვლობას ჰყავს თავისი წარმომადგენელი სამეურვეო საბჭოში და შესაბამისად უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ჩართვა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. მასწავლებელთა გაერთიანება - პედაგოგიურ საბჭოში გაერთიანებული არიან მასწავლებლები და სპეციალური მასწავლებლები. ისინი იღებენ ისეთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს, როგორიცაა წარმომადგენლის არჩევა სამეეურვეო საბჭოსა და დისციპლინურ კომიტეტში, სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცება და სხვა. საგნობრივ კათედრებზე გაერთიანებული მასწავლებლები ირჩევენ გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოებს, მუშაობენ სასკოლო კურიკულუმზე, ამზადებნ შეფასების კრიტერიუმებს და სხვა, მრჩეველთა საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიან დირექციის, სტრუქტურული ერთეულებისა და შესაბამისი რესურსცენტრის წარმომადგენლები განიხლავს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს, იღებენ შესაბამის რეკომენდაციებს. ისგ ჯგუფები, ღებულობს გადაწყვეტილებებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებასთან და სსსმ მოსწავლის სასწავლო პროცესის მართვასთან დაკავშირბით. გამომდინარე აღნიშნულიდან **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი (ბრძანება N2-384, 5 ოქტომბერი,2023 წელი);
- დამრიგებლის მუშაობის დებულების მიხედვით (ბრძანება N2/244, 14 სექტემბრი, 2022 წელი) ;
- კათედრების დებულება და ოქმები;
- მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება;
- ისგ ჯგუფების ფორმირების ბრრძანებები;
- ისგ ჯგუფის ოქმები;

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას.**

დასკვნის პროექტში ასახული იყო „სკოლას აქვს ორი შენობა ერთმანეთთან დაკავშირებული გადასასვლელით. ერთი შენობა 4 სართულიანია, ხოლო მეორე 2 სართულიანი. **სკოლის შენობა და მისი ღია სპორტული მოედანი განთავსებულია ღობით შემოსაზღვრულ ტერიტორიაზე. ამავე ტერიტორიაზე განთავსებულია ასევე კერძო სკოლა და მუსიკალური სკოლა. აღნიშნულ დაწესებულებებთან სკოლას არ აქვს გამიჯნული ტერიტორია. კერძოდ, სკოლის** ოთხსართულიანი შენობის მარცხენა მხარეში განთავსებულია შანიძის სახელობის N20 სამუსიკო საორკესტრო სკოლა, რომელსაც აქვს შენობაში დამოუკიდებლი შესასვლელი და საერთო ეზო სკოლასთან. სკოლასთან საერთო

ეზო აქვს ასევე შპს „ახალ ქართულ გიმნაზიას“. **გამომდინარე აქედან, სკოლა ვერ უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე (ეზოში) უცხო პირთა გადაადგილების შეზღუდვას, მოსწავლეთა უსაფრთხოებას.**

სკოლაში სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური წარმოდგენილია - 3 მანდატურით. უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით სკოლა ხელმძღვანელობს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით. სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო. სკოლის დაცვას უზრუნველყოფს 3 დარაჯი. სკოლას აქვს სათანადოდ აღჭურვილი ექიმის კაბინეტი და გაწერილია ექიმის ფუნქციები, შემუშავებულია სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და სასკოლო ჰიგიენის დაცვის წესი. სკოლას სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული აქვს სკოლის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. სკოლამ წარმოადგინა 25.05.2021 წლის სახანძრო უსაფრთხოების, საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მათზე რეაგირების მოთხოვნების დარღვევების აღმოფხვრის თაობაზე ზედამხედველობის მიწერილობა N361 (მიწერილობით განსაზღვრული აქტივობების შესრულების ვადა დასრულდა 29.04.2022 წ.), სკოლას ვალდებულებები სრულად არ ჰქონდა შესრულებული. სკოლას არ ჰქონდა ცნობა შენობის მდგრადობის შესახებ. სკოლის შენობის ტექნიკური მდგომარეობის შესწავლის მიზნით (შენობის მდგრადობა), დაწესებულებას გაგზავნილი აქვს შესაბამისი კორსპონდენცია N1228827 (25.09.2023 წ.) სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში. სკოლას არ ჰყავდა შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი და მიეცა **რჩევა, რომ მიზანშეწონილია დაასაქმოს კანონმდებლობის შესაბამისი შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.**

არგუმენტირებულ პოზიციაში სკოლამ წარმოადგინა კორესპონდენცია რომლითც დასტურდება, რომ დაწყებულია კომუნიკაცია სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან სკოლის ტერიტორიის დაცვასთან და სკოლის მისამართთან დაკავშირებით. სკოლამ შესაბამისი უწყებიდან 16.11.2023 წელს მიიღო წერილი MES 4 23 0001563694, რომლის მიხედვითაც „ამ ეტაპზე არ არის გათვალისწინებული სსიპ - ქალაქ თბილისის №136 საჯარო სკოლის გამიჯნულ ტერიტორიაზე ღობის, ასევე, ახალი შემოსასვლელის მოწყობის სამუშაოები. ამასთან იგეგმება სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს თანამშრომების ვიზიტი სსიპ - ქალაქ თბილისის №136 საჯარო სკოლაში საკითხის ადგილზე შესწავლის მიზნით“. დაწესებულებამ პრობლემის მოგვარების ვადად შესაბამისი ადამიანური რესურსის, ფინანსური მხარდამჭერების და რისკის გათვლით განსაზღვრა ვადა 2024 წლის 27 ოქტომბრამდე (ერთწლიანი პერიოდი) რაც გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფმა და სკოლას მისცა რეკომენდაცია შესაბამსობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში უზრუნველყოს სკოლის ტერიტორიის დაცვა უცხო პირთა უნებართვო გადაადგილებისაგან. ასევე

შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში მოიპოვოს სკოლის შენობა - ნაგებობების სახანძო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობი დასკვნა.

რაც შეეხება მდგრადობის დასკვნას, სკოლამ წარმოადგინა სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 06.11.2023 წლის კორესპონდენცია N5007022223 და თანადართული დასკვნა N007784523. დასკვნის მიხედვით „შენობის ტექნიკური ნორმები დამაკმაყოფილებელია, თუმცა სეისმურ ნორმებთან შეუსაბამო. დაზიანებები გამოწვეულია ასაკობრივი ცვეთით ჯდენითი დეფორმაციებითა და ტექნიკური მოუვლელობით. **ამ ეტაპზე შენობის ექსპლუატაცია უსაფრთხოა,** თუმცა კვლევით ნაწილში მოცემულია საკითხები რომლებიც დაუყოვნებლივ რეაგირებას მოითხოვს.“ და დაკონკრეტებულია რა უნდა გაკეთდეს. გაგრძელებაში ვკითხულობთ „ამავე დროს საჭიროა განხილული იქნას შენობის მეოთხე სართულის სამეურნეო დანიშნულებით გამოყენება. ანალოგიური მდგომარეობაა სპორტულ დარბაზთან დაკავშირებით. მისი ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, ხოლო სეისმურ ნორმებთან შეუსაბამოა.

ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა წარმოდგენილი დასკვნა. გამომდინარე იქიდან, რომ დასკვნაში აღნიშნულია, რომ „ამ ეტაპზე შენობის ექსპლუატაცია უსაფრთხოა“ ექსპერტთა ჯგუფი შემოიფარგლა რჩევით „სკოლამ უზრუნველყოს სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 06.11.2023 წლის კორესპონდენციის N5007022223 თანადართული დასკვნის N007784523 კვლევით ნაწილში განხილული საკითხებზე დაუყოვნებლივი რეაგირება“. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ექსპერტთა ჯგუფმა კომპონენტის შეფასება შეუსაბამოა შეცვალა მეტწილი შესაბამისობით.

2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;

სკოლას - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები“. ბრძანების საფუძველზე შექმნილი აქვს მრჩეველთა საბჭო, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს საქმიანობას. უცხო პირთა/ვიზიტორთა რეგისტრაცია ხორციელდება სპეციალურ ჟურნალში, სკოლაში გამოვლენილ დარღვევებზე ხდება შესაბამისი რეაგირება, სკოლას ემსახურება 3 მანდატური. სართულების მიხედვით სკოლის პრაქტიკაა მასწავლებელთა მორიგეობა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს.**

მოსწავლეებში პოზიტიური, თანამშრომლობითი ურთიერთობის ხელშეწყობას ემსახურება სადამრიგებლო პროგრამები, სკოლაში არსებული რეკრეაციული სივრცეები, რომლებიც გამოიყენება სხვადასხვა დატვირთვით, მათ შორის როგორც მოსწავლეების მეგობრული თავშეყრის ადგილები, რაც შესაბამისად ხელს უწყობს მოსწავლეთა სოციალიზაციას. ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოზე ზრუნავენ ასევე სკოლის მანდატურები. სკოლას 2023 წლის 25 ოქტომბრის N4-222 ბრძანებით

განსაზღვრული აქვს ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას

სკოლამ წარმოადგინა სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და სასკოლო ჰიგიენის დაცვის წესი დამტკიცებული სკოლის დირექტორის 2023 წლის 2 ოქტომბრის N2-395 ბრძანებით. მე-8 მუხლში დეტალურადაა გაწერილი სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმების დაცვასთან დაკავშირებული მექანიზმები. დოკუმენტს თან ერთვის დანართი N4 - სკოლის სანიტარული კვანძის დასუფთავების წესები და დანართი N5 საპირფარეშოს სისუფთავის კონტროლის ფურცელი. დაწესებულების ჰიგიენური ნორმების დაცვას უზრუნველყოფს 5 დამლაგებელი. სკოლას გაფორმებული აქვს მომსახურების ხელშეკრულება შპს „სადეზინფექციო პროფილაქტიკური მომსახურება"-სთან. სკოლას გაფორმებული აქვს შესყიდვის ხელშეკრულება ჰიგიენური საშუალებების შეძენაზე. ჰიგიენური საშუალებები დაცულია სპეციალურად ამისთვის განსაზღვრულ ოთახში, რომელიც ნიავდება ბუნებრივი გზით. სკოლას აქვს ურიკები ჰიგიენური საშუალებებისათვის, ჰიგიენური საშუალებები მარკირებულია. სკოლას მიეწოდება სუფთა წყალი. სანიტარული კვანძები უზრუნველყოფილია წყლისა და განათების უწყვეტი მიწოდებით, პრივატულია და დაცულია. ჰიგიენური პირობების დაცვაზე ზრუნვა დასტურდება შესაბამისი შევსებული მონიტორინგის ცხრილებით. სველ წერტილებში წარმოდგენილია ბუნებრივი ვენტილაცია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებები, კონკრეტულად: ქაღალდი, საპონი, ხელსახოცი, ნარჩენების კალათი (უკონტაქტო). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სკოლამ წარმოადგინა პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმი, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2022 წლის 13 დეკემბრის N2-334 ბრძანებით. დოკუმენტის მიზანია, განსაზღვროს სკოლის მიერ მისი მიზნებისა და საქმიანობის გათვალისწინებით შეგროვებული პერსონალური მონაცემების დაცვისა და დამუშავების წესები და პროცედურები, უზრუნველყოს დამუშავების პროცესის კანონდებლობის შესაბამისად წარმართვა. წარმოდგენილი წესით განსაზღვრულია, რა ტიპის ინფორმაცია მუშავდება, როგორ, რა მიზნით. სკოლა უზრუნველყოფს დასაქმებულების, მოსწავლე და მშობლების ინფორმირებას პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ ხელშეკრულებებისა და ზემოთ მოცემული დოკუმენტის მეშვეობით. სკოლას დასაქმებულთან გაფორმებულ მიმდინარე წლის ხელშეკრულებებში განსაზღვრული აქვს მუხლი პერსონალური მონაცემების დამუშავება, გამოყენება და გავრცელება, თუმცა სკოლას არ აქვს აღნიშნული მუხლი გათვალისწინებული პერსონალთან გასულ წლებში გაფორმებულ ხელშეკრულებებში. სკოლის დირექტორის 2022 წლის 13 დეკემბრის N2-335 ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს სკოლაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი - დირექტორის მოადგილე. ინფორმაცია მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა და გაკვეთილზე დასწრების შესახებ (შეფასებები განმავითარებელი/განმსაზღვრელი, გაცდენები; გამოცდების შედეგები და ა.შ.) ვრცელდება მხოლოდ ელექტრონული ჟურნალის საშუალებით, ინდივიდუალურად, პერსონალურად მიეწოდება მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს. მოსწავლისა და მასწავლებლების პირადი საქმეები დაცულია კარადებში. სკოლის ელექტრონულ ფოსტაზე წვდომის საშუალება აქვს მხოლოდ შესაბამის პასუხისმგებელ პირს.

რჩევა: **სკოლამ პერსონალთან გაფორმებულ ყველა ხელშეკრულებაში გაითვალისწინოს პერსონალური მონაცემების დამუშავება, გამოყენება და გავრცელებაზე შესაბამისი თანხმობის მოპოვება.**

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები

სკოლა მუშაობის პროცესში იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს, მუდმივად ახორციელებს დასაქმებულ პირთა, მოსწავლეებისა და მშობლების ინფორმირებას ინფორმაციული უსაფრთხოების არსსა და მნიშვნელობაზე. სკოლაში გამოიყენება მხოლოდ ლიცენზირებული პროგრამები, სკოლაში არსებული პერსონალური ინფორმაცია არ ზიარდება ვებგვერდზე და სოციალურ ქსელში, გარდა წინასწარ მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან შეთანხმებული ინფორმაციისა. სკოლას ჰყავს საინფორმაციო მენეჯერი. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და **პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.**

სკოლა გეგმავს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგების გამოყენებას. მიმდინარე წარმოების ფარგლებში ინდიკატორი არაა შეფასებადი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგან საქმთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის წერილი MIA1 23 03108586 (24.10.2023 წ);
- ბრძანება N2-415 საგანგებო სიტუაციების მრთვის გეგმის დამტკიცების შესახებ;
- სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და სასკოლო ჰიგიენის დაცვის წესი;
- ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია (2023 წლის 25 ოქტომბერი N4-222 ბრძანება);
- სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და სასკოლო ჰიგიენის დაცვის წესი (ბრძანება N2-395, 2 ოქტომბერი 2023 წ.)
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის ბრძანება N2-335 (2022 წლის 13 დეკემბერი).

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).
   ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.**

სსიპ - ქალაქ თბილისის N136 საჯარო სკოლა განახლებული ამონაწერით საჯარო რეესტრიდან (09.10.2023 წ) მდებარეობს ქალაქ თბილისში, ფორე მოსულიშვილის 18 ნომერში. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით სკოლა მდებარეობს გლდანი „ა“ მ/რ, შემოსავლების სამსახურშიც სკოლის მისამართად ფიქსირდება გლდანი „ა“ მ/რ. სკოლა განთვსებულია 12954 კვ.მ - ის არასასოფლო სამეურნო მიწის ნაკვეთზე. სკოლის სარგებლობაშია N1-N2-N3 შენობა საერთო ფართით 6372.44 კვ.მ (I

სართული 1996.26 კვ.მ, II სართული 1899,83 კვ.მ, III სართული 1237, 41 კვ.მ, IV სართული 1238.94 კვ.მ) და სპორტული მოედანი. სკოლის შენობაში არის ჯამში 39 საკლასო ოთახი და 2 მცირე ზომის ოთახი განაყოფი კლასებისთვის (ყველა ოთახი არის ბუნებრივი განათებით და განლაგებულია ერთადგილიანი მერხები, დაფები, მასწავლებლის მაგიდა, სხვადასხვა საგანმანათლებლო რესურსები და პლაკატები), სამასწავლებლო, დირექტორის და საქმისმწარმოებლის ოთახები, კომპიუტერული კლასი (26 კომპიუტრით მოსწავლეებისათვის და 1 მასწავლებლისთვის), საბუნებიმეტყველო მცნიერებების ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, რესურსოთახი, სააქტო დარბაზი (1 სველი წერტილითა და 2 გასახდელით) სპორტული დარბაზი 2 გასახდელით და სველი წერტილებით და 1 მასწავლებლის ოთახით, გარე სპორტული მოედანი, სააქტო დარბაზი, სივრცე კვების ბლოკისთვის, სამედიცინო კაბინეტი, მანდატურის ოთახი, არქივის ოთახი დარაჯისა და მტუკის, დამლაგებლების ოთახები. სკოლაში ყოველ სართულზე არის სველი წერტილები გოგონებისა და ვაჟებისათვის ჯამში 20 კაბინა გოგონებისათვის და 15 ვაჟებისათვის, 2 სველი წერტილი პერსონალისთვის. შშმ პირის სველი წერტილი განთავსებულია გოგონებისთვის განკუთვნილ სველ წერტილში იზოლირებულად. ვაჟების სველ წერტილში შშმ პირისთვის არ არის ადაპტირებული სველი წერტილი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლის შენობაში არის საერთო სარგებლობის სივრცეები: კომპიუტერული ლაბორატორია, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, სპორტული დარბაზი, სპორტული მოედანი, ოთახი სსსმ მოსწავლეთათვის, ვრცელი და ნათელი რამდენიმე ფოიე, სააქტო დარბაზი და სამასწავლებლო რომლებიც იძლევა საშუალებას სხვადასხვა აქტივობების ჩასატარებლად და სრულფასოვანი დასვენებისთვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**.

დასკვნის პროექტში ასახული იყო „ სკოლის ინფრასტრუქტურა სრულად არ არის ადაპტირებული შშმ პირებზე. სკოლის შენობის მხოლოდ შესასვლელში არის პანდუსი, სკოლის მეორე, მესამე და მეოთხე სართულზე მოხვედრა შშმ პირისთვის შეუძლებელია მაშინ, როცა ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა, სააქტო დარბაზი განთავსებულია სკოლის მეორე-მესამე სართულებზე. ადაპტირებული სველი წერტილი/კაბინა შშმ პირებისთვის არის მოწყობილი მხოლოდ გოგონებისთვის განკუთვნილ სველ წერტილში, ვაჟების სველ წერტილში არ არის კაბინა შშმ პირისთვის“. **სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაში განსაზღვრა პრობლემის მოგვარება 2024 წლის 22 ნოემბრამდე რაც გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფმა. სკოლას მისცა რეკომენდაცია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს სკოლის ინკლუზიური გარემოს მოწყობა და კომპონენტის შეფასება შეცვალა მეტწილი შესაბამისობით.**

4.სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

სკოლაში არსებული ბიბლიოთეკა, სააქტო და სპორტული დარბაზი, გარე სპორტული მოედანი გამოიყენება ისეთი აქტივობების განსახორციელებლად, როგორიცაა: შეხვედრები, საზეიმო ღონისძიებები, შეჯიბრებები. სკოლის საკლასო ოთახები და სააქტო დარბაზი გამოიყენება მშობლებთან შეხვედრების ჩასატარებლად. სკოლის ეზო გამოიყენება საზეიმო ღონისძიებებისათვის. მოსწავლეებს გაკვეთილების დასრულების შემდეგ და დასვენებებზე საშუალება აქვთ ისარგებლონ სკოლის რეკრეაციული სივრცეებით. სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეებში შემოქმედებითი, სოციალური და თანამშრომლობითი უნარების განვითარებას. ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე ექსპერტთა ჯგუფმა მიიჩნია, რომ სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

სკოლის ბალანსზე ირიცხება 1630 ცალი ერთადგილიანი მერხი და სკამი, 61 დაფა. სკოლის კომპიუტერულ ლაბორატორიაში განთავსებულია : 26 კომპიუტერი მოსწავლეთათვის და 1 მასწავლებლისთვის. **სპორტული აქტივობებისათვის** სკოლას აქვს სპორტული დარბაზი და ფეხბურთის სპორტული მოედანი. შეძენილი აქვს რაგბის, კალათბურთის ბურთები, შვედური კედელი, ფრენბურთის ბადე, კალათბურთის ფარები და სხვა სპორტული ინვენტარი.

სკოლის ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია 12612 ერთეული სახელმძღვანელო, 2766 ერთეული მხატვრული ლიტერატურა. მეთოდური სახელმძღვანელობი. სკოლას წარმოდგენილი აქვს ბიბლიოთეკის სარგებლობის წესი. ბიბლიოთეკა აღჭურვილია კომპიუტერებით;

საზოგადოებრივი მეცნიერებებს გაკვეთილებისთვის სკოლას შეძენილი აქვს რუკები, გლობუსები; საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიისთვის გამოყოფილია შენობის მესამე სართულზე საკლასო ოთახი მიმდებარე საცავით, რომელიც იკეტება. ლაბორატორია კომპლექსურია და აერთიანებს ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის დისციპლინებს. ლაბორატორიაში არის სადემონსტრაციო მაგიდა, რომელიც დაფარულია მინის ნაჭრით, ოთახი აღჭურვილია პროექტორით, პერსონალური კომპიუტერით და პრინტერით. ლაბორატორიის ღია კარადებში განლაგებულია სადემონსტრაციო მასალა ფიზიკის და ბიოლოგიის მასალებით. კედლებზე განთავსებულია პოსტერები მენდელეევის პერიოდულობის ცხრილით, მეტალთა ელექტროქიმიური ძაბვის მწკრივით, მოსწავლეთა ნამუშევრებით. ელექტრული დენის წყაროები დაცულია. საცავში კარადებში განთავსებულია ქიმიური ჭურჭელი და რეაგენტები, შტატივები და სხვა ხელსაწყოები. ქიმიური ნივთიერებები დაჯგუფებულია ნაერთთა კლასებად, აქვს შესაბამისი ეტიკეტები და დაშორება. საცავი აღჭურვილია სველი წერტილით. სკოლის მიერ წარმოდგენილია 2023-24 წლისთვის შეძენილი ქიმიური რეაგენტების ნუსხა და ღირებულება. ლაბორატორიაში: არ არის თვალსაჩინოდ გამოკრული ლაბორატორიაში უსაფრთხოდ მუშაობის წესები, არ არის ლაბორატორიის დატვირთვის განრიგი, არ არის გამწოვი კარადა, აგრესიული მჟავები არ ინახება სეიფში, არ არის ლაბორატორიაში ჯგუფური მუშაობისათვის საკმარისი ეკიპირება, არ არის სააფთიაქო საშუალებები პირველადი დახმარებისთვის, სადემონსტრაციო

მაგიდა არ არის დაფარული მჟავების და ტემპერატურის მიმართ მდგრადი ინერტული მასალით (კერამიკა ან ფოლგა), არ არის მოწყობილი ქიმიური ჭურჭლის საშრობი კედელი, აალების შემთხვევაში საჭიროა დერეფანში გასვლა და იქ მოთავსებული ცეცხლმაქრის გამოყენება

სკოლას მიეცა რჩევა ლაბორატორიაში თვალსაჩინო ადგილას გამოაკრას ლაბორატორიაში უსაფრთხოდ მუშაობის წესები, ლაბორატორიის დატვირთვის განრიგი. დაამონტაჟოს გამწოვი კარადა, აგრესიული მჟავები შეინახოს სეიფში, შეიძინოს ლაბორატორიაში ჯგუფური მუშაობისათვის საკმარისი ეკიპირება, მოიმარაგოს სააფთიაქო საშუალებები პირველადი დახმარებისათვის უზრუნველყოს სადემონსტრაციო მაგიდის ზედაპირის შეცვლა მჟავების და ტემპერატურის მიმართ მდგრადი ინერტული მასალით მოაწყოს ქიმიური ჭურჭლის საშრობი კედელი. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (09.10.2023 წ);
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანება;
- რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ..

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;

2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლის მიერ წარმოდგენილი ციფრული განვითარების გეგმის მიხედვით სულ სკოლაში არის 51 კომპიუტერი (38 დესქთოფ კომპიუტერი და 13 ლეპტოპი), 13 პროექტორი. რაც დასტურდება სკოლის ინვნტარიზაციითაც. წარმოდგენილი კომპიუტერული ტექნიკა განაწილებული შემდგი წესით: 2 აქვს დირექტორს, 1- დირექტორის მოადგილეს, 7-კათედრებს, 2 საქმის მწარმოებელს, 1-ბუღალტერს, 3-მანდატურებს, 1- ინფორმაციულ მენეჯერს, 2- ბიბლიოთეკარს; 3 სამასწავლებლოშია, 1 ექიმთან, 1 რესურსოთახში. 27 - კომპიუტერულ კლასში, დაწყებითი კლასების მასწავლებლებს პირად სარგებლობაში გადაცემული აქვთ 8 ლეპტოპი. სკოლა სარგებლობს სამინისტროს ოპტიკურ ბოჭკოვანი ინტერნეტით, რომელიც სკოლას 50Mbps სიჩქარით მოეწოდება; ინტერნეტის მოწოდებასთან დაკავშირებით არანაირი პრობლემები სკოლას არ აქვს; სამასწავლებლოში, კომპიუტერულ ლაბორატორიაში, ქიმიის ლაბორატორიაში, ფინანსური მენეჯერის ოთახში, რესურს ოთახში, ექიმის ოთახში, მანდატურების ოთახში, ბიბლიოთეკაში და ჰოლში ინტერნეტის კაბელი არის გაყვანილი და კაბელის საშუალებით არის მიერთებული კომპიუტერები ინტერნეტთან. სკოლაში არ არის WiFi - ით სრული დაფარვა. მხოლოდ რამდენიმე ადგილას არის ლოკალური WiFi როუტერი (ბიბლიოთეკაში, სასწავლო ნაწილის კაბინეტში, კომპიუტერულ ლაბორატორიაში და ფინანსური მენეჯერის კაბინეტში). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ** დადგენილი წესის შესაბამისად.

სკოლას კომპიუტერულ ლაბორატორიაში და ბიბლიოთეკაში მოწყობილი აქვს საზიარო სამუშაო სივრცე მოსწავლეებისათვის, რომელიც ხელმისაწვდომია საგაკვეთილო პროცესის დასრულების შემდეგ 17:00 საათამდე. საჭიროების შემთხვევაში მოსწავლეებს კომპიუტერთან მუშაობა საკლასო ოთახშიც შეუძლიათ ადმინისტრაციასთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე. საზიარო სამუშაო სივრცე მასწავლებლებისათვის მოწყობილია კომპიუტერულ ლაბორატორიაში და სამასწავლებლოში, რომელიც საგაკვეთილო პროცესის დასრულების შემდეგაც ასევე ხელმისაწვდომია პედაგოგებისთვის 17:00 საათმდე. სკოლას განსაზღვრული ჰყავს სამუშაო სივრცეზე პასუხისმგებელი პირები. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ციფრული განვითარების გეგმა;

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი.

სკოლის საქმისწარმოების წესი (2023 წლის 6 ოქტომბერი. ბრძანება N2-396) ადგენს ერთიან მოთხოვნებს სკოლის მმართველობითი საქმიანობის დოკუმენტირების, დოკუმენტბრუნვის, დოკუმენტების შესრულების კონტროლის ორგანიზებისა და დოკუმენტების შემდგომი შენახვისა და გამოყენებისათვის მოსამზადებლად და ვრცელდება ყველა სახის დოკუმენტაციაზე, მათ შორის ელექტრონულზეც. საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი, რომელთანაც გაფორმებულია შესაბამისი ხელშკრულება. სკოლაში შემოსული, გასული და შიდა დოკუმენტაცია ინახება Eflow დოკუმენტბრუნვის ელქტრონულ სისტმაში. **სკოლის მიერ გამოცემული საერთო ბრძანებები აღირიცხება საერთო ბრძანებების ჟურნალში, საკადრო ბრძანებები - საკადრო ბრძანებების ჟურნალში. ხელშეკრულებები აღირიცხება ხელშეკრულებების ჟურნალში. ყველა ჟურნალი დანომრილი, ზონარგაყრილი, ბეჭედდასმული და ხელმოწერილია უფლებამოსილი პირის მიერ. საქმისმწარმოებელი უზრუნველყოფს სკოლის არქივი დაცვას. მასთან დახურულ კარადებში ინახება ასევე მოსწავლეთა და მასწავლებლთა პირადი საქმეები. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა.**

სკოლა იყენებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას Eflow, eschool, Office 365, ელექტრონული ჟურნალი. მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და ჩარიცხვა-ამორიცხვის პროცესი წარიმართება eSchool-ს სისტემის მეშვეობით. ინფორმაციის და კორესპოდენციის მისაღებად სკოლაში გამოიყენება ელექტრონული ფოსტა, სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის სკოლა იყენებს სხვადასხვა ჯგუფებს სოციალურ ქსელში. სკოლას გამოყოფილი ჰყავს შესაბამისი პირი ბაზებთან სამუშაოდ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

სკოლა სარგებლობს ზოგადი განათლების მართვის ერთიანი სისტემით (eschool), რომელშიც აქვს სრულყოფილი პროფილი. სკოლას სრულად აქვს ასახული მონაცემები სკოლის ბარათზე, ინფორმაცია სკოლის პერსონალის შესახებ, მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მონაცემები, სკოლის მიერ შერჩეული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების ნუსხა.

ინდიკატორი დაკმაყოფილბულია

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.**

სკოლა იყენებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას. იგი საგანმანათლებლო რესურსცენტრის შუამდგომლობის საფუძველზე, მიმართავს საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს, ასევე, სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ სხვადასხვა საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს. იცავს საქმისწარმოებით განსაზღვრულ ვადებს და თანამშრომლობს აღნიშნულ უწყებებთან.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ციფრული განვითარების გეგმა;
- მატერიალური რესურსსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- რესურსების გამოყენების წესი;
- საქმისწარმოების წესი (2023 წლის 6 ოქტომბერი. ბრძანება N2-396);
- განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია

(განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლა საზოგადობის ინფორმირებისა და კომუნიკაციისათვის აქვს საკუთარი პროფილი skolebi. Emis.ge-ზე. გარდა აღნიშნულისა, სკოლას აქვს 2 ფეისბუქ გვედრი, რომლებიც აქტიურად მუშაობს, ერთი მხოლოდ მასწავლებლებისთვისაა და იქ ხდება ყველა საჭირო ინფორმაციის მიწოდება, ხოლო მეორე გვედრი საჯაროა და ხელმისაწვდომია სკოლის ნებისმიერი წევრისათვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**.

2.**სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას.**

სკოლა ინფორმაციას ავრცელებს სოციალური ქსელით და სკოლის ვბგვერდით. როგორც ვებგვერდზე, ასევე სოციალურ ქსელში განთავსებული ინფორმაცია სანდო/უტყუარია და მის გავრცელებაზე პასუხისმგებელია საინფორმაციო მენჯერი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.**

სკოლა, სასკოლო საზოგადოებასთან ურთიერთობისთვის, იყენებს კომუნიკაციის ხვადასხვა საშუალებებს, მათ შორის ტქნოლოგიებს. აღნიშნულის მტკიცებულებად სკოლამ წარმოადგინა სკოლის ფილოსოფიის სასკოლო საზოგადოებისათვის გაზირების პრაქტიკა. სკოლა გეგმავს, რომ სასკოლო საზოგადოებასთან გააგრძელებს აქტიურ კომუნიკაციას და სასკოლო საზოგადოების უკუკავშირს გამოიყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. ინდიკატორი მიმდინარე წარმოების ფარგლებში არ არის შეფასებადი.

4.სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას

სკოლას აქვს ვებგვერდი, ინფორმაცია ვებგვერდზე განთავსებულია ქართულ ენაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

დასკვნის პროექტში ასახული იყო „სკოლის ვებგვერდი შეიცავს საკონტაქტო ინფორმაციას, ინფორმაციას სკოლის ფილოსოფიის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების, სასკოლო საწავლო გეგმისა და სკოლის სტრუქტურის შესახებ. ვებგვერდზე არ არის შემდეგი ინფორმაცია: პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები“. სკოლამ უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრა 2023 წლის 24 ნოემბრამდე პერიოდი, რათა სრულად აესახა ინდიკატორით განსაზღვრული ინფორმაცია ვებგვერდზე. თუმცა არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას სკოლას შესაბამისი ინფორმაცია უკვე ასახული ჰქონდა ვებგვერდზე.გამომდინარე აქედან კომპონენტის შეფასება შეიცვალა სრული შესაბამისობით

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ვებგვერდი;
- სკოლის საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი (ბრძანება N2-384. 5.10.2023 წ))

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლის დაფინანსების ძირითადი წყაროა ვაუჩერული დაფინანსება, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ჩარიცხული ექიმის თანამდებობრივი სარგო, სსსმ მოსწავლეებისათვის განკუთვნილ ფულადი სახსრები, მასწავლებელთა დანამატი. სკოლის ფინანსურ მდგრადობას ხელს უწყობს ასევე იჯარით გაცემული ფართი. იჯარა გაცემულია კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით. სკოლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ფინანსური რესურსები გათვალისწინებულია სკოლის ბიუჯეტში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.**

სკოლის შესყიდვები ხორციელდება სკოლის მიერ დამტკიცებული სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის შესაბამისად. სკოლის პრაქტიკა ცხადყოფს, რომ სკოლა შეიმუშავებს როგორც საპროგნოზო, ასევე ფაქტობრივ ბიუჯეტს. ბიუჯეტის შემუშავებისას დაწესებულება ხელმძღვანელობს წინა წლის შემოსავლებისა და ხარჯების ანალიზით. განიხილავს მოსალოდნელ რისკებს, გარე ფაქტორებს. ახდენს თვიურ ფინანსურ ანგარიშგებას. სკოლის ბიუჯეტის დამტკიცება ხდება კანონმდებლობის შესაბამისად, ყოველწლიურად სამეურვეო საბჭოს სხდომაზე. წლის ბოლოს დგება ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტი, სადაც დეტალურად არის აღწერილი წლის განმავლობაში შემოსული და გახარჯული ფინანსური სახსრები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სამურვო საბჭოს სხდომის ოქმი N17;
- 2023 წლის ბიუჯეტი;
- 2023 წლის სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმა ბრძანება N2-313, 18 ნომბერი 2022 წელი;
- 2023 წლის სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის ბრძანება N2-313-ში (N2-408);
- დირქტორის წლიური ანგარიშგება სამეურვო საბჭოსთან.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა

სკოლა მოსწავლეთა უფლებების დაცვას ახორციელებს მოსწავლეთა უფლებების დაცვის სხვადასხვა მექანიზმებითა და აქტივობებით. უზრუნველყოფილია სკოლაში გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოსწავლეთა ჩართულობა. კერძოდ, მოსწავლეები წარმოდგენილი არიან სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებში: მოსწავლეთა თვითმმართველობა, სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო. მოსწავლეები მონაწილეობენ სხვადასხვა სამუშაო ჯგუფებში, მაგალითად, სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფში. სკოლას შემუშავებული აქვს სხვადასხვა რეგულაცია, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეთა უფლებების დაცვას, მაგალითად, სკოლის შინაგანაწესი, სადაც დეტალურადაა გაწერილი მოსწავლის დისციპლინური გადაცდომა და პასუხისმგებლობის სახეები. შინაგანაწესით გაწერილია, თუ რა ვადებში უნდა მოხდეს მოსწავლეებისთვის შინაგანაწესით გათვალისწინებული საკითხების გაცნობა. მოსწავლის უფლებებსა და ვალდებულებებზე საუბარია სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში. სკოლას აქვს ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული სკოლის შიდა ინსტრუქცია (დამტკიცებული სკოლის დირექტორის 2023 წლის 25 ოქტომბრის N2-422 ბრძანებით). სკოლის მანდატურები ასევე ზრუნავენ მოსწავლეთა უფლებების დაცვის საკითხებზე. სკოლას აქვს მოსწავლეთა შორის მედიაციის მარეგულირებელი წესი (დამტკიცებული სკოლის დირექტორის 2023 წლის 18 სექტემბრის 2-373

ბრძანებით), რომელიც განსაზღვრავს მედიაციის მიზნებს, მედიატორის მოვალეობებს, მედიაციის დაწყების საფუძვლებს და მედიატორის ფუნქციას, მედიაციის ეტაპებს, მედიაციის პროცესის დასრულების შემდეგ განსახორციელებელ ღონისძიებებს.
სკოლას შემუშავებული აქვს სკოლაში შემოსული განცხადებისა და საჩივრის განხილვის პროცედურა (დამტკიცებული სკოლის დირექტორის 2023 წლის 18 სექტემბრის 2-371 ბრძანებით). დოკუმენტში გაწერილია, როგორ ხდება საჩივრების წარდგენა სკოლაში, რა ინფორმაციას უნდა შეიცავდეს განცხადება, როგორ ხდება განხილვა, როგორია განხილვის ვადები, რა შემთხვევაში შეიძლება საჩივარი განუხილველად დარჩეს, დისციპლინურ სახდელზე გასაჩივრება, შიდა გამოცდის შედეგების გასაჩივრება.
სკოლას შემუშავებული აქვს დამრიგებლის დებულება (2022 წლის 14 სექტემბრის 2/244 ბრძანება), რომელიც დეტალურად აღწერს დამრიგებლის ფუნქციებს, სააღმზრდელო მიზნებს, რეკომენდაციებს სადამრიგებლო საათის პროგრამის განხორციელებაზე. აღნიშნული დებულებით დამრიგებელი ვალდებულია სასწავლო წლის დაწყებისას მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს გააცნოს შემდეგი დოკუმენტაცია: სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლის ქცევის კოდექსი, გრიფირებული და დამხმარე სახელმძღვანელოების ნუსხა, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები, ევაკუაციის გეგმა, საგანგებო სიტუაციის დროს სამოქმედო გეგმა და ქცევის წესები, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, სკოლაში არსებული მოსწავლეთა ზოგადი შეფასება, სკოლაში დაგეგმილი სხვადასხვა აქტივობები. სკოლას აქვს რემედიაციის პროგრამა და უზურნველყოფს ინდივიდუალურ გრაფიკებს მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით. სკოლაში სწავლობენ სსსმ მოსწავლეები, რომელთათვისაც უზრუნველყოფილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, მეცადინეობების განრიგი. სკოლის ყველა კლასს ჰყავს დამრიგებელი და შემუშავებული აქვს სადამრიგებლო პროგრამები.
კურიკულუმების შემუშავებაში მონაწილეობა დასტურდება მოსწავლეთა არჩევანის დაფიქსირებით მეორე ენასთან და არჩევით საგნებთან მიმართებაში. სასკოლო საზოგადოებას განსაზღვრული აქვს მოსწავლისა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ინდივიდუალური ინფორმირების მექანიზმები კონფიდენციალურობის დაცვით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

სკოლის შინაგანაწესის გაცნობის ფაქტი მშობელთა მხრიდან ფიქსირდება სკოლასა და მშობელს შორის ხელშეკრულებაზე ხელმოწერით და ასევე, სკოლას შემუშავებული აქვს სპეციალური ფორმა, რომელზეც მშობლები ხელმოწერით აფიქსირებენ, რომ იცნობენ სკოლის შინაგანაწესით გათვალისწინებულ საკითხებს. დამრიგებლის დებულების თანახმად, დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს /კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს. სკოლა სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის იყენებს სოციალურ ქსელში დახურულ სამუშაო ჯგუფებს, სკოლის საინფორმაციო დაფას, სკოლის ვებგვერდს. გასაჩივრების დოკუმენტით განსაზღვრულია, რომ სკოლა უზრუნველყოფს დოკუმენტში ასახული ინფორმაციის სასკოლო საზოგადოებისთვის მიწოდებას და მის საჯაროდ განთავსებას სკოლის სტენდზე, სოციალურ გვერდზე და ვებგვერდზე. **რჩევა: სკოლამ გასაჩივრების მექანიზმი გაასაჯაროვოს სკოლის ვებ-გვერდზე.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

სკოლას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან, სადაც დეტალურად არის გაწერილი როგორც სკოლის უფლება-ვალდებულებები, ასევე მშობლის და მოსწავლის უფლებები და ვალდებულებები. ხელშეკრულებაში ასახულია მოსწავლის პერსონალურ მონაცემთა გამოყენების შესახებ ინფორმაცია, ასევე სასწავლო და დასვენების უქმე დღეების შესახებ, მოქმედების ვადა, შეწყვეტის წესი, მხარეთა რეკვიზიტები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული სკოლის შიდა ინსტრუქცია;
- მოსწავლეთა შორის მედიაციის მარეგულირებელი წესი;
- დამრიგებლის დებულება;
- რემედიაციის დოკუმენტაცია;
- სემესტრული გამოცდის დოკუმენტაცია;
- სკოლასა და მშობელს შორის ხელშეკრულება;
- სკოლაში შემოსული განცხადებისა და საჩივრის განხილვის პროცედურა;
- საინფორმაციო დაფა.

4.1.2.სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები

სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვა, მობილობა, სტატუსის შეჩერება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერებისს მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, მოსწავლის ჩარიცხვის და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის“ შესაბამისად, შესაბამის ვადებში. პირველ ეტაპზე ირიცხებიან სსსმ მოსწავლეები მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე, მეორე ეტაპზე ირიცხებიან ის მოსწავლეები, რომელთა და-ძმა სწავლობს აღნიშნულ სკოლაში, ხოლო მესამე ეტაპზე ყველა სხვა სასკოლო ასაკის მოსწავლე. დაინტერესებული მხარეების ინფორმირებისთვის სკოლა აღნიშნულ ინფორმაციას ათავსებს საინფორმაციო დაფაზე და ფეისბუქ გვერდზე. სკოლა მოსწავლეთა სტატუსის შეჩერებასთან დაკავშირებით ეყრდნობა მოქმედ კანონმდებლობას. **ერთიანი დოკუმენტი, რომელშიც მკაფიოდ იქნება გამოკვეთილი მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის და სტატუსის შეჩერების პროცედურები სკოლას არ აქვს შემუშავებული.** არგუმენტირებულ პოზიციის წარმოდგენისას სკოლას ვებგვერდზე ატვირთული ჰქონდა შესაბამისი ინფორმაცია. რაც გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფმა და კომპონენტის შეფასება შეცვალა შესაბამისობით .

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს

სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვასა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების კანონმდებლობით განსაზღვრულ წესებს, რაც დასტურდება შესაბამისი მტკიცებულებებით. Eschool-ის დათვალიერებით დადასტურდა, რომ აღნიშნული პროცესები კანონმდებლობის შესაბამისად მიმდინარეობს სკოლაში. სკოლამ ასევე წარმოადგინა შესაბამისი ბრძანება - საფეხურის დაძლევის, მოსწავლის ჩარიცხვის და კლასიდან კლასში გადაყვანის. პირველკლასელთა ჩარიცხვა ხორციელდება კანონის შესაბამისად. განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების საფუძველზე ოთხ ეტაპად. სკოლაში კლასის დაძლევა ხდება თითოეულ საგანში შეფასებების მიხედვით. საფეხურის დაძლევის ბრძანებას გამოსცემს სკოლის დირექტორი. ასევე კანონმდებლობით დადგენილი წესით აბარებენ მოსწავლეები ექსტერნის გამოცდებს და უჩერდებათ მოსწავლის სტატუსი. აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის კანონმდებლობით განსაზღვრულ მექანიზმებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლას აქვს ფეისბუქგვერდი, სადაც განთავსებულია ინფორმაცია სკოლაში მიმდინარე აქტივობების შესახებ. სადამრიგებლო პროგრამის თანახმად დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებსა და მათ მშობლებს, კანონიერ წარმომადგენლებს

აცნობს სკოლის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტაციას და შიდა პოლიტიკას. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პროგრამებისა და პირობების, შესახებ ინფორმაცია თავსდება საინფორმაციო დაფაზე. ასევე ზიარდება დამრიგებლების მიერ შექმნილ მესენჯერ ჯგუფების საშუალებით. საინფორმაციო დაფაზე გამოკრულია შინაგანაწესი, სასკოლო კალენდარი, ცხრილი, დღის რეჟიმი. სკოლას აქვს ვებგვერდი, სადაც თავსდება ინფორმაცია.

სკოლას მიეცა რჩევა სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეები, პირობები, პროგრამები, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურები (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია განათავსოს ვებგვერდზე. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.**

სკოლის სოციალური გვერდის/ვებ-გვერდის ადმინისტრირებისთვის სკოლას გამოყოფილი ჰყავს პირი, რომელიც პასუხისმგებელია ინფორმაციის დროულად, გასაგებად მიწოდებაზე. კლასის დამრიგებლები სოციალური ქსელით დახურულ ჯგუფებში, სადამრიგებლო კრებებზე, პირადი კომუნიკაციის გზით ავრცელებენ სკოლასთან შეთანხმებულ ინფორმაციას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის Ffacebook გვერდი;
- დამრიგებლის დებულება;
- დამრიგებლის პორტფოლიო;
- ვებგვერდი;
- საინფორმაციო დაფა.

შეფასება:

- ○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- ○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი

სკოლას ბრძანება N2-376 (2023 წლის 25 სექტემბერი) დამტკიცებული აქვს მოსწავლეთა ადაპტაციის წესი. წარმოდგენილი წესით განსაზღვრულია მოსწავლის სკოლაში ადაპტაციის პრინციპები და მნიშვნელოვანი ფაქტორები, პირველკლასელთა, სსსმ მოსწავლეთა, მობილობით გადმოსულ მოსწავლეთა ადაპტაციის გზები. ადაპტაციისა და დეზადაპტაციის ნიშნები და შესაბამისი აქტივობები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2.სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან.

სკოლაში სსსმ მოსწავლის გადმოსვლის ან ჩარიცხვის შემთხვევაში ხდება ისგ ჯგუფების შექმნა. ისგ ჯგუფი შეიმუშვბს მოსწავლეზე მორგებულ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას. მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში, კანონმდებლობის დაცვით, ხდება ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტის დასაქმება. წარმოდგნილი მოსწავლის ადაპტაციის წესის მიხედვით სკოლა სწავლის დაწყების პირველივე დღიდან და სასწავლო პროცესში მობილობით გადმოსული მოსწავლის შემთხვევაში მისი სკოლაში გამოცხადების პირველივე დღიდან დამრიგებლის დახმარებით უზრუნველყოფს მოწავლისათვის მისი უფლებებისა და მოვალეობების, შინაგანაწესის, უსაფრთხოების ინსტრუქციების და სხვა გაცნობას, სკოლის დათვალიერებას. დამრიგებელი მუდმივ კომუნიკაციაშია ახალი მოსწავლის მშობელთან. **ინდიკტორი დაკმაყოფილებულია.**

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად

სკოლას სწავლაში სირთულეების მქონე მოსწავლეების დასახმარებლად შემუშავებული აქვს რემედიაციის წესი. მოსწავლეთა საჭიროებების დასადგენად სკოლა ატარებს სადიაგნოსტიკო წერებს პირველი სემესტრის დასრულებამდე 2 კვირის განმავლობაში, რათა დაადგინოს მოსწავლის ძლიერი და გასავითარებელი მხარეები და დაეხმარონ შედეგის გაუმჯობესებაში. საშემოდგომო გამოცდის დანიშვნის შემთხვევაში სასკოლო სასწავლო გეგმით სკოლა იღებს ვალდებულებას მოსწავლეებს გაუწიოს სათანადო დახმარება/კონსულტირება იმ საგნებში, რომელშიც დაენიშნათ აღნიშნული ტიპის გამოცდა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლა ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში მშობელს/კანონიერ წარმომადგენელსა და მოსწავლეს აცნობს სკოლის შინაგანაწესს (შინაგანაწესი ასევე წარმოადგენს სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს და მასზე ხელმოწერით მშობელი ადასტურებს შინაგანაწესის გაცნობის ფაქტს) და სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელ ნაწილებს, მათ შორის გამოცდების (სემესტრული, წლიური, საშემოდგომო, ექსტერნატის) სისტემას, ასარჩევი საგნების ჩამონათვალს, რითაც უზრუნველყოფს მათი კანონიერი უფლებებისა და ვალდებულებების გაცნობას. სკოლის მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების სურვილის გათვალისწინებით ხდება მეორე უცხოური ენის არჩევა ხოლო არჩევითი საგნების ჩამონათვალი განიხილება მოსწავლეებთან. მოსწავლეები იყენებენ სემესტრული ნიშნის ამაღლების შესაძლებლობას. მტკიცებულებად სკოლამ წარმოადგინა მშობლების განცხადებები სემესტრული ნიშნის ამაღლების თაობაზე და შესაბამისად სკოლის მიერ განხორციელებული აქტივობები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმი (ბრძანება N2-387, 5 ოქტომბერი 2023 წლის). წარმოდგენილი მქანიზმი ვრცლდება სკოლის ყველა მოსწავლეზე და ადგენს ინიციატივის წარდგენის და განხილვის ვადებს, ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერის პირობებს სკოლის მხრიდან. სკოლაში წახალისებულია არაფორმალური განათლება. სკოლაში ფუნქციონირებს 3 კლუბი: „ეკომცველები“, მისი მიზანია - VII-XI კლასების მოსწავლეებში ეკოლოგიური და სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება. მათი გარემოს ცვლილების ინიციატორებად გადაქცევა, კლუბი - ‘‘ნებულა’’, მისი მიზანია მოსწავლეებში მეცნიერებისა და ასტრონომიის მიმართ ინტერესების გაღვივება და კლუბი „ტვინების ბრძოლა“. ამ უკანასკნელი კლუბის მიზანია მოსწავლეების წახალისება და მომზადება რეგიონალური შეჯიბრისათვის, კლუბი „მზესუმზირები“ - რომლის მიზანიცაა მოსწავლეებისათვის თვითგამოხატვის შესაძლებლობების მიცემა, სასკოლო პროგრამების მხარდაჭერა; მოსწავლეებში კვლევის,

ანალიზის, ჯგუფური მუშაობისა და დისკუსიის უნარების გამოვლენა, ჩამოყალიბება და განვითარება. ყველა კლუბს აქვს წესდება და სამუშაო პროგრამა.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია,**

6.მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

სკოლის დირექტორის განმარტებით, **სკოლისთვის მნიშვნელოვანია უკუკავშირის მიღება და მისი გათვალისწინება საქმიანობის დაგეგმვისას. უკუკავშირს სკოლა ძირითადად იღებს როგორც ზეპირად, მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გასაუბრებით ასევე სოციალური ქსელით. თავად კლუბების შექმნის იდეაც მოსწავლეებისაგან მომდინარეობს. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლეთა ადაპტაციის წესი. (ბრძანება N2-376, 2023 წლის 25 სექტემბერი);
- ბრძანებები ისგ ჯგუფის შექმნაზე;
- დამრიგბლის დებულება;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- მოსწავლის ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმი (ბრძანება N2-387, 5 ოქტომბერი 2023 წლი);
- შინაგანაწესი;
- კლუბების წესდებები და სამოქმედო გეგმები.

4.2.2.სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის

დაწესებულებას სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული აქვს პროფსიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამა IX და XI კლასის მოსწავლეებისათვის, განსაზღვრულია პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები (ამავე კლასის დამრიგებლები). პროგრამის განხორცილებისათვის დათმობილია 4 საათი - XI და 8 საათი - IX კლასში. პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის ნაწილი სკოლას ჩაშენებული აქვს სადამრიგებლო გეგმებში. სკოლა ასევე მასპინძლობს უნივერსიტეტებისა და პროფესიული კოლეჯების წარმომადგენლებს, რომლებიც მოსწავლეებს აცნობენ საკუთარ პროგრამებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით.**

დირექციათან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ დამამთავრებელ კლასებში მოსწავლეები ეცნობიან საქართველოში არსებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შეთავაზებებს. სკოლა აწვდის ინფორმაციას შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის სერვისების შესახებ, ასევე ხორციელდება შეხვედრები პროფესიული კოლეჯების და სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლებთან, რომლებიც აწვდიან მოსწავლეებს თავისი სერვისების შესახებ ინფორმაციას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.**

დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლა გეგმავს გაწეული მომსახურების შეფასებას და შედეგების გათვალისწინებას მომსახურების გაუმჯობესების მიზნით. ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას ინდიკატორი ვერ ფასდება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა.

4.2.3.სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი

სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული აქვს ვინ შეიძლება იყოს სსსმ მოსწავლე, ინდივიდუალური გეგმის შედგენის პრინციპები, ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაზე პასუხისმგებელი ისგ ჯგუფის ფორმირების პროცესი, სსსმ მოსწავლის აკადემიური მოსწრების შეფასების, გაცდენების აღრიცხვის, სსსმ მოსწავლის შინსწავლების პრინციპები. გაწერილია ასევე სკოლის ვალდებულება, სკოლის მიერ განსახორციელებელი აქტივობები, რომლებიც ხელს შეუწყობს, რომ სსსმ მოსწავლემ სკოლაში თავი უსაფრთხოდ და დაცულად იგრძნოს. სკოლას შემუშავებული აქვს ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა (ბრძანება N2-372, 18 სექტემბერი 2023 წელი.). სკოლაში შექმნილია ინკლუზიური განათლების მონიტორინგის ჯგუფი და ასევე, ყველა სსსმ მოსწავლეზე არის ფორმირებული ისგ ჯგუფი და შემუშავებულია ინდივიდუალური გეგმები. სკოლაში მოსწავლეთა რეგისტრაცია ხორციელდება 4 ეტაპად. პირველ ეტაპზე რეგისტრირდებიან სსსმ მოსწავლეები. **ინდიკატორი დაკმაყოფილბულია,**

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სკოლაში ვიზიტის პერიოდში ფიქსირდებოდა 30 სსსმ მოსწავლე. ყველა მოსწავლის შემთხვევაში შესაბამისი ბრძანებით განსაზღვრული იყო ისგ ჯგუფი. სპეციალურ მასწავლებლებთან და დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ისგ ჯგუფი იკრიბება წელიწადში ოთხჯერ და მუშაობს ჯერ სსსმ მოსწავლისათვის ინდგეგმის შედგენაზე, ხოლო შემდეგ უკვე განიხილავს მოსწავლის მიერ ინდგეგმის დაძლევის შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახდენს ინდგეგმაში შესაბამისი ცვლილებების შეტანას. სკოლაში მუდმივად ხორციელდება სსსმ მოსწავლეების განვითარებისთვის საჭირო აქტივობები. ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმით განსაზღვრულია არანაკლებ 3 თვეში ერთხელ სსსმ მოსწავლის მშობლის ინფორმირება. მშობელი აქტიურადაა ჩართული ისგ ჯგუფის მუშაობაში და მისი ინტერესები გათვალისწინებულია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა (ბრძანება N2-372, 18 სექტემბერი 2023 წელი);
- ბრძანებები ისგ ჯგუფის ფორმირებაზე, ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმის დამტკიცებზე, მონიტორინგის ჯგუფზე;
- ისგ ჯგუფის ოქმები.

4.2.4.სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

სკოლა მოსწავლეებს არ სთვაზობს დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას .

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;

სკოლა მოსწავლეებს არ სთვაზობს დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას

3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

სკოლა მოსწავლეებს არ სთვაზობს დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.
ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას.**
სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტი ''სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია'', რომელიც სტანდარტულად აღწერს სასკოლო კურიკულუმის განვითარების ეტაპებს სწავლების თითოეული საფეხურისათვის, კურიკულუმის განვითარების პროცესის პრინციპებს, განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების მონაწილე მხარეების ფუნქციებს. კურიკულუმი განვითარების ყველა ეტაპზე ითვალისწინებს კათედრის წევრების და დირექციის აქტიურ თანამშრომლობას სასწავლო პროცესის განმავლობაში. კურიკულუმის კვლევა და შეფასება მიმდინარეობს შეთანხმების საფუძველზე როგორც სწავლების შედეგების დიაგნოსტირების, ასევე მასწავლებლების პედაგოგიური პრაქტიკის გაუმჯობესებისა და სკოლის ინსტიტუციური განვითარების მიმართულებით. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობით წინა სასწავლო წლის გამოცდილების გაანალიზებას და გათვალისწინებას, ინფორმაციის მოკრებას კვლევებისა და გამოკითხვების საფუძველზე. მასწავლებლები კათედრის სხდომებსა და სამუშაო შეხვედრებზე ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ გამოცდილებას, მსჯელობენ, აანალიზებენ პრობლემებს, აღნიშნავე წარმატებულ პრაქტიკას და გეგმავენ ცვლილებებს მომავალი წლისთვის, ეს ცვლილებები აისახება კურიკულუმებში. კათედრების შემაჯამებელი ოქმების მიხედვით, კათედრა მუშაობს შეფასების რუბრიკებზე, კათედრის ხელმძღვანელებმა წარმოადგინეს კათედრის სამუშაო გეგმები, რომელიც ასახავს კათედრაზე დაგეგმილ ღონისძიებებს, შემაჯამებელი დავალებების ჩატარებისა და ურთიერთდასწრების განრიგს.
რჩევა **სასურველია, კათედრის ოქმში/ ანგარიშში/სამოქმედო გეგმაში აისახოს დაწყებითი საფეხურის (ოთხწლედის ბუნებისმეტყველების მასწავლებელთა) გადაწყვეტილება სადიაგნოსტიკო შეფასების შესახებ, ასევე კლუბ ''მზესუმზირების" წესდებაში აისახოს დაწყებითი საფეხურის მოსწავლეთა შესაძლებლობა კლუბის წევრობის შესახებ, მით უფრო, რომ აქტივობებში მონაწილეობას იღებენ დაწყებითი კლასების მოსწავლეებიც.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**
სასკოლო კურიკულუმი ასახავს სკოლის მისიას, რომლის მთავარ ფოკუსში ექცევა მოსწავლეებში კულტურული მრავალფეროვნების მიმართ ემპათიის უნარის ჩამოყალიბება, სკოლის ხედვა უკავშირდება კონკრეტულ აქტივობას, შექმნას საინფორმაციო -

საგანმანათლებლო სივრცეები, სადაც წარმოდგენილი იქნება სასკოლო საზოგადოების ამსახველი კულტურული მრავალფეროვნება. სკოლის ღირებულებები აგრძელებს კულტურული მრავალფეროვნების თემას და წარმოადგენს ურთიერთპატივისცემის, ტოლერანტობის, კულტურული მრავალფეროვნების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას. ღირებულებები ასევე აღიარებს სასკოლო საზოგადოების თანასწორობას და დაცულობას. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით სტრატეგიული მიზნების ფორმირებას, რომელთა შორისაა ადამიანური რესურსის განვითარება, სასკოლო საზოგადოების ჩართულობის ამაღლება, მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება. სასკოლო კურიკულუმი ითვალისწინებს მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომებს, სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლის თანაბარუფლებიანობის დაცვას, მოტივაციას, ჩართულობას და დისციპლინას. საგნობრივი კურიკულუმები ისეა შემუშავებული, რომ წლის განმავლობაში მოსწავლეებმა სხვადასხვა ტიპის დავალებებზე შეძლონ მუშაობა. მაგ: 1-ლი კლასის კურიკულუმებში ასახულია კონტექსტ-მაგალითები, კომპლექსური დავალებების იდეები,რესურსები, რომელიც მორგებულია მოსწავლის ინტერესებს. მოცემულია მრავალფეროვანი ელექტრონული რესურსები, რაც ზრდის მოსწავლის დაინტერესებას. წარმოდგენილი ინტეგრირებული გაკვეთილებით მაგ. ''კონტინენტები და ოკეანეები'' დასტურდება მასწავლებელთა ურთიერთთანამშრომლობა და მოსწავლეთა მოტივირება. სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინება დასტურდება კათედრის მუშაობის დროსაც, როცა მასწავლებლები ირჩევენ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების მოდელებს, ირჩევენ დიაგოსტიკური შეფასების ფორმებს. მაგ. კათედრებზე იყენებენ შეფასების პირველ სამკომპონენტიან მოდელს და თანხმდებიან, რომ მომავალშიც კათედრა იხელმძღვანელებს ამ მოდელით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი სრულად ეფუძნება სასკოლო საზოგადოების მონაწილეობას კურიკულუმის შემუშავების პროცესში. ამ დოკუმენტის მიხედვით, კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს. ყოველი სასწავლო წლის დასასრულს, ხდება სასწავლო წლის მანძილზე მიღებული გამოცდილების კრიტიკულად გააზრება და კურიკულუმებში ცვლილებების შეტანა. ცვლილებები აისახება სასკოლო სასწავლო გეგმასა და საგნობრივ კურიკულუმებში. სამუშაო ვერსიის შემუშავების შემდეგ საგნობრივ კათედრებზე და სამეურვეო საბჭოზე მიმდინარეობს განხილვა და უკუკავშირის შეგროვება. უკუკავშირის საფუძველზე ყალიბდება სასკოლო კურიკულუმის საბოლოო რედაქცია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

სასკოლო საზოგადოების ინფორმირების და მათი მხრიდან უკუკავშირის მიღების მიზნით გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხები: სკოლის ვებ-გვერდი, სკოლის ოფიციალური გვერდი სოციალურ ქსელში Meta Facebook (ორი გვერდი), სკოლის თანამშრომლების დახურული ჯგუფი და სასაუბრო ''ჩათი''ამავე სოციალურ ქსელში, საზიარო სივრცე ელექტრონულ პლატფორმაზე Teams, ელექტრონული ჟურნალი. შენობის ღია სივრცეს სკოლა იყენებს კომუნიკაციისთვის, განათავსებს შესაბამისი ინფორმაციას, ასევე იყენებს სატელეფონო კავშირს. ინფორმაციის მიწოდება ხდება პირდაპირი კომუნიკაციის გზითაც: ბიბლიოთეკაში,

კომპიუტერულ ლაბორატორიაში, საკლასო ოთახებში. სკოლის ციფრული ტრანსფორმაციის დოკუმენტის მიხედვით, სკოლაში იგეგმება კათედრების მიერ საგანმანათლებლო პროცესში ელექტრონული რესურსების გამოყენება, დისტანციური თანამშრომლობა და ინფორმაციის გაცვლა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- კათედრის შემაჯამებელი ოქმი;
- სსგ შემუშავების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- ინტეგრირებული გაკვეთილის გეგმა;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- ციფრული ტრანსფორმაციის გეგმა;

  სკოლის ფბ გვერდი;
- კათედრის შემაჯამებელი ოქმი;
- კათედრის სამოქმედო გეგმა;

  სამურვეო საბჭოს სხდომის ოქმი;

  პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი;
- კლუბების წესდებები და ინიციატივები.

2.1.2.**კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს**

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

სკოლის მიერ წარმოდგენილია საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები სხვადასხვა საგნებში. დოკუმენტებიდან ჩანს, რომ მასწავლებლები გეგმავენ მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს, განსაზღვრავენ სწავლების გრძელვადიან და შუალედურ მიზნებს, სავალდებულო თემების მიხედვით განსაზღვრავენ საკითხთა კლასტერებს, აორგანიზებენ რესურსებს. კურიკულუმებში მოცემულია კომპლექსური დავალებები, მათი შესაბამისი კონტექსტ - მაგალითები, მაგალითები შედარებისთვის, რომლებიც იწვევს მოსწავლის დაინტერესებას. ახალი ცოდნის კონსტრუირებისთვის შეთავაზებულია კონტექსტ-მაგალითები, რომელთა გაანალიზება მოსწავლეებს მიიყვანს სამიზნე ცოდნის დაუფლებისკენ, ხელს შეუწყობს მოცემული საკითხის გააზრებას. მაგ: მეორე კლასის ბუნებისმეტყველების კურიკულუმში თემის ''წყალი, როგორც გარემო'', საკითხის ''ცოცხალი ბუნება'' დამუშავების დროს შეთავაზებულია კონტექსტ-მაგალითი, რომელიც გამოიწვევს მოსწავლის დაინტერესებას, კომპლექსური დავალება ითვალისწინებს ტბის დიორამის შექმნას, რომლის შექმნის და წარდგენის დროსაც მოსწავლეს ეძლევა საშუალება თავად ააგოს ცოდნა, შექმნას პროდუქტი, გაიაზროს საკითხი. მათმატიკის საგნობრივი პროგრამები აჩვენებს, თუ როგორ ხდება მოსწავლის მიერ ცოდნის კონსტრუირება ამ საგანში, წარმოდგენილია შესაბამის თემები და საკითხები. კურიკულუმების დიზაინი აგებულია იმგვარად, რომ მარტივად ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე: მათემატიკური მოდელი, კანონზომიერება და ლოგიკა. ქაართული ენის კურიკულუმს თან ახლავს დანართის სახით კომპლექსური დავალების ბარათი და შეფასების განმავითარებელი რუბრიკა. დაწყებით საფეხურზე მოსწავლეთა საჭიროებებისა და ინტერესების დადგენის მიზნით შემუშავებულია სადამრიგებლო პროგრამა, ხორციელდება სასკოლო ღონისძიებები: ფარნავაზიდან გოგებაშვილამდე, ფუნქციონირებენ კლუბები: მზესუმზირები, ეკომცველები და ნებულა. უცხოური ენის კათედრა უპირატესობას ანიჭებს კომპლექსური ბუნების დავალებებს, რომელთა შესრულებასაც მოსწავლის მთლიან პიროვნული ინტეგრირებული გამოცდილება და მაღალი სააზროვნო უნარები დასჭირდება. საზოგადოებრივ მეცნიერებებში (მე და საზოგადოება და ჩვენი საქართველო) კურიკულუმები ასევე წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის გზას. კერძოდ, კურიკულუმის ჩარჩოებში დაგეგმილია მოსწავლეთათვის საინტერესო ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან ახლოს მდგომი საკითხების შესწავლა, მათზე მუშაობა მოსწავლეებში გამოიწვევს ინტერესს, ცნობისმოყვარეობას, მისცემს ავტონომიურობისა და შემოქმედებითობის გამოვლენის საშუალებას. კომპიუტერული ტექნოლოგიებში - პროცესი ასევე წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ დაგეგმვას: მაგ.კურიკულუმის ჩარჩოებში გაწერილი კომპლექსური დავალებები რესურსები, მოსწავლეთა ასაკის, ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებითაა შერჩეული. **მასწავლებელს მიეცა რჩევა, რომ მოხდეს ყველა კლასის კურიკულუმში ყველა სამიზნე ცნების დამუშავება და საგნის კურიკულუმში ასახვა ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად.** სკოლის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის დაწყებითი საფეხურის 1-6 კლასისთვის შემუშავებული და წარმოდგენილი კურიკულუმები შედგენილი და მორგებულია მოსწავლეზე შერჩეულია სასწავლო თემები, რომელიც შეესაბამება სკოლის სპორტულ ბაზას, უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის ინტერესების გათვალისწინებას და შესაბამისად მათი განვითარების გზას. წარმოდგენილი კურიკულუმი შეესაბამება მესამე თაობის ე,ს.გ. სტანდატებს). შექმნილი კურიკულუმის ჩარჩო, თემები და კომპლექსური დავალებები ადასტურებს, რომ სასწავლო პროგრამა ეყრდნობა წინარე გამოცდილებას და შექმნილია გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით. წარმოდგენილი კათედრის ოქმებიდან და ინტერვიუდან იკვეთება პედაგოგების ურთიერთთანამშრომლობა სასწავლო შინაარსთან ერთად მოსწავლეთა ინტერესის, შესაძლებლობის და წინარე ცოდნის გათვალისწინების კუთხით. სკოლას მიეცა რჩევა: ბუნბისმეტყველებაში კურიკულუმის

განვითარების მიზნით შეირჩეს კონტექსტ-მაგალითი მე-5 კლასში მოცემული საკითხისთვის ''მზის სისტემა'', მე-6 კლასის კურიკულუმის განვითარების მიზნით ჩამოყალიბდეს შუალედური მიზანი თემებისთვისთვის ''ენერგია და მისი გარდაქმნა'' და '' ადამიანის სხეული და ჯანმრთელობა'', თემის ფარგლებში შერჩეულ საკითხებზე შესაბამისად შეიქმნას განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. მათემატიკაში დაამატონ მე-3 - მე-6 კლასში ელ. რესურსებს, Geogebra, Mathigon, WolframAplha-ს პლატფორმებიდან. სახვითი ხელოვნების დაწყებითი საფეხურის I-IV კლასის კურიკულუმებში თემატური ბლოკები სადაც არ არის დამუშავებული ოთხივე სამიზნე ცნება სასურველია ჩასწორდეს იმდაგვარად, რომ თემატური ბლოკის ფარგლებში დამუშავდეს სტანდარტით გათვალისწინებული ოთხივე სამიზნე ცნება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები).

სკოლის დაწყებითი საფეხურის წლიური კურიკულუმები დაგეგმილია საგნობრივი სტანდარტისა და გრიფირებული სახელმძღვანელოების მიხედვით, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, სასწავლო პროცესი დაგეგმილია სავალდებულო თემებით, რომლის ფარგლებშიც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა შედეგი. ჩანს თუ რა საგნობრივ საკითხებს, კომლექსურ დავალებებს, თემებს, ძირითად რესურსებს, შეფასების ინსტრუმენტებს სთავაზობს სკოლა საკუთარ მოსწავლეებს პიროვნული განვითარებისთვის და ასევე ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მისაღწევად. პედაგოგთა მიერ ძირითადად გააზრებულია შედეგები, სამიზნე ცნებები, მკვიდრი წარმოდგენები გრძელვადიან მიზნებად, ჩანს კორელაცია გრძელვადიან მიზნებსა და შეფასების ინსტრუმენტებს შორის. ქართულ ენაში მითითებულია ისეთი კონტექსტ-მაგალითები, რომლებიც მოსწავლის ტრანსფერს უწყობს ხელს. 1-ელ კლასში სამიზნე ცნებაზე - ტექსტი, სიტყვა, წინადადება- გასასვლელად მასწავლებელს ძირითად ტექსტად და კონტექსტმაგალითებად შერჩეული აქვს გ. ბედოშვილის ზღაპრი: ,,აპრილიდან აპრილამდე", „ბომბორა" ანიმაცია სასწავლო რესურსები: მოსწავლის წიგნი, გამოყენებული ტექსტები: გ. ბედოშვილის ზღაპრი:,აპრილიდან აპრილამდე", დანართი ნათია ჯანაშიას ლექსი ,,დათვის ბელი", სავარჯიშოები მოსწავლის რვეულიდან, რომლის საშუალებითაც მოსწავლეები მუშაობენ კომპლექსურ დავალებაზე- საკლასო ოთახის აღწერა; ბიბოს და ბუბას პირველი დღე ტყის საკლასო ოთახში (ეპიზოდის დახატვა). მთავარი ფოკუსი სამიზნე ცნებებია. სასწავლო პროცესში მუშაობა სწორედ მათ მიემართება და კურიკულმშიც მკაფიოდ იკვეთება ეს ორიენტირებულობა. დაწყებით საფეხურზე მოსწავლეები ქმნიან შემოქმედებით პროდუქტებს: ილუსტრირებული ანბანის გვერდის შექმნა, დედისთვის მისალოცი ბარათის შექმნა, ხელნაკეთი თოჯინას დამზადების პროცესისა და თოჯინას აღწერა, რომელთა საშუალებითაც ისინი ეუფლებიან გლობალურ ფუნქციურ უნარებს (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია და სხვ.). ბუნებისმეტყვლებაში მასწავლებლებმა წარმოადგინეს მოსწავლეთა ნამუშევრები: მზის სისტემის მოდელები, გზის მაკეტები, წყლის ბრუნვა ბუნებაში - პოსტერები. სკოლის ფბ გვერდი ასახავს მოსწავლეთა მუშაობას გაკვეთილზე კვებითი ჯაჭვების შესახებ ოკეანის ეკოსისტემაში, ასევე გარემოსდაცვითი ღონისძიების შესახებ სკოლის ეზოში.

ამრიგად, კომპლექსური ბუნები დავალებები იძლევა საფუძველს გლობალური ფუნქციური უნარების (6 უნარი) და მაკრო ცნებების გააქტიურებისა, ასევე სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები მიემართება მაკრო ცნებებსა და ფუნქციურ-კომპონენტურ უნარებს. საგნობრივ კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური ბუნების დავალებები შეიცავს გამოწვევას, იწვევს

ცნობისმოყვარეობას, ხელს უწყობს შემოქმედობითობას, იწვევს ემოციურ კმაყოფილებას. მაგ მეხუთე კლასის საგნობრივ კურიკულუმში წარმოდგენილია შემდეგი კომპლექსური ბუნების დავალება: თამაშის შექმნა ვიზუალური პროგრამირების გარემოში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს

დაწყებით საფეხურზე საგნების სწავლების პროცესის შინაარსი მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებზე, კერძოდ საგნობრივი კურიკულუმები, მოსწავლეთა შეფასების დოკუმენტები, კომპლექსური დავალების ბარათები ასახავს კონკრეტული მოსწავლეების ინტერესებს, შესაძლებლობებსა და საჭიროებებს. ყველა თემა ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მის გამოცდილებას და წინარე ცოდნას, რაც კურიკულუმს აახლოებს ცხოვრებისეულ სიტუაციებთან და ხელს უწყობს ფუნქციური უნარების განვითარებას; საერთო ჯამში კურიკულუმებში, შუალედური სასწავლო მიზნის მიღწევის აუცილებელ ინსტრუმენტად კომპლექსური დავალებებია წარმოედგენილი, რომელიც საშუალებას აძლევს მასწავლებელს გაითვალისწინოს მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები და საჭიროებები და შესაბამისი დავალება შესთავაზოს მათ. საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი მოსწავლეთათვის ნაცნობი კონტექსტ მაგალითები, მათზე დაფუძნებული კომპლექსური დავალების იდეები, მრავალფეროვანი შემოქმედებით პროდუქტები (ტელე-სიუჟეტის მომზადება მეხანძრეებზე, კომიქსის შექმნა, ქართლის ციხე სიმაგრეების ბუკლეტის დამზადება, ბუკლეტის დამზადება სათაფლიის გამოქვაბულის შესახებ, საინფორმაციო პოსტერის დამზადება და სხვა) იძლევა საშუალებას მოხდეს დიფერენცირება მოსწავლეთა მზაობის შესაბამისად. ცალკეულ შემთხვევაში, მასწავლებლებს აქვთ მომზადებული კმპლექსური დავალების ადაპტირებული ვერსიები. დიფერნენცირებული/ინკლუზიური მიდგომებისათვის მასწავლებლები იყენებენ სხვადასხვა საშუალებებს: შექმნილია მოქნილი სასწავლო სივრცე, რაც ხელს უწყობს მოსწავლეს გამოხატოს თავისი ინტერესები, საჭიროებები და შესაძლებლობები, მაგ., გამოყოფილია საკლასო ოთახი, სადაც მიმდინარეობს საბუნებისმეტყველო დისციპლინებში დაგეგმილი ლაბორატორიული სამუშაოები. სასწავლო კურიკულუმები დაწყებით საფეხურზე აგებულია კონსტრუქტივისტული პრინციპით, ითვალისწინებს მოსწავლის წინარე ცოდნას, ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე, შეთავაზებული რესურსები მრავალფეროვანია და შეესაბამება მოსწავლეთა ინტერესებს, ხელს უწყობს მათ ჩართულობას სასწავლო პროცესში. კურიკულუმები სთავაზობს მოსწავლეებს კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომელიც მოსწავლეს აძლევს შესაძლებლობას გამოხატოს საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება. დავალებების ფარგლებში მოსწავლეს შეუძლია პროდუქტის სხვადასხვა ფორმით წარდგენა. ინდგეგმებში გაწერილია სსსმ მოსწავლის საჭიროება, მისი დაკმაყოფილების გზები, მოსწავლის ინტერესები და ინდივიდუალურ შესაძლებლობები, აგრეთვე, ყველა დამატებით აქტივობა (დრო, რესურსები, პასუხისმგებელი პირო და სხვა), რომელიც აუცილებელია გეგმით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად. სასკოლო გეგმაში გაწერილია შინ სწავლების მომსახურეობის პირობები და სკოლის ვალდებულებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს.**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით და პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში მასწავლებლები იყენებენ როგორც განმავითარებელ შეფასებას, ასევე განმსაზღვრელ შეფასებას მე-5 კლასის მეორე სემესტრიდან მე-6 კლასის ჩათვლით. საგნების მიხედვით

წარმოადგენილია კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე დაფუძნებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელიც სამიზნე ცნებასთან დაკავშირებულ მკვიდრ წარმოდგენებს განსაზღვრავს. ასე მაგალითად, სამიზნე ცნებით - კოდირება-დეკოდირება -მკვიდრი წარმოდგენების - წარმოთქმული სიტყვა შედგება ბგერებისგან; სიტყვის დასაწერად ვიყენებთ ასოებს; ასოები აღნიშნავს ბგერებს; . ასოები სხვადასხვა ნაწილისგან შედგება და სხვადასხვაგვარად განლაგდება ბადიან სტრიქონზე - ჩამოსაყალიბებლად შერჩეულია კრიტერიუმები - 1. ნახატის შესაბამისი წინადადებების ამორჩევა და სასურველ ადგილას მიწებება. 2. ახლადშესწავლილ ბგერებს შეუსაბამოს ასოები; წინადადებების დათვლა მის მიერ აწყობილ ტექსტში; 3. წინადადებების დეკოდირება და შესაბამისი ილუსტრაციის შექმნა. დაწყებით საფეხურზე მასწავლებლები აქტიურად იყენებენ მოსწავლეთა თვითშეფასების რუბრიკებს. სკოლას **მიეცა რჩევა, ქართულ ენაში მე-2 და მე-4 კლასების კურიკულუმში შემაჯამებელი განმავითარებელი შეფასების რუბრიკა (კომპლექსურ დავალებაზე დაფუძნებული) შეივსოს სრულად, ხოლო მე-3, მე-5 და მე-6 კლასების კურიკულუმში ჩაშენდეს კომპლექსური დავალების პირობები, რომელსაც თან ერთვის სრულად შევსებული შემაჯამებელი განმავითარებელი შეფასების რუბრიკა (კომპლექსურ დავალებაზე დაფუძნებული). ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5. **დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით და პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრები სისტემატურად ხვდება ერთმანეთს და უზიარებს წინარე გამოცდილებას, იმ გამოწვევებს, რომლის მოგვარებასაც ახალი სასწავლო წლიდან აპირებენ, რათა უკეთესად დაგეგმონ სასწავლო პროცესი. სკოლამ წარმოადგინა კათედრის სხდომის ოქმები, რომელშიც განსაკუთრებული აქცენტია გადატანილი წინარე გამოცდილების გათვალისწინებით კურიკულუმის შემუშავებაზე და სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებზე, რომელთა შესახებაც ინფორმაციის მოგროვებასა და ანალიზს ახორციელებენ სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. ეს ინფორმაცია იკითხება სკოლის მიერ წარმოდგენილი გაკვეთილზე ურთიერთდასწრების უკუკავშირიდანაც. კათედრა ახორციელებს მოსწავლეთა ნამუშევრების, შემაჯამებელი დავალებების შეფასებასა და ანალიზს, სკოლა ითვალისწინებს მოსწავლეების, კოლეგებისა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირსა და რეფლექსიისა და პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის შედეგებს და ა.შ. მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებისა და სწავლის პროცესის მხარდაჭერის მიზნით სკოლა იყენებს ხარისხის განვითარების მექანიზმებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

- საგნობრივი კურიკულუმები;
- განმავითარებელი და განმსაზრვრელი შეფასების რუბრიკები;
- სსსმ მოსწავლეზე გაწერილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმების ნიმუშები;
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- კათედრის შემაჯამებელი ოქმები;
- 2023-24 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა.

შეფასება:
გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება
2.2.1.სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1. **სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას.**
დაწყებითი საფეხურის საგნობრივ კურიკულუმში შეტანილი დავალებები, საშუალებას აძლევს მოსწავლეს შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. კათედრებმა ამის დასტურად წარმოადგინეს კურიკულუმები და გასაუბრებისას ზეპირად აღწერეს მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები. მასწავლებლებს სასწავლო პროცესში გააზრებული აქვთ, რომ ახალი მასალის, ინფორმაციის დამუშავების პროცესში მასწავლებლის როლი განისაზღვრება ორგანიზებული მიზნობრივი გარემოს შექმნაში, სადაც გამოწვევები დაკავშირებული იქნება მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებასთან და მიმართული იქნება სამიზნე ცნებების გააზრებაზე. კათედრა ამ ყველაფრის საფუძველზე ასაბუთებს, რომ სასწავლო პროცესი ხელს უწყობს აქტიურ სწავლასა და მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გაღვივებას. დაწყებითი საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივ კურიკულუმებში ჩაშენებულია კომპლექსური დავალებები, იძლევა აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. მოსწავლეები ქმნიან შემოქმედებით პროდუქტებს - ეპიზოდის დახატვა, პოსტერი, მისალოცი ბარათი, საახალწლო ლექსიკონი, ხელნაკეთი თოჯინას აღწერა, ილუსტრირებული ანბანის გვერდი და სხვ. მე-4 კლასში, ბუნებისმეტყველებაში, შეთავაზებულია კომპლექსური დავალება წყლის ციკლის წარმოდგენა კომიქსით/ნახატებით, რომელიც

მოსწავლეს დააფიქრებს გარემოს ისეთ ცვლილებებზე, როგორიცაა შემცირებული ნალექები (წვიმა, თოვლი) სხვადასხვა სეზონზე. მე-3 კლასში წარმოსახვითი მოგზაურობა კოსმოსური ხომალდით მზის სისტემაში - იწვევს მოსწავლეთა მაღალ ჩართულობას, უბიძგებს შეიძინოს ახალი ცოდნა დაკვირვებით და აღმოჩენებით. წარმოდგენილი ნამუშევრები ადასტურებს მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩართულობას. საზოგადოებრივი მეცნიერებებში წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების დავალებები ნაცნობ კონტექტსებზე დაყრდნობით მოსწავლეს შესაძლებლობას აძლევს თავი წარმოიდგინოს სხვადასხვა რეალურ გარემოში, განსხვავებული კონტექსტების საფუძველზე შექმნას შემოქმედებითი პროდუქტები (კომიქსი , სიუჟეტი , სტატია, მოხსენება, ბუკლეტი). კომპიუტერული ტექნოლოგიებში წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმის მიხედვით სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს ინტეგრირებულ გაკვეთილებსა და ინტეგრირებულ პროექტებს, როგორიცაა მათემატიკა და ტექნოლოგიები. სპორტში საფეხურის ფარგლებში დაგეგმილია ფესტივალები სადაც ჩართულია ყველა მოსწავლე. სკოლაში ფუნქციონირებს „მზესუმზირების“ კლუბი, რომლის წესდება და სამუშაო გეგმა ითვალისწინებს მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესში ჩართულობას. პედაგოგები საგნობრივ ოქმებში, გასაუბრების პროცესში აფიქსირებენ ამ აქტივობების მნიშვნელობას მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვისთვის. მასწავლებლებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ მათ აქვთ ერთობლივი მუშაობის დიდი გამოცდილება და მუშაობისას უფრო კომპლექსურად უდგებიან კომპლექსური დავალებების დაგეგმვას, საგნობრივი კურიკულუმების დახვეწის/განვითარების პროცესში ასახავენ საინტერესო, ცხოვრებისეულ კონტექსტ-მაგალითებზე დაფუძნებულ კომპლექსურ დავალებებსა და სხვადასხვა აქტივობას. ცდილობენ, ყოველდღიურად გამოიყენონ ასეთი მიდგომები, რათა სასწავლო პროცესი მუდმივად იყოს განახლებადი და აქტიური. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით**

სასწავლო პროცესი დაწყებით საფეხურზე ხელს უწყობს ახალი ცოდნის კონსტრუირებას მოსწავლის წინარე ცოდნაზე დაყრდნობით, რაც დასტურდება კურიკულუმით, ინტერვიუს დროს ხაზგასმული სასწავლო პროექტებით, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებებით, სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალებით/რესურსებით. სკოლის მიერ წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები მოსწავლისათვის ნაცნობ კონტექსტშია განხილული, რომელიც დაეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებას, დამუშავებასა და გააზრებაში. კურიკულუმის თემა, თემის საკვანძო შეკითხვები, სასკოლო პროექტების ინიცირების წახალისება და მოსწავლისთვის საინტერესო არაფორმალური განათლების ელემენტები - ეს ყველაფერი ეხმარება მოსწავლეს ახალი ცოდნის კონსტრუირებაში წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. მაგ. მე-2 კლასში მოსწავლეებს უკვე აქვთ ცოდნა საახალწლო ტერმინოლოგიის შესახებ, აქვთ ამ თემასთან დაკავშირებით ლექსიკის გარკვეული მარაგი. იხსენებენ და ასახელებენ ასეთ სიტყვებს. კომპლექსურ დავალებაში მოსწავლეებმა უნდა შექმნან საახალწლო ნაძვის ხის ბარათები, რომლებიც პაატა მამფორიას მოთხრობა ,,საახალწლო ლექსიკონის“ იდეის გამომხატველი იქნება. მოსწავლეებმა პაატა მამფორიას მოთხრობაში გამოყენებულ ნაძვის ხის ბარათების სიტყვებს უნდა დაამატონ ახალ წელთან, საახალწლო სურვილებთან, ნუგბართან დაკავშირებული სხვა სიტყვები, უნდა დაწერონ ნახატებით გაფორმებულ, ფერად ფურცლებზე, მიუწერონ განმარტებები და შექმნან საახალწლო ლექსიკონი და ლამაზ ბარათებზე დაწერილი სიტყვებით მორთონ კლასის ნაძვის ხე. ბუნებისმეტყველებაში, მე-4 კლასში თემა ციკლური პროცესების სწავლებისას, მოსწავლე ჯერ ექსპერიმენტებს აკვირდება ვიდეორესურსის დახმარებით, შემდეგ ატარებს მარტივ ცდებს - აორთქლება, კონდენსირება,

დნობა, შემდეგ უკავშირებს საყვარელი ანიმაციური პერსონაჟის ემოციებს ''თოვლის გუნდა''და იქმნის წარმოდგენას წყლის წრებრუნვის შესახებ. პედაგოგები გასაუბრებისას აღნიშნავენ, რომ მნიშვნელოვანია სასკოლო პროექტების ინიცირების წახალისება და მოსწავლისთვის საინტერესო არაფორმალური განათლების ელემენტების დაგეგმვა/განცორციელება, რათა დაეხმაროს სასწავლო პროცესს მოსწავლის გამოცდილებასთან მიახლოებაში, რაც მისი ეფექტიანობის მნიშვნელოვანი წინაპირობა იქნება. **ინდიკატორი დაკმაყოფილბულია.**

3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე.

დაწყებით საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო კურიკულუმში იკითხება, რომ მიმდინარე სასწავლო წელს დაგეგმილი პროცესები ხელს შეუწყობს მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურებასა და ახალ ცოდნამდე მიყვანის პროცესს. კურიკულუმის ჩარჩოები აგებულია თემების გათვალისწინებით, რაც ნაცნობი კონტექსტია მოსწავლისთვის და დაეხმარება მათ ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში, დამუშავებასა და გააზრებაში. კურიკულუმის ჩარჩოში ჩაშენებულ დავალების ნიმუშებში ჩანს მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტი, მაგ, კომპლექსური დავალების შესრულებისას მოსწავლეს უწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა. (მაგ. ეხმარება ზღაპრის პერსონაჟს მათემატიკური თავსატეხების ამოხსნაში). სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზით, გამოიკვეთა, რომ საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვა/განხორციელებისას პედაგოგები ცდილობენ, გაითვალისწინონ სწავლა-სწავლების მიზნები: მოსწავლეს განუვითარონ ევროკავშირის მიერ განსაზღვრული XXI საუკუნის რვა საკვანძო კომპეტენცია. მათ შორის არის პერსონალური, სოციალური და სწავლის სწავლის კომპეტენცია, რაც გულისხმობს იმას, რომ მოსწავლეს შეუძლია დავალების/შესასრულებელი საქმიანობის ღირებულების განსაზღვრა, დავალების/აქტივობის დაგეგმვა, სწავლის პროცესის მონიტორინგი, სწავლის, როგორც ქცევის სოციო-ემოციური მართვა. დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ მათი მხრიდან მხარდაჭერილია მოსწავლის რეფლექსია შესრულებულ სამუშაოზე და წარმოდგენილია მოსწავლის თვითშეფასების ბარათის ნიმუშები შესრულებული დავალებების ანალიზზე: რა შეასრულა კარგად, რა ცოდნამ, გამოცდილებამ და სტრატეგიამ მოუტანა წარმატება, რა ხელისშემშლელი ფაქტორები გამოიკვეთა, როგორ გაუმკლავდა ამ ფაქტორებს, რისი პრევენცია შეიძლებოდა თავიდან დაგეგმვის შემთხვევაში. პედაგოგებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ მოსწავლეებს ძალიან მოსწონთ თვითშეფასება, რაც უადვილებთ მათ მეტაკოგნიტურ პროცესებს. მეტაკოგნიციაზე აქცენტი ისახება სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზსა და ანგარიშებში. სკოლაში არსებული რესურსები მათ შორის, სკოლის კომპიუტერული ლაბორატორია (26 კომპიუტერი) იძლევა მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილების გათვალისწინებით დამოუკიდებლად სწავლის საშუალებას. მოსწავლეები ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათ შეძენილი ფიზიკური თვისებების; ორგანიზებულობის და თვითკონტროლის; ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს. **სკოლას მიეცა რჩევა ბუნებისმეტყველებაში, რომ სასურველია, შეიქმნას განმავითარებელი შეფასების ისეთი ტიპის რუბრიკები, რომელიც ხელს შეუწყობს კათედრის მიერ შერჩეული სადიაგნოსტიკო შეფასებების მესამე ინსტრუმენტის ეფექტურად გამოყენებას. ინდიკატორი დაკმაყოფილბულია**

4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული).

დაწყებით საფეხურზე კათედრის მიერ არჩეული კომპლექსური დავალებების პირობები, მოითხოვს საგნობრივი საკითხის დამუშავებას, ცოდნის დადასტურებას, სწავლის სტრატეგიების ფლობას, გარკვეული პროცედურების შესრულებას, პრობლემის გადაჭრას და ცოდნის ცხოვრებისეულ კონტექსტთან დაკავშირებით შემოქმედებითი პროდუქტის შექმნას. კომპლექსური დავალების იდეები ისეა ფორმულირებული, რომ მოსწავლეს უწევს, როგორც რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის მოძებნა. წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებში ჩანს, რომ მოსწავლეები არ სწავლობენ საკითხებს განყენებულად, არამედ აქცენტი გადატანილია ცოდნის პროცედურულ და პირობისეულ ტრანსფორმაციაში. კურიკულუმებში გაწერილი კომპლექსური დავალების იდეებიც სწორედ ამას მოწმობს. მოსწავლეებმა შეძენილი ცოდნა უნდა აქციონ პოსტერად, მისალოც ბარათად, გამაფრთხილებელ აბრად, წერილად და ა.შ. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობა თავის თავში გულისხმობს ცოდნის სამივე კატეგორიაზე ორიენტირებულობას. ასევე, ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა იკვეთება მიმდინარე საკლასო თუ არაფორმალურ აქტივობებში, როგორ უნდა გამოიყენონ მიღებული ცოდნა შემდგომ ცხოვრებისეულ სიტუაციებში. მაგალითად, საგან მე და საზოგადოებაში დაგეგმილი კომპლექსური დავალების იდეა გულისხმობს ბუკლეტის შექმნას ინტერნეტის მოხმარებასთან დაკავშირებულ საფრთხეებზე. რაც მოითხოვს მოსწავლემ გაიაზროს ინტერნეტ უსაფრთხოების საკითხები. დაფიქრდეს, რისთვის ქმნის ბუკლეტს და შექმნას შესაბამისად (ცოდნის სამი კატეგორია). ასევე არაფორმალური აქტივობები მოიაზრებს მოსწავლის მიერ პრობლემის ანალიზს, საჭირო რესურსების მოძიებას და კონკრეტული პრობლემის მიხედვით დამუშავებას. სკოლის თვითშეფასების განაცხადის თანახმად და მასწავლებელებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლა კვლავაც გეგმავს პროექტული, პრობლემაზე ორიენტირებული აქტივობების განხორციელებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან გამოიკვეთა, რომ პედაგოგებს გაცნობიერებული აქვთ სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებისა და ურთიერთდაკავშირებისთვის კურიკულუმების როლი, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ და მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ თვალსაზრისით. კურიკულუმებში გაწერილია თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, როგორც საკვანძო ასპექტები, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას გვაძლევს. რადგან კომპლექსური ბუნების დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შემქნაზე, ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. მოსწავლეები დაწყებით საფეხურზე ქმნიან პოსტერებს, წერილებს, გამაფრთხილებელ აბრებს, დღიურებს, თხზავენ ამბავს ნახატის მიხედვით, საკუთარ მოსაზრებას ასაბუთებენ და ა.შ. მასწავლებლები ამ მიმართულებით აქტიურად ახორციელებენ ინტეგრირებულ გაკვეთილებსა და პროექტებს. მათემატიკის კომპლექსური დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევებთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შექნაზე, ბუნებისმეტყველებაში დაგეგმილი პრაქტიკული დავალებები ხელს უწყობს ცოდნის ურთიერთდაკავშირებას და ტრანსფერს. მაგ;მე-4 კლასში წყლის ციკლის წარმოსახვისათვის მოსწავლე ჯერ ვიდეო რესურსს ეცნობა, შემდეგ ცდებს ატარებს, აკვირდება თოვლის გუნდის ტრანსფორმაციას წვიმად ქართულ ანიმაციურ ფილმში და ამის შემდეგ

შეძლებს წყლის წრებრუნვა გამოსახოს ნახატის/კომიქსის სახით, დაუკავშიროს სეზონური მოვლენები (წვიმა, თოვლი) შესწავლილ საკითხს. დოკუმენტაციაში წარმოდგენილია ინტეგრირებული გაკვეთილის გეგმა- ოკეანეებისა და კონტინენტების შესახებ(ინგლისური, ბუნებისმეტყველება), სადაც მოსწავლეებს საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად შესწავლის შესაძლებლობა აქვთ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმი;
- კომპლექსური დავალების სრული ნიმუშები **(ინსტრუქციით);**
- საეტაპო აქტივობები;
- კომპლექსური დავალების ბარათები;

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით**

სკოლისთვის მნიშვნელოვანია, რომ სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ იყოს გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებსა (რესურსებს,მასალას) და საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექანიზმს) შორის. ამას უზრუნველყოფს კარგად გაწერილი კურიკულუმი. სკოლის მიერ წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში სტრუქტურულ ერთეულებს შორის მიმართებები სწორია. მნიშვნელოვანია რეალიზებული კომპლექსური დავალებები და მათზე

რეფლექსია, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, აგრეთვე, პედაგოგებთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია შემდეგნაირად: მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხს, ისმება საკვანძო შეკითხვები, განიხილება კომპლექსური დავალების პირობა და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს ეხმარება მასალის სიღრმისეულ გააზრებაში. საბოლოოდ, მოსწავლის მიერ იქმნება კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით. მაგ: 1-ლი კლასის კომპლექსური დავალების იდეაა ''გზის მაკეტის მოდელირება'', რომლის შესაქმნელადაც გააზებულია სამიზნე ცნებები და ქვეცნებები თემის ფარგლებში ''სახლი და სკოლა, როგორც გარემო'', კურიკულუმში ორგანიზებულია შესაბამისი კონტექსტ-მაგალითი და რესურსები, მათ შორის ვიდეორესურსი - ქუჩაში უსაფრთხოს გადადგილების წესები. სკოლაში ფუნქციონირებს „მზესუმზირების“ კლუბი, რომელიც, ასევე, ხელს უწყობს მოსწავლეებში მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას

მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას, რადგან ისინი სასწავლო პროცესში საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას გადამწყვეტ უპირატესობას ანიჭებენ მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს და არა საგნობრივი საკითხების ამოწურვის „ვალდებულებას“. გასაუბრების დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ახალი სასწავლო წლისთვის საგაკვეთილო პროცესის დროს ყურადღებას გაამახვილებენ არა მხოლოდ საგნობრივ თემატიკაზე, არამედ მოსწავლის მრავალმხრივ/ჰოლისტურ განვითარებაზე, რაც გამოიხატება ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებაში, როგორიცაა: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი, ნებისყოფა/ნებელობა. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ემპათიური გრძნობების ჩამოყალიბებისათვის, ფსიქოსოციალური განვითარებისათვის სკოლაში ყურადღება ექცევა არაფორმალურ განათლებას, რაც ემსახურება მოსწავლეთა პიროვნულ ზრდას, ფსიქო-სოციალურ განვითარებას. კლუბებში გაერთიანება და არაფორმალურ განათლებაში ჩართვა მოსწავლეებში ემპათიის გრძნობას ზრდის. სკოლაში ამ მხრივ დიდი ფუნქცია ეკისრება დამრიგებელს და მის მუშაობას. ამ მიმართულებით დამრიგებლის როლი დიდია მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-ემოციურ განვითარებაში. დაწყებითი საფეხური მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალყურ განვითარებაში მნიშვნელოვანი პერიოდია. ისეთი საკვანძო კომპეტენციების განვითარება, როგორიცაა: თვითცნობიერება, თვითრეგულაცია, სოციალური ცნობიერება, ურთიერთობის უნარები, პასუხისმგებლობა გადაწყვეტილებაზე, საჭიროა ჩამოყალიბდეს უკვე დაწყებით საფეხურზე. მოსწავლე იზრდება და ვითარდება არა მხოლოდ ფიზიკურად, არამედ პიროვნულად, მისი სოციალური უნარების განვითარება, ემოციური ინტელექტის ჩამოყალიბება აქტიურად მიმდინარეობს სასკოლო გარემოში, სადაც კლასი მიკროსოციუმია. კომპლექსური დავალებების შესრულების დროს მოსწავლეს უწევს ითანამშრომლოს, დაამყაროს ჯანსაღი ურთიერთობები, შეაფასოს საკუთარი და მეგობრების ნამუშევრების ძლიერი და სუსტი მხარეები, გაიაზროს სხვების პოზიცია და გამოხატოს ემპათია სხვისი აზრის მიმართ. მოსწავლემ უნდა ისწავლოს ინდივიდუალური და გუნდური პასუხიმგებლობის გააზრება. საბუნებისმეტყველო საგნის კურიკულუმები იძლევა საშუალებას, შესთავაზოს მოსწავლეს მის ინტერესებზე, საჭიროებებზე და შესაძლებლობებზე მორგებული სასწავლო პროცესი. პროექტების შეთავაზება და სადამრიგებლო აქტივობები იძლევა საფუძველს მოსწავლემ აღმოაჩინოს საკუთარი ინტერესები და

განივითაროს თვალსაწიერი თანამოაზრეთა სოციუმში.დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. საგნობრივი საკითხები უკავშირდება ნაცნობ კონტექსტს, რაც მოსწავლეს პოზიტიურ დამოკიდებულებას უყალიბებს სწავლის მიმართ. კურიკულუმის ჩარჩოში მოცემული კომპლექსური ბუნების დავალებები დამხმარე საშუალებებია სასწავლო მიზნის მისაღწევად. გასაუბრებაზე გააჟღერეს, რომ სკოლაში ხორციელდება პროექტი"„ დემოკრატია მულტიკულტურულ საზოგადოებაში", რაც მოსწავლის თვითცნობიერების, სოციალური ცნობიერების, ურთიერთობისა და გადაწყვეტილებაზე პასუხისმგებლობის უნარების განვითარებაზეა ორიენტირებული. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ პროექტის ფარგლებში შეიქმნა მრავალფეროვანი პროდუქტები და პროექტის დასასრულს მოეწყო გამოფენა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. **შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე**

შეფასების სისტემა დაწყებით საფეხურზე ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. მოსწავლეების მიერ შესასრულებელი აქტივობები ფასდება მთლიანობაში და ეძლევა შესაბამისი უკუკავშირი. მოწავლეებს საშუალება აქვთ მთლიანობაში დაინახონ საკუთარი შესაძლებლობები კონკრეტულ დავალებასთან მიმართებით, გაიგონ რა აქვთ გამოსასწორებელი და იმუშაონ მის გაუმჯობესებაზე. მასწავლებლებს გააზრებული აქვთ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობა, მათ იციან განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების არსი, ამასთანავე შექმნილი აქვთ შეფასების ზოგადი რუბრიკები ანალიტიკური და ჰოლისტური. აქვთ შექმნილი კონკრეტულ თემაში, საკითხზე მორგებული შეფასების რუბრიკებიც, კათედრის სხდომებზე იხილავენ შემაჯამებელი სამუშაოს ანალიზის ფორმებს. აქვთ კომპლექსური დავალების განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით შეფასების გამოცდილება. მოსწავლეებისთვის ხშირად მიმართავენ თვითშეფასების რუბრიკებს. ქართული ენის კათედრა გეგმავს სადიაგნოსტიკო ტესტების ჩატარებას სემესტრში ერთხელ. სასწავლო წლის განმავლობაში პედაგოგები დააკვირდებიან მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, გააანალიზებენ და მიღებულ გამოცდილებას კვლავაც გაითვალისწინებენ მომდევნო სასწავლო სამუშაო პროცესში. კათედრების ოქმებიდან და ინტერვიუდან გამომდინარე, სასწავლო წლის მანძილზე მასწავლებლები იყენებდნენ განმავითარებელ შეფასებებს ძირითადად სიტყვიერი კომენტარების სახით, კათედრის შემაჯამებელი ოქმებში ასახულია ე წ SWOT ანალიზიც, რომელიც ეყრდნობა კათედრის მასწავლებეთა **აზრს. სკოლის ბუნებისმეტყველბის კათედრას მიეცა რჩევა - სასურველია, კათედრის მიერ გამოვლენილი სუსტი მხარეები გაანალიზდეს ერთობლივად, გადავიდეს კათედრის სამოქმედო გეგმაში და თითოეული პუნქტის გაუმჯობესების/აღმოფხვრის მიზნით მიზნით დაიგეგმოს შესაბამისი აქტივობები.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლა სასწავლო პროცესში უზრუნველყოფს შეფასების სისტემის ვალიდურობას, გამჭვირვალეობას, სანდოობას, ობიექტურობასა და სამართლიანობას. კომპლექსური დავალების პირობას საგნობრივი საკითხის დაანონსებისთანავე სკოლა აცნობს როგორც მოსწავლეს, ასევე, მის მშობელს. შეფასების კრიტერიუმის ვალიდურობას მასწავლებელი ამოწმებს სამიზნე ცნებებზე მუშაობის პროცესში. ხდება შეფასება იმისა, თუ როგორ ასაბუთებს მოსწავლე იმას, რომ მის მიერ წარმოდგენილი დავალება შეესაბამება სამიზნე ცნებით განსაზღვრულ საკითხს, როგორ იაზრებს თემას. შეფასების სისტემა ცნობილი და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებისათვის. სასკოლო სასწავლო გეგმაში იკითხება ინფორმაცია შეფასების მიზნის, ამოცანებისა და დიაგნოსტიკური წერების შესახებ. შეფასების ანალიზის შედეგად

გამოკვეთილი ძირითადი მიგნებების საფუძველზე საჭიროების შემთხვევაში ხორციელდება ცვლილება. ეს საკითხები განიხილება მშობელთა კრებებზე, კათედრაზე, პედსაბჭოს სხდომებზე. საშუალო საფეხურის პედაგოგები 2023 – 2024 სასწავლო წლისთვის გეგმავენ მოსწავლეთა უფრო მეტ ჩართულობას შეფასების ინსტრუმენტების დახვეწასა და გამოყენებაში, რაც გაზრდის შეფასების სისტემის ხარისხს მეტი ობიექტურობისა და სამართლიანობის თვალსაზრისით. **ინდიკატორი დაკმაყოფილბულია.**

5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტში გაწერილია ვრიფიკაციის მიზანი, ამოცანები, პრინციპები. ვერიფიკაციისათვის სკოლამ შეიძლება გამოიყენოს სადიაგნოსტიკო წერები, წლიური თუ სემესტრული გამოცდები, შემაჯამებელი სამუშაოები. ვერიფიკაციის მექანიზმი ეფუძნება შეფასების პრინციპებს და განსაზღვრავს პროცედურებს. დოკუმენტით განსაზღვრულია ვერიფიკაციაზე პასუხისმგებელი პირები - მათ შორის დირექტორის მოადგილე, ვერიფიკაციის ჯგუფები სკოლის ბაზაზე, რომლებიც წარმომადგენლობითია (სხვადასხვა მიზნით, პროცედურით, ინსტრუმენტით) სხვადასხვა პროცესების შეფასების დროს. ინტერვიუს დროს მასწავლებლები ადასტურებენ, რომ სკოლაში მოქმედებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც ესწრება გაკვეთილებს, აძლევს უკუკავშირს. ვერიფიკაციის პროცედურა ეხმარება მასწავლებლებს კურიკულუმის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში იმისათვის, რომ ყველასათვის ნათელი იყოს მათი პასუხისმგებლობები სწავლების ხარისხის უზრუნველყოფასა და შეფასებასთან დაკავშირებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

სკოლაში დაცულია კანონმდებლობით განსაზღვრული რეგულაციები დოკუმენტების წარმოებასა და მათ შენახვასთან დაკავშირებით. სასკოლო სასწავლოგეგმის მიხედვით, სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებების აღრიცხვასა და დაცვას არანაკლებ სამი წლის ვადით. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- განმავითარებელი და განმსაზრვრელი შეფასების რუბრიკები;
- კურიკულუმში შერჩეული კომპლექსური დავალების სრული ნიმუში (ინსტრუქციით);
- საეტაპო აქტივობები;
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- შეფასების რუბრიკები;
- კათედრის შემაჯამებელი ოქმები.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო.

წარმოდგენილი დოკუმენტების და დაწყებითი საფეხურის პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სასკოლო საზოგადოება ცდილობს შექმნას სასწავლო პროცესისათვის ღია/მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო, რომელსაც უზრუნველყოფს სასკოლო სასწავლო გეგმის თითოეული პუნქტი და მასში გაწერილი საკითხები, მათ შორის მოსწავლეზე ორიენტირებული სკოლის მისია და ხედვა, საათობრივი ბადე, შემუშავებული საგნობრივი პროგრამები, მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები, საგნობრივი კათედრების მუშაობის პრინციპები და სხვ. პედაგოგებთან გასაუბრებისას იკვეთება, რომ სკოლაში საკმაოდ ღია და მიმღებლობითი, პოზიტიური სასკოლო კლიმატია. თანამშრომლობითი და პოზიტიური კომუნიკაციაა სასკოლო საზოგადოების წევრთა შორის. მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან, მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან. კათედრის ყველა წევრი ზრუნავს თანამშრომლობითი კულტურის განვითარებასა და გამოცდილების გაზიარებაზე, ისინი ხშირად ერთობლივად გეგმავენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს, პროექტებს, უზიარებენ გამოცდილებას, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ უკუკავშირსა და საჭიროების შემთხვევაში რეკომენდაციებს. სკოლაში სასწავლო წლის დასაწყისში მუშავდება სასკოლო კურიკულუმი. სკოლისთვის პრიორიტეტია შექმნას კულტურული მრავალფეროვნების მხარდამჭერი, პოზიტიური და მაღალი მიმღებლობის გარემო, რაც ჩანს სკოლის მისიაში. ასეთი გარემოს შექმნას უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადება. სასწავლო პროცესის წარმატებით განხორციელებისათვის შექმნილია მხარდაჭერასა და ურთიერთპატივისცემაზე ორიენტირებული გარემო. მოსწავლეები ინფორმირებულები არიან სკოლაში მოქმედი არაფორმალური სასწავლო-საგანმანათლებლო აქტივობების, კლუბების შესახებ. შემუშავებულია საგნობრივი კათედრების მუშაობის გეგმები, ინდ. გეგმები. მოსწავლეებს აქვთ საშუალება ესგ სტანდარტით გათვალისწინებული არჩევითი საგნებიდან აირჩიონ სასურველი საგანი, წლის განმავლობაში მოსწავლეები იღებენ განმავითარებელ შეფასებებს,რაც მიმართულია სწავლების შედეგების გაუმჯობესებისაკენ. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორი ხელს უწყობს სკოლაში შეიქმნას მხარდამჭერი და მიმღებლობითი სასკოლო გარემო. ინდიკატორი დამაყოფილებულია

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

წარმოდგენილი დოკუმენტების და პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ორიენტირებული არიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე, მათ ინდივიდუალურ მხარდაჭერაზე. ეს აისახება საგნობრივ კურიკულუმებში, რომელშიც გაწერილია კომპლექსური დავალებები, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჩართვას სასწავლო პროცესში. მასწავლებლები ქმნიან უსაფრთხო გარემოს მოსწავლეებთან თანამშრომლობით, ხელს უწყობენ და ახალისებენ თვითრეგულირებად ქცევას, მოსწავლეებში

თანამშრომლობითი უნარების განვითარებას. პედაგოგები აღნიშნავენ, რომ მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობა სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და რეგულირებაში ძალიან მნიშვნელოვანია. ამისათვის ისინი ატარებენ სადამრიგებლო სამუშაოებს, მოსწავლეები სხვადასხვა აქტივობაში იღებენ მონაწილეობას. მასწავლებლები, როგორც მოსწავლის გამოცდილების არქიტექტორები, ზრუნავენ თანასწორობის პრინციპებზე აგებულ უსაფრთხო გარემოს შექმნაზე მოსწავლეებთან თანამშრომლობით, უზრუნველყოფენ ყველა მოსწავლის ჩართვას სასწავლო პროცესში, ამისათვის კი იყენებენ კლასის მართვის ეფექტიან სტრატეგიებს, ხელს უწყობენ და ახალისებენ თვითრეგულირებად ქცევას, მოსწავლეებში თანამშრომლობითი უნარების განვითარებას და ქმნიან ეფექტურ გარემოს მოსწავლეთა პოტენციალის რეალიზებისთვის. სასწავლო პროცესის მოსწვალეზე ორიენტირებულად წარმართვის ხელშემწყობად მოიაზრება არსებული საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც მოსწავლეებს სთავაზობს კომპლექსური ბუნების დავალებებს, სადაც მოსწავლე თავად არის სასწავლო პროცესის დამგემავი, რაც ზრდის ავტონომიურობის განცდას. არაფორმალური აქტივობები ასევე მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებზე და ხელს უწყობს თანამშრომლობითი, უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნას. შეფასება ემსახურება მოსწავლეთა პროგრესის ხელშეწყობას. სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში ასახულია სასწავლო პროცესის წარმართვის მექანიზმები, რომელშიც იკვეთება მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო გარემო. ფიზიკური აღზრდის და სპორტის პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეები ჩართულნი არიან, სხვადასხვას სახის სპორტულ ოლიმპიადებში, სასკოლო სპორტულ ფესტივალებში, რომლებიც მოსწავლეების ინტერესებსაა მორგებული და მათზეა ორიენტირებული. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას.

პედაგოგებთან ინტერვიუს დროს, აგრეთვე სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების (კურიკულუმი, საკლუბო საქმიანობა, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი, მასწავლებელთა და კათედრების ანგარიშები, სადამრიგებლო საათი) გაცნობით იკვეთება, რომ ეფექტურად მიმდინარეობს თანამშრომლობა სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის (მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი, სკოლის დირექცია, ადმინისტრაცია). კომუნიკაცია (ზოგჯერ, საჭიროებისამებრ, ონლაინ) არის უწყვეტი და დინამიკური, სასწავლო პროცესი ეფუძნება გამოცდილების გაზიარებასა და აქტიურ კომუნიკაციას. დაწყებითი საფეხურის პედაგოგები უზიარებენ კოლეგებს გამოცდილებას, ადგენენ კურიკულუმებს, ერთობლივად მუშაობენ კომპლექსურ დავალებებზე, პროექტებზე. წარმოდგენილია ინტეგრირებული გაკვეთილების გეგმები, რაც ადასტურებს კათედრებს შორის ურთიერთთანამშრომლობის ფაქტს. ათედრის ყველა წევრი მაქსიმალურადაა ჩართული გადაწყვეტილების მიღების პროცესში, სამუშაო შეხვედრების პროცესში. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი ახორციელებს გაკვეთილზე დასწრებას. ჯგუფის მიზანი და ამოცანაა მონიტორინგისა და შეფასების სისტემის სრულყოფის გზით სკოლაში სწავლების ხარისხის ამაღლებაზე ზრუნვა, დაკვირვების შედეგად ხდება კოლეგებისათვის უკუკავშირის მიცემა, რაც არა მხოლოდ სწავლების ხარისხისთვის ზრუნვაა, არამედ ხელს უწყობს მასწავლებლის პროფესიული საჭიროებების გამოვლენას და პროფესიული განვითარების მხარდაჭერას, სკოლაში მაღალი თანამშრომლობითი კულტურის, პოზიტიური, საქმიანი, განვითარებაზე ორიენტირებული გარემოს შექმნას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4..უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე

პედაგოგებთან ინტერვიუს დროს, გამოიკვეთა, რომ სასკოლო საზოგადოების წევრები ჩართული არიან სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში. სკოლის თანამშრომლები მუდმივად ერთვებიან ერთმანეთის სამუშაოებში და ადვილად ახერხებენ ურთიერთდასწრებას, გამოცდილების გაზიარებას, რჩევა/რეკომენდაციების მიცემას. მასწავლებლებმა პირისპირ გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ პოზიტიური სასკოლო კლიმატის შესაქმნელად ცდილობენ წაახალისონ სამოქალაქო არაფორმალური განათლების აქტივობებსა და პროექტებში მოსწავლეთა ჩართულობა, დამრიგებლები თავიანთ ანგარიშებში წარმოაჩენენ მშობელთა ჩართულობის ფორმებსა და აქტივობებს. ეს აქტივობები სკოლას გაწერილი აქვს სასკოლო სასწავლო გეგმაში და არა მხოლოდ ერთი მიმართულებით, არამედ კომპლექსურად, იქნება ეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სწავლა-სწავლების ხარისხი, პროფესიული განვითარება, უსაფრთხო გარემო თუ სხვა. სკოლაში წახალისებულია თანამშრომლობა, კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი. სწავლა-სწავლების დროს, პროექტებზე მუშაობისას, კომპლექსური დავალებების შესრულების დროს აქცენტი კეთდება მოსწავლეთა წარმატებებზე და არა მარცხზე, ეს კი ხელს უწყობს მოსწავლეებში მოტივაციის ამაღლებას და საკუთარი შესაძლებლობების მეტად გამოვლენას, რაც დაწყებით საფეხურზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. სადამრიგებლო საქმიანობა ხელს უწყობს კლასის დონეზე პოზიტიური გარემოს შექმნას, თანამშრომლობას, მოსწავლის პასუხისმგებლობისა და ვალდებულების გრძნობის განვითარებას, მოსწავლეების პიროვნულ ზრდასა და მათი ძირითადი ღირებულებების ჩამოყალიბებას, ამავე დროს, დამრიგებლის ინსტიტუტი სადამრიგებლო საქმიანობის რეფლექსიის საფუძველზე იძლევა მასწავლებლის პროფესიული ზრდის საშუალებას. სკოლას წარმოდგენილი აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, სადაც გეგმავს იმუშაოს რამდენიმე მიმართულებით, მათ შორის უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს შექმნა (სტრატეგიული მიზანი 4). სასკოლო კულტურის პოზიტიური გარემოს შექმნისათვის სკოლას განხორციელებული აქვს არაერთი პროექტი, მაგ. ინტეგრირებული პროექტი„ დემოკრატია მულტიკულტურულ საზოგადოებაში“, რაც სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის თანამშრომლობის და ემპათიის უნარების განვითარებაზეა ორიენტირებული. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმი;
- 2023-24 სასკოლო სასწავლო გეგმა;
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- მოსწავლეთა მიერ შესრულებული კომპლექსური დავალებები;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა ;
- ინტეგრირებული გაკვეთილები;
- აკვეთილზე დაკვირვების ფორმა;
- ოსწავლეთა ნამუშევრები;
- კოლის ფბ გვერდი;

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად

სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის ზოგადი ჩარჩო, სადაც გაწერილია კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასების ძირითადი პრინციპები. დოკუმენტის მხედვით დანერგვის მონიტორინგი სასწავლო პროცესთანაა შერწყმული და ხორციელდება კათედრისა და დირექციის თანამშრომლობით, კვლევა და შეფასება თანხმდება ფორმატზე და მოიცავს სამ მიმართულებას: მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებას ესგ-თან მიმართებით, მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას სკოლის ბაზაზე და სკოლის ინსტიტუციურ განვითარებას. ჩამოყალიბებულია მიზნები და ამოცანები, ინფორმაციის შეგროვების და ვადების ფორმები, ჩართული და პასუხისმგებელი მხარეები, კონცეპტუალური და ორგანიზაციული საკითხები, გაწერილია შესრულების მონიტორინგში მონაწილე მხარეები,მიმართულებები. სკოლამ ასევე წარმოადგინა ერთლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც განსაზღვრავს სტრატეგიულ მიზნებს, აქტივობებს, პასუხისმგებელ პირებს და რესურსებს. თანდართულ დოკუმენტებში და პედაგოგებთან ინტერვიუების საფუძველზე დასტურდება, რომ სკოლა იმუშავებს ამ მიმართულებით და დოკუმენტში უფრო კონკრეტულად ასახავს, თუ როგორ (რა საშუალებებით) განხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. სასკოლო საზოგადოებას გააზრებული აქვს, რომ კურიკულუმის განვითარება არის ციკლური პროცესი და მონიტორინგი და შეფასება ამ პროცესის განუყოფელი ნაწილია. სკოლა, ასევე, ცალსახად გამოკვეთს მონაცემთა მიზნობრიობას, მათი შეგროვებისა და ანალიზის პროცესებს, როგორ შეიძლება აისახოს მიღებული შედეგები

კურიკულუმისა და სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესებისათვის, განსაზღვრავს ინდიკატორებს, რომელიც შესაძლებლობას მისცემს სკოლას გაზომოს როგორც პროცესი, რა განხორციელდა მიზნის მისაღწევად, ასევე შედეგები და პასუხი გასცეს კითხვებს: მიმდინარეობს თუ არა აქტივობები დაგეგმილის მიხედვით? მოახდინა თუ არა ცვლილება პროგრამის აქტივობებმა? სკოლაში მონიტორინგი და შეფასება მოხდება სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. ►კოლა დააკვირდება სასწავლო პროცესს და მასწავლებელს მისცემს კონსტრუქციულ განმავითარებელ შეფასებას. სკოლის მზაობა გამოჩნდა, როცა წარმოადგინეს დიაგნოსტიკური შეფასების ახალი ინსტრუმენტის შაბლონური ფორმები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას.

სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში სკოლას გაწერილი აქვს კურიკულუმის შემუშავებაში მნიშვნელოვანი საკითხები: კონცეპტუალური ჩარჩო, დიზაინი (მოსწავლის განვითარების გზა, მასწავლებლების პრაქტიკული საქმიანობა, ინდივიდუალური თუ ალტერნატიული სასწავლო გეგმა), საგნები საფეხურების მიხედვით და მათი ორიენტირება გრძელვადიან მიზნებზე, სწავლების მეთოდები და სტრატეგიები. სასკოლო საზოგადოების ჩართულობა მოიცავს მასწავლებლის, კათედრის, დირექციის დონეს. გაკვეთილზე დავირვებით, მასწავლებლის მიერ ჩანიშნული ეფექტიანი ან გასაუმჯობესებელი აქტივობებით ხდება კათედრაზე მსჯელობა, დარდება პარალელური კლასების პედაგოგიურ პრაქტიკას, მოსწავლეთა მიღწევებს, ყალიბდება კურიკულუმში შესატანი ცვლილებები. სხდომის შინაარსი კათედრის ყველა წევრის და დირექციისათვის ხელმისაწვდომია და საფუძვლად ედება სასკოლო კურიკულუმის განვითარებას. ხარისხის განვითარების ჯგუფი, დებულების შესაბამისად, ახდენს სასწავლო პროცესის მონიტორინგს და აძლევს მასწავლებელს შესაბამის უკუკავშირს. როგორც სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაშია აღნიშნული სკოლაში კვლევა და შეფასება ჩატარდება და წარიმართება სამი მიმართულებით: 1. მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით, სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად 2. სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობელების გადაჭრისთვის), 3. სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის). ამრიგად, მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოლოგია განსაზღვრავს კურიკულუმის განვითარების ციკლურობას და თვითოეულ ეტაპზე მოინიტორინგის და შეფასების მნიშვნელობას. ინტერვიუთი დასტურდება, რომ მასწავლებლები გეგმავენ, სასწავლო პროცესის მანძილზე ურთიერთთანამშრომლობით გამოკვეთონ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას წარმოშობილი პრობლემები, იმსჯელონ გადაწყვეტის გზებზე, რომ კურიკულუმის შეფასება გახდეს შესაბამისი, მოსწავლისთვის, მასწავლებლისთვის და სკოლისათვის უფრო სასარგებლო, მიმართული სასწავლო შედეგების გაუმჯობესებისკენ. სკოლაში კვლევა და შეფასება ჩატარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით, სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან. სასწავლო პროცესში, ვლინდება საჭიროებები და ხდება

უკუკავშირის და რეკომენდაციების ერთწლიანი პაკეტის შემუშავება. შეფასების და მონიტორინგის სამი მიმართულებიდან ზუსტად ორი მიმართულება: მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება და სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარება, მიმართულია ზუსტად ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად.

რჩევა- სპორტის პედაგოგებმა სამომავლოდ დაწყებით საფეხურზე შეიმუშაონ სადიაგნოსტიკო კვლევის გეგმა და ანალიზი შეადგინონ საჭიროების მიხედვით მიზნის მისაღწევად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- შეფასების რუბრიკები;
- კურიკულუმი;
- კომპლექსური დავალების სრული(ინსტრუქციით) ნიმუშები;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- კათდრისს ოქმები.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სკოლაში მოქმედებს შეფასების ჰოლისტური სისტემა, რომელიც გულისხმობს საგნის პედაგოგების მიერ მოსწავლეთა შეფასება მოხდეს სხვადასხვა კომპონენტის გათვალისწინებით. პედაგოგები, გამომდინარე იქედან, რომ მოსწავლეები ფასდებიან განმავითარებელთან ერთად განმსაზღვრელი შეფასებით, ცდილობენ შეფასება მოიცავდეს მრავალ კომპონენტს. მასწავლებლები აცნობიერებენ მოსწავლეთა თვითშეფასების და გაკვეთილის შეფასების მნიშვნლობას, აპირებენ განმავითარებელი შეფასებისას გამოიყენონ ინფორმაციის მოკრების სხვადასხვა წყარო და ფორმა. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს განმარტეს, რომ კათედრის შეხვედრის ოქმებს, ურთიერთდასწრების

შედეგებს გამოიყენებენ სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზისთვის. გამოკვეთილი პრობლემის შეფასებისა და მოგვარების მიზნით ინფორმაცია შეგროვდება რაც შეიძლება მრავალფეროვანი წყროებიდან: ეს შეიძლება იყოს მოსწავლე, თანატოლი, მშობელი, მასწავლებელი, დამრიგებელი, სკოლის სხვა პერსონალი და სხვა. სკოლას მიეცა რჩევა - ბუნებისმეტყველება განმავითარებელი შეფასების სრულყოფისათვის სასურველია უფრო ხშირად იყოს გამოყენებული იყოს სხვადასხვა ტექნიკები, რომელიც ეფექტიანია დაწყებით საფეხურზე, ასევე კითხვარები, რომელიც მეტწილად ასახავს მოსწავლის გამოცდილებას, მიღწევებს, პრობლემებს, სოციალურ ან ემოციურ მდგომარეობას როგორც ფორმალურ, ასევე არაფორმალურ გარემოში დაკვირვებას, თვითშეფასებას, დაკვირვების დღიურის წარმოებას და სხვა. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით.**

დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისათვის მნიშვნელოვანია, მათი შეფასება მოიცავდეს მრავალ კონტექსტს, მათ შორის ინფორმაცია იმაზეც, რამდენად ეხმარება კურიკულუმი მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის ამაღლებას, რა ახდენს კონკრეტულ მოსწავლეზე გავლენას, როგორ ახორციელებს მოსწავლე თვითშეფასებას ან თანატოლთა შეფასებას, როგორია მოსწავლის შედეგები კონკრეტულ თემასთან ან საკითხთან მიმართებაში, რა იწვევს სწავლებისას მოტივაციას ან დემოტივაციას. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის ანალიზით და პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას აქვს მზაობა, რომ მოსწავლეთა შეფასებას განახორციელებს მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, მაგალითად, მოსწავლის სწავლის პროგრესის, მისი საჭიროებების შეფასებისას მნიშვნელოვან ინფორმაციას მოიპოვებენ ყველა იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რაც მოსწავლის პროდუქტიულობაზე ახდენს გავლენას. ეს შეიძლება იყოს სახლი, სკოლა, კლასი, ეზო, სათამაშო სივრცე, კონკეტული გაკვეთილი და ა.შ. სრულყოფილი ინფორმაციისთვის აუცილებელია მოსწავლის სხვადასხვა კონტექსტში შესწავლა. სწორედ შეფასების მიზნიდან გამომდინარე განისაზღვრება კონტექსტებიც და ფოკუსიც, რაც მოცემულ კონტექსტში გვჭირდება. პედაგოგები გასაუბრებაზე აღნიშნავდნენ, რომ მოსწავლის სწვალის პროგრესის, მისი საჭიროებების შეფასებისას მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ მასწავლებლის პროფესიული მზაობა და მისი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევაც, რომლის მიზანიც იქნება შეისწავლოს, რამდენად ეფექტურია მასწავლებლის მიერ შემუშავებული ინტერვენცია სწავლის შედეგების თვალსაზრისით, აუცილებლად კონტექსტის გათვალისწინებით, ეს შეიძლება იყოს კლასის კლიმატი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, თემა, საკითხი, მოსწავლეთა ინტერესები და ა.შ. დასკვნის ვალიდაციას სწორედ ეს მრავალი კონტექსტიდან დანახული სიტუაცია უზრუნველყოფს. სკოლა გეგმავს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში აღწეროს და გაითვალისწინოს ყველა ეს ნიუანსი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის ჩანაწერებში, ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში და პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა იყენებს მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა მეთოდს - კითხვარის შევსება, ინტერვიუ მცირე ჯგუფებთან, შეხვედრები, SWOT ანალიზი და სხვ. სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია და ადასტურებს მზაობას, მასში ასახოს მონიტორინგისა და შეფასების ასპექტები, მათ შორის - რა მეთოდებს, როდის, როგორ გამოიყენებს დანერგვის პროცესის შესახებ მონაცემების შესაგროვებლად. ყველაზე ტიპური და

გავრცელებული მეთოდები საგანმანათლებლო სფეროში სკოლის ბაზაზე არის ანკეტირება, გამოკითხვა, ინტერვიუ, ფოკუს-ჯგუფი, მეორად მონაცემთა ანალიზი, თვისებრივი და რაოდენობრივი დაკვირვება, ტესტირება, სამოქმედო კვლევა, ექსპერიმენტი და სხვა. ამ მიმართულებით უცხოური ენების კათედრას მიეცა რჩევა სკოლის საერთო სტრატეგიის შესაბამისად მათაც შეფასებისას გამოიყენონ მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები; (მაგ. ანკეტირება, გამოკითხვა, ინტერვიუ, მეორად მონაცემთა ანალიზი, თვისებრივი და რაოდენობრივი დაკვირვება, ტესტირება, სამოქმედო კვლევა და ა.შ)**ინდიკატორი დაკმაყოფილბულია.**

4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

მასწავლებლებს აქვთ გააზრებული, რომ მოსწავლეზე, მის სასწავლო სიტუაციაზე, გარემოებაზე გავლენას ახდენს, არა მხოლოდ უშუალო გარემომცველი მიკროსისტემა, არამედ ფაქტორთა მთელი რიგი სხვადასხვა სისტემებიდან: ოჯახი, ჯანდაცვა, ფასეულობები, ტრადიციები და ა. შ. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით და ინტერვიუდან დგინდება, რომ მასწავლებლები მოსწავლის შეფასებისას ითვალისწინებენ მოსწავლეზე მოქმედ სხვადასხვა ფაქტორს, მის შესაძლებლობებს, უნარებს, ჯანმრთელობის ან ემოციურ მდგომარეობას, გამოცდილებას, ინტელექტს, არსებულ სიტუაციას და სხვა. მასწავლებლები აღიშნავენ, რომ დაწყებით საფეხურზე მნიშვნელოვანია, შეფასება ითვალისწინებდეს მრავალ კონტექსტს, დროსა და სივრცეს, მოსწავლის საუბრის ტემპს, მისთვის დათმობილ დროს, მხარდაჭერას, წახალისებას, ასევე სხვა მრავალ ფაქტორს, რასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს მოსწავლის სწავლების შედეგზე. სწორედ ამიტომ შეფასების დროს მასწავლებელი ცდილობს, გაითვალისწინოს მოსწავლესთან დაკავშირებული სხვადასხვა ფაქტორი და შეფასების ინსტრუმენტები მოარგოს მოსწავლის საჭიროებებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- შეფასების რუბრიკები;
- კურიკულუმი;
- კომპლექსური დავალების სრული(ინსტრუქციით) ნიმუშები;
- ეთწლიანი სამოქმედო გეგმა

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

სკოლის პედაგოგებთან გასაუბრებისას და წარმოდგენილი კურირულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის ჩანაწერში იკითხება, რომ კურიკულუმის განვითარების ძირითადი პრინციპები დაკავშირებულია სასკოლო და საგნობრივი კურიკულუმების გადასინჯვისა და რევიზიის პროცესთან. მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით კურიკულუმის განახლება მოხდება ყოველწლიურად მთელი წლის განმავლობაში შეგროვებული მონაცემების საფუძველზე. სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწვეტილებები მიღებულ იქნება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე. დაწყებითი კათედრების წევრებთან ინტერვიუს დროს აღნიშნული იყო, რომ კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია განხორციელდება კათედრის სხდომებზე, სადაც წევრები გაცვლიან კურიკულუმის დანერგვისა და განხორციელების შესახებ მონაცემსა და გამოცდილებას, გამოიკვეთება კურიკულუმის პროდუქტიულობა და ხარვეზები. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა, აგრეთვე, აღნიშნეს, რომ მონაცემების შეჯერების საფუძველზე შეიქმნება რეკომენდაციების პაკეტი მომდევნო წლისთვის წარმოდგენილი სასკოლო კურიკულუმის განვითარებისთვის და დაგეგმვის პროცესში მიღებული მიგნებები და რეფლექსიის შედეგები გააზრებული და გაზიარებული იქნება სასკოლო საზოგადოების მიერ. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. სკოლის თვითშეფასების ანგარიშიდან ჩანს, რომ სკოლაში მოქმედ კურიკულუმებში ასახული იყო სკოლის პრიორიტეტები, მოქმედ კურიკულუმებს საფუძვლად ედო ინტერაქცია, დაგეგმილ პროცესებსა და რეალიზებულ პროცესებს შორის. რაც გადამუშავებული სახით აისახა ახალი სასწავლო წლის კურიკულუმებში. აგრეთვე, დოკუმენტში ჩანს, რომ სკოლას აქვს ხედვა, როგორ უნდა იყოს ჩართული კურიკულუმის რევიზიის პროცესში სასკოლო საზოგადოება და რა მიმართულებით გაანალიზდება რევიზიის შედეგები. დაწყებითი კათედრის წევრებმა ინტერვიუს დროს დაადასტურეს ზემოთ აღნიშნული მიდგომების მიმართ მზაობა და აღნიშნეს, რომ გააგრძელებენ მუშაობას ამ კუთხით. მიღებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით კურიკულუმის გადამუშავებული ვერსიის მონიტორინგის აქტივობებს დააკვირდება და მონიტორინგს გაუწევს ხარისხის განვითარების ჯგუფი. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- დაწყებითი საფეხურის კათედრის სხდომის ოქმები 1;

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2. სასკოლო კურიკულუმი
2.1. კურიკულუმის შემუშავება
2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას
სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტი ''სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია'', რომელიც სტანდარტულად აღწერს სასკოლო კურიკულუმის განვითარების ეტაპებს სწავლების თითოეული საფეხურისათვის, კურიკულუმის განვითარების პროცესის პრინციპებს, განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების მონაწილე მხარეების ფუნქციებს. დოკუმენტი კურიკულუმის რევიზიის ნაწილში ასახავს სასკოლო საზოგადოების - მოსწავლის, მშობლის, კათედრის წევრების და დირექციის აქტიურ თანამშრომლობას. კურიკულუმის კვლევა და შეფასება მიმდინარეობს შეთანხმების საფუძველზე, როგორც სწავლების შედეგების დიაგნოსტირების, ასევე მასწავლებლების პედაგოგიური პრაქტიკის გაუმჯობესებისა და სკოლის ინსტიტუციური განვითარების მიმართულებით. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობით წინა სასწავლო წლის გამოცდილების გაანალიზებას და გათვალისწინებას, ინფორმაციის მოკრებას კვლევებისა და გამოკითხვების საფუძველზე. მასწავლებლები კათედრის სხდომებსა და სამუშაო შეხვედრებზე ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ გამოცდილებას, მსჯელობენ, აანალიზებენ პრობლემებს, აღნიშნავენ წარმატებულ პრაქტიკას და გეგმავენ ცვლილებებს მომავალი წლისთვის, ეს ცვლილებები აისახება კურიკულუმებში. მაგ; საბუნებისმეტყველო კათედრის (კათედრაზე გაერთიანებულია დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების, ასევე ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის მასწავლებლები) შემაჯამებელი ოქმის მიხედვით, კათედრა გეგმავს შეფასების რუბრიკებზე მუშაობას, სადიაგნოსტიკო შეფასებისათვის შერჩეული აქვთ მესამე ინსტრუმენტი. ადგილზე ვიზიტისას კათედრის ხელმძღვანელმა წარმოადგინა კათედრის სამუშაო გეგმა, რომელიც ასახავს კათედრაზე დაგეგმილ ღონისძიებებს, შემაჯამებელი დავალებების ჩატარებისა და ურთიერთდასწრების განრიგს. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კათედრაზე ურთიერთთანამშრომლობით მსჯელობენ და იღებენ გადაწყვეტილებებს. სკოლის ბაზაზე ვიზიტის პერიოდში

ფუნქციონირებდა კლუბი ''მზესუმზირები'', ასევე წარმოდგენილი იქნა კლუბ ''ნებულას'' და ''ეკომცველების'' წესდებები და ინიციატივები.

რჩევა **სასურველია, კურატორმა/კლუბის ხელმძღვანელმა მასწავლებელმა კლუბების ფუნქციონირებისათვის და მოსწავლეთა დაინტერესების მიზნით შეთავაზებული ინიციატივებიდან რომელიმე აქტივობა პრაქტიკულად შესთავაზოს.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები

სასკოლო კურიკულუმი ასახავს სკოლის მისიას, რომლის მთავარ ფოკუსში ექცევა მოსწავლეებში კულტურული მრავალფეროვნების მიმართ ემპათიის უნარის ჩამოყალიბება, სკოლის ხედვა უკავშირდება კონკრეტულ აქტივობას, შექმნას საინფორმაციო - საგანმანათლებლო სივრცეები, სადაც წარმოდგენილი იქნება სასკოლო საზოგადოების ამსახველი კულტურული მრავალფეროვნება. სკოლის ღირებულებები აგრძელებს კულტურული მრავალფეროვნების თემას და წარმოადგენს ურთიერთპატივისცემის, ტოლერანტობის, კულტურული მრავალფეროვნების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას. ღირებულებები ასევე აღიარებს სასკოლო საზოგადოების თანასწორობას და დაცულობას. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით სტრატეგიული მიზნების ფორმირებას, რომელთა შორისაა ადამიანური რესურსის განვითარება, სასკოლო საზოგადოების ჩართულობის ამაღლება, მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება. სასკოლო კურიკულუმი ითვალისწინებს მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომებს, სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლის თანაბარუფლებიანობის დაცვას, მოტივაციას, ჩართულობას და დისციპლინას. საგნობრივი კურიკულუმები ისეა შემუშავებული, რომ წლის განმავლობაში მოსწავლეებმა სხვადასხვა ტიპის დავალებებზე შეძლონ მუშაობა. სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინება დასტურდება კათედრის მუშაობის დროსაც, როცა მასწავლებლები ირჩევენ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების მოდელებს, ირჩევენ დიაგოსტიკური შეფასების ფორმებს. მაგ. საბუნებისმეტყველო კათედრაზე იყენებენ შეფასების პირველ სამკომპონენტიან მოდელს და თანხმდებიან, რომ მომავალშიც კათედრა იხელმძღვანელებს ამ მოდელით.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი სრულად ეფუძნება სასკოლო საზოგადოების მონაწილეობას კურიკულუმის შემუშავების პროცესში. ამ დოკუმენტის მიხედვით, კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს. ყოველი სასწავლო წლის დასასრულს, ხდება სასწავლო წლის მანძილზე მიღებული გამოცდილების კრიტიკულად გააზრება და კურიკულუმებში ცვლილებების შეტანა. ცვლილებები აისახება სასკოლო სასწავლო გეგმასა და საგნობრივ კურიკულუმებში. სამუშაო ვერსიის შემუშავების შემდეგ საგნობრივ კათედრებზე და სამეურვეო საბჭოზე მიმდინარეობს განხილვა და უკუკავშირის შეგროვება. უკუკავშირის საფუძველზე ყალიბდება სასკოლო კურიკულუმის საბოლოო ვერსია. **ინდიკატორი დამაყოფილებულია**

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

სასკოლო საზოგადოების ინფორმირების და მათი მხრიდან უკუკავშირის მიღების მიზნით გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხები: სკოლის ვებ-გვერდი, სკოლის ოფიციალური გვერდი სოციალურ ქსელში Meta Facebook (ორი გვერდი), სკოლის თანამშრომლების დახურული ჯგუფი და სასაუბრო ''ჩათი'' ამავე სოციალურ ქსელში, საზიარო სივრცე ელექტრონულ პლატფორმაზე Teams, ელექტრონული ჟურნალი. შენობის ღია სივრცეეს სკოლა იყენებს კომუნიკაციისთვის, განათავსებს შესაბამისი ინფორმაციას,

ასევე იყენებს სატელეფონო კავშირს. ინფორმაციის მიწოდება ხდება პირდაპირი კომუნიკაციის გზითაც: ბიბლიოთეკაში, კომპიუტერულ ლაბორატორიაში, საკლასო ოთახებში. სკოლის ციფრული ტრანსფორმაციის დოკუმენტის მიხედვით, სკოლაში იგეგმება კათედრების მიერ საგანმანათლებლო პროცესში ელექტრონული რესურსების გამოყენება, დისტანციური თანამშრომლობა და ინფორმაციის გაცვლა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- კათედრის შემაჯამებელი ოქმი;
- სსგ მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- ინტეგრირებული გაკვეთილის გეგმა;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- ციფრული ტრანსფორმაციის გეგმა;
- სკოლის ფბ გვერდი;
- კათედრის სამოქმედო გეგმა;
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი;
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი;
- კლუბების წესდებები და ინიციატივები.

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.** კურიკულუმი მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებს, კურიკულუმის ჩარჩო წარმოდგენილია საბაზო საფეხურის ყველა კლასში. თემის ფარგლებში გამოკვეთილია ძირითადი საკითხები, მითითებულია ისეთი კონტექსტ - მაგალითები, რომლებიც მოსწავლის ტრანსფერს უწყობს ხელს. კურიკულუმს თან ახლავს კომპლექსური დავალების ბარათი და შეფასების განმავითარებელი რუბრიკა. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ უმთავრესი მიზანი მოსწავლის პიროვნულ ძალთა

განვითარების ხელშეწყობაა. საბაზო საფეხურზე მოსწავლეთა საჭიროებებისა და ინტერესების დადგენის მიზნით შემუშავებულია სადამრიგებლო პროგრამა, ხორციელდება პროექტი - დემოკრატია მულტიკულტურულ საზოგადოებაში. წარმოდგენილი კურიკულუმი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისადაა შექმნილი და მოსწავლეს საკუთარი შესაძლებლობის გამოვლენისა და თვითრეალიზების საშუალებას აძლევს. წარმოდგენილია სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც გულისხმობს სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებას, ისეთი საგანმანათლებლო სერვისების მიწოდებასა და ისეთ რეგულაციებს, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეთა უნარებს, შესაძლებლობებს, ცოდნის დონეს.

საბაზო საფეხურის წარმოდგენილი კურიკულუმის დიზაინი აგებულია იმგვარად, რომ ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე: მათემატიკური მოდელი, კანონზომიერება და ლოგიკა. სკოლის საბაზო საფეხურის მათემატიკის პროგრამა შექმნილია მათზე ორიენტირებით: გაწერილია წარმოდგენილ საგნობრივდ კურიკულუმებში, ასევე მოსწავლეთა შეფასების რუბრიკებში,ამ დოკუმენტებში გრძელვადიან მიზნების დასახელება რომ არ ხდება ფორმალურად, ეს მასწავლებლებთან გასაუბრების დროსაც დაზუსტდა.

მე-7 კლასში კურიკულუმის მიხედვით პირველი თემა მუშავდება რიცხვები და მოქმედებები რიცხვებზე, თუმცა გასაუბრებისას აღნიშნეს რომ პირველ თემად გაიარეს გეომეტრიული ობიექტები, ბრტყელი ფიგურები, კუთხეები. შესაბამისად რიცხვებში შესასრულებული კომპლექსური დავალება არ შეუსრულებიათ. კათედრის წევრებს გააზრებული აქვთ მეტაკოგნაციის განვითარების სტრატეგიები: მატრიცებს, რომელსაც ისინი სანიმუშოდ იყენებენ (math.ge-დან), ბოლოში ინტეგრირებული აქვთ ე.წ. პოლიას მეთოდით შემუშავებული კითხვები, რომლიც ეხმარება მოსწავლეს გაიაზროს რა გამოუვიდა კარგად, რატომ, რა იყოს ის ცოდნა და გამოცდილება, რამაც წარმატება მოუტანა, რა ვერ შეძლო, რას შეიძლებოდა ხელი შეეშალა და ა.შ. ინტერვიუდან გაირკვა რომ ისინი ამ მეთოდს იცნობენ და იყენებენ. სკოლის მიერ წარმოდგენილია საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები საბუნებისმეტყველო საგნებში - ფიზიკა, ქიმია და ბიოლოგია. ჩანს, რომ მასწავლებლები გეგმავენ მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს, განსაზღვრავენ სწავლების გრძელვადიან და შუალედურ მიზნებს, სავალდებულო თემების მიხედვით განსაზღვრავენ საკითხთა კლასტერებს, აორგანიზებენ რესურსებს. კურიკულუმებში მოცემულია კომპლექსური დავალებები, მათი შესაბამისი კონტექსტ - მაგალითები, მაგალითები შედარებისთვის, რომლებიც იწვევს მოსწავლის დაინტერესებას. ახალი ცოდნის კონსტრუირებისთვის შეთავაზებულია კონტექსტ-მაგალითები, რომელთა გაანალიზება მოსწავლეებს მიიყვანს სამიზნე ცოდნის დაუფლებისკენ, ხელს შეუწყობს მოცემული საკითხის ღრმად გააზრებას. მაგ.მე-9 კლასის ქიმიის კურიკულუმში თემა ''ნავთობი, ნავთობპროდუქტები, ბუნებრივი აირი'' დამუშავების დროს შეთავაზებულია კონტექსტ-მაგალითი, პოლიეთილენის საფრთხის თუ სარგებელის შესახებ, მაგალითები შედარებისათვის მოიცავს რეალური, ყოფა ცხოვრებაში არსებული პოლიმერების გაცნობას და შედარებას. მე-8 კლასის ქიმიის კურიკულუმის ჩარჩოშიძირითადი რესურსის გარდა, მოაზრებულია მოსწავლეებს მიერ მოძიებული მულტიმედია რესურსებიც.

რჩევა:

მათემატიკა - მე-7 კლასში სწავლება სასურველია წარიმართოს საკითხთა იმ თანმიმდევრობით, როგორც ეს კურიკულუმშია გაწერილი. თუ ცვლილებები შეიტანეს თანმიმდევრობაში, მაშინ უნდა ასახონ ეს ცვლილება კურიკულუმშიც. სასწავლო პროცესი სასურველია თანხვედრაში იყოს დამტკიცებულ, კათედრის მიერ ერთად შემუშავებულ კურიკულუმებთან. ასევე კარგი იქნება, თუ დაამატებენ ყველა კლასში ელ. რესურსებს, Geogebra, Mathigon, WolframAplha-ს და ა.შ. პლატფორმებიდან. ეს რესურსები უფასოა და მარტივად გამოსაყენებელი.

ბუნებისმეტყველება - მე-8 კლასი. ქიმიის კურიკულუმის განვითარების მიზნით სასურვლია განისაზღვროს მკაფიოდ კომპლექსური დავალების პირობაში მოცემული პრობლემა, შეფასების კრიტერიუმები შერჩეული კომლექსური დავალებისათვის, მაგალითები

შედარებისათვის დაკონკრეტდეს, ტექნიკურად გასწორდეს დოკუმენტის ორიენტაცია - მიეცეს landscape ფორმა. მე-9 კლასის ქიმიის კურიკულუმში გამოიკვეთოს კომპლექსური დავალების სრული პირობა, რესურსები შეივსოს, მათ შორის სასურველია, წარმოდგენული იყოს ელექტრონული რესურსებიც. ბიოლოგიის მ-7, მე-8, მე-9 კლასის კურიკულუმებში განვითარების მიზნით მიეთითოს შერჩეული კომპლექსური დავალების იდეის მიხედვით სრული პირობა. ორიგინალური სასკოლო კურიკულუმის შექმნის მიზნით, ყველა კურიკულუმში სჯობს, აისახოს სკოლის ბაზაზე არსებული მატერიალური რესურსებიც.

ესთეტიკა - VIII და IX კლასის მუსიკის კურიკულუმებში პირველი თემების ,,ხილული და უხილავი'' და ,,მითი და რეალობა მუსიკაში'' ფარგლებში ამ ეტაპზე სასურვლია დატოვოთ ორი კომპლექსური დავალება, შესაბამისად ორი საკითხი (მერვე კლასის შემთხვევაში შესაძლებელია საკითხთა კლასტერის გაკეთებაც) ,რადგან მერვე კლასში მუსიკაში პირველ სემესტრში საათების რაოდენობა არის კვირაში 1 საათი, ხოლო მეცხრეში 2, ჩემი ვარაუდით ვერ მოესწრება თქვენს მიერ მითითებული ოთხი კომპლექსური დავალების სრულყოფილად განხორციელება

2. **კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები).**

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოში ძირითადად გაწერილია სამიზნე ცნებები-გრძელვადიანი მიზნები. თემის ფარგლებში გამოკვეთილია ძირითადი საკითხები, მითითებულია ისეთი კონტექსტ-მაგალითები, რომლებიც მოსწავლის ტრანსფერს უწყობს ხელს. მე-8 კლასში სამიზნე ცნებაზე - ჟანრი, კომპოზიცია, კონტექსტი - გასავლელად მასწავლებელს ძირითად ტექსტად შერჩეული აქვს: ნ. ლორთქიფანიძის ,, დადიანის ასული და მათხოვარი'', ვაჟა-ფშაველას ,,რამ შემქმნა ადამიანად'' , ხოლო კონტექსტმაგალითებად: ფაქტები მწერლის ბიოგრაფიიდან, ძვირფასი თვლების ფერები, გულქან რაზიკაშვილის ,,მამაღმერთს ჩამაჰყარა სახელი'', ფაქტები მწერლის ბიოგრაფიიდან, ოსა ზურაბიშვილი, წიგნიდან ,,კაი ყმა"(ნაწყვეტი), რომლის საშუალებითაც მოსწავლეები მუშაობენ კომპლექსურ დავალებაზე - წარმოსახვითი ინტერვიუს მომზადება ვაჟა-ფშაველას ლექსის „რამ შემქმნა ადამიანად" ლირიკულ გმირთან ტექსტის მინიშნებებზე დაყრდნობით. მთავარი ფოკუსი სამიზნე ცნებებია. სასწავლო პროცესში მუშაობა სწორედ მათ მიემართება და კურიკულმშიც მკაფიოდ იკვეთება ეს ორიენტირებულობა. საბაზო საფეხურის კლასებში გაწერილია თემები ყველა თავისი სამიზნე ცნებებითა და საჭირო რესურსებით. კურიკულუმის ჩარჩოში გაწერილია კომპლექსური დავალებები თავისი ბარათებითა და შეფასების რუბრიკებით. საბაზო საფეხურზე მოსწავლეები ქმნიან შემოქმედებით პროდუქტებს: წარმოსახვითი ინტერვიუ, საჯარო სიტყვა, იგავის შექმნა ანდაზის გავრცობის საფუძველზე, ანალიტიკური ესე, რეპორტაჟი, საინფორმაციო-სარეკლამო ბროშურა, რომელთა საშუალებითაც ისინი ეუფლებიან გლობალურ ფუნქციურ უნარებს (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია და სხვ.). გასაუბრებისას პედაგოგები ადასტურებენ ცოდნას საგნობრივ საკითხზე და ექმნებათ მკვიდრი წარმოდგენები.

წარმოდგენილი საბაზო საფეხურის წლიური საგნობრივი კურიკულუმები დაგეგმილია საგნობრივი სტანდარტისა და გრიფირებული სახელმძღვანელოების მიხედვით, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, სასწავლო პროცესი დაგეგმილია სავალდებულო თემებით, რომლის ფარგლებშიც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება. ძირითადად ჩანს თუ რა საგნობრივ საკითხებს, თემებს, ძირითად რესურსებს, შეფასების ინსტრუმენტებს სთავაზობს სკოლა საკუთარ მოსწავლეებს პიროვნული განვითარებისთვის და ასევე ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მისაღწევად. კურიკულუმებში ჩანს რომელ კომლექსურ დავალებებს სთავაზობენ მოსწავლეებს. შეიძლება ითქვას, სკოლის მიერ გააზრებულია შედეგები, სამიზნე ცნებები, მკვიდრი წარმოდგენები გრძელვადიან მიზნებად, დასტურდება საგნობრივ კურიკულუმით, მოსწავლეთა შეფასების ამსახველი დოკუმენტებით, პედაგოგებთან გასაუბრებით.

საფეხურის საგნობრივი (ბიოლოგია, ქიმია და ფიზიკა) კურიკულუმების ჩარჩოებში ჩანს, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ორიენტირება მიმართულია გრძელვადიან მიზნებზე, შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე. კურიკულუმები აგებულია ეროვნულ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სავალდებულო თემების მიხედვით, რაც იძლევა საფუძველს მოსწავლემ გაიაზროს სამიზნე ცნებების/სწავლის შედეგების კონტექსტი, გამოიწვიოს მოსწავლის ინტერესი, გამოცდილება და გაითვალისწინოს წინარე ცოდნა. სავალდებულო თემების ფარგლებში კურიულუმებში წარმოდგენილია ძირითადი საკითხები/საკითხთა კლასტერები . ქიმიის, ფიზიკის ბიოლოგიის სავალდებულო თემის ფარგლებში მუშავდება სამიზნე ცნებები. მაგ: ბიოლოგიის მე- 9 კლასის კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილია ხუთივე სავალდებულო თემა: ''ადამიანის მარეგულირებელი სისტემები'','''ადამიანის შეგრძნების ორგანოები'', ''ადამიანის რეპროდუქციული სისტემა და ჯანმრთელობა'', ''უჯრედის მეტაბოლიზმი'', ''სახეობა და პოპულაცია''. ჩანს, რომ ყველა თემაში მიმართულად მუშავდება ყველა სამიზნე ცნება, განსაზღვრულია საკითხები, რესურსები. მათ შორის პედაგოგის მიერ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი ხელს უწყობს მოსწავლეებში მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას, ფუნქციურ -კოგნიტური უნარების განვითარებას. მაგ; მე-8 კლასის ფიზიკის კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილია თემები :''მექანიკური მოვლენები'' და ''სითბური მოვლენები'', თემის ფარგალში დასასმუშავებელი სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, საკითხები, წარმოდგენილია კონტექსტ-მაგალითებიც, კონკრეტული დავალებები შედარებებისათვის, რომლებიც დაფუძნებულია ცდებზე, რაც ზრდის მოსწავლეთა დაინტერესებას, მათ ჩართულობას, კომპეტენციების ზრდას და ხელს უწყობს ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებას. ამავე კურიკულუმში მოცემულია მრავალფეროვანი რესურსები, შეთავაზებული მასალა სრულად შეესაბამება მოსწავლეთა წინარე ცოდნას, სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს, იძლევა საშუალებას, დააიტერესოს მოსწავლე, აღძრას მასში შემოქმედებითი პროცესები (კვლევითი კომპონეტი რეალური ცდების და ვირტუალური ლაბორატორიების გამოყენებით) განუვითაროს ავტონომიურობის განცდა და მიაღწევინოს ემოციური კმაყოფილება.

რჩევა: უცხოური ენები - სასურველია კათედრამ მოსწავლეებს შესთავაზოს უფრო მრავალფეროვანი მეთოდები და აქტივობები გლობალურ ფუნქციური უნარების განვითარების მიზნით. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, სასწავლო პროცესში სკოლა ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს, ზოგადად, სასწავლო პროცესის ინკლუზიურ ხედვას, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, განათლების თანამედროვე პარადიგმების რეალიზებას სასკოლო სივრცეში, როგორიცაა სწავლის კონსტრუქტივისტული ფილოსოფია, მოსწავლისადმი ჰოლისტური მიდგომა, მოსწავლეზე ორიენტირებული სიღრმისეული სწავლა და ა.შ. და, მეორე მხრივ, პოზიტიური სასკოლო კულტურის ჩამოყალიბებას. სკოლამ წარმოადგინა ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა საბაზო საფეხურზე. გამოიკვეთა, რომ ამ მიმართულებით პედაგოგებს აქვთ გამოცდილება. საბაზო საფეხურის მასწავლებლები სასწავლო პროცესში, აქტიურად იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს. სკოლის სასწავლო გეგმა მოიცავს სასწავლო პროცესში მასწავლებელთა და მოსწავლეთა შეფასებასა და თვითშეფასებას. სასკოლო საზოგადოებას გაცნობიერებული აქვს, რომ საჭიროა ყოველთვის იმის გაანალიზება, თუ რამდენადაა მორგებული საგნობრივი კურიკულუმები, მოსწავლეთა შეფასებისა და მასწავლებლების თვითრეფლექსიის ამსახველი დოკუმენტები კონკრეტული მოსწავლეების ინტერესებს, შესაძლებლობებსა და საჭიროებებს; რამდენად მოქნილია სასწავლო გარემო (პროცესი, შინაარსი) მოსწავლეთა საჭიროებებზე ორიენტირებისთვის. მშობლები, სპეციალისტი და მასწავლებელი თანამშრომლობენ. შექმნილ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში აღწერილია მოსწავლის ცოდნის აქტუალური დონე, გრძელვადიანი მიზნები, ასევე წარმოდგენილია ადაპტირებული დავალების ნიმუშიც. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ გამოცდილება და მზაობა

მოახდინონ კომპლექსური დავალებების ადაპტირება და დიფერენცირება ყველა მოსწავლის თანაბარი ჩართულობის უზრუნველსაყოფად. წარმოდგენილი კურიკულუმებიდან ასევე დასტურდება დიფერენცირებული მიდგომის გამოყენება სასწავლო პროცესში, კურიკულუმის ჩარჩოებში მოცემული კომპლექსური დავალების პირობა იძლევა საშუალებას მოსწავლემ გამოხატოს საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება სხვდასხვა საშუალებით და შეიქმნას მრავალფეროვანი პროდუქტი (ფოტოალბომი, პოსტერი, პრეზენტაცია, სტატია, ბუკლეტი). შეფასება კი ემსახურება თითოეული მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენას. მასწავლებლებს აქვთ მზაობა სასწავლო პროცესში მოახდინინონ პროცესის , შინაარსის, პროდუქტების დიფერენცირება. საჭიროების შემთხვევაში მოახდინონ გარემოს ადაპტირება და უზრუნველყონ სხვადასხვა საჭიროების მოსწავლეთა თანაბარი ჩართულობა სასწავლო პროცესში.სკოლა დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომებისათვის იყენებს სხვადასხვა საშუალებებს: შექმნილია მოქნილი სასწავლო სივრცე, რაც ხელს უწყობს მოსწავლეს გამოხატოს თავისი ინტერესები, საჭიროებები და შესაძლებლობები, ლაბორატორიისთვის გამოყოფილია შენობის მესამე სართულზე საკლასო ოთახი მიმდებარე საცავით, რომელიც იკეტება. ლაბორატორია კომპლექსურია და აერთიანებს ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის დისციპლინებს. ლაბორატორიაში არის სადემონსტრაციო მაგიდა, რომელიც დაფარულია მინის ნაჭრით, ოთახი აღჭურვილია პროექტორით, პერსონალური კომპიუტერით და პრინტერით. ლაბორატორიის ღია კარადებში განლაგებულია სადემონსტრაციო მასალა ფიზიკის და ბიოლოგიის მასალებით. კედლებზე განთავსებულია პოსტერები მენდელეევის პერიოდულობის ცხრილით, მეტალთა ელექტროქიმიური ძაბვის მწკრივით, მოსწავლეთა ნამუშევრებით. ელექტრული დენის წყაროები დაცულია. საცავში კარადებში განთავსებულია ქიმიური ჭურჭელი და რეაგენტები, შტატივები და სხვა ხელსაწყოები. ქიმიური ნივთიერებები დაჯგუფებულია ნაერთთა კლასებად, აქვს შესაბამისი ეტიკეტები და დაშორება. საცავი აღჭურვილია სველი წერტილით. სკოლის მიერ წარმოდგენილია 2023-24 სასწავლო წლისთვის შეძენილი ქიმიური რეაგენტების ნუსხა და ღირებულება. სასწავლო კურიკულუმები საბაზო საფეხურზე ფიზიკაში, ქიმიასა და ბიოლოგიაში აგებულია კონსტრუქტივისტული პრინციპით, ითვალისწინებს მოსწავლის წინარე ცოდნას, ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე, შეთავაზებული რესურსები მრავალფეროვანია და შეესაბამება მოსწავლეთა ინტერესებს, ხელს უწყობს მათ ჩართულობას სასწავლო პროცესში. კურიკულუმები სთავაზობს მოსწავლეებს კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომელიც მოსწავლეს აძლევს შესაძლებლობას გამოხატოს საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება. მაგ .ფიზიკის მე-8 კლასის კომპლექსური დავალება ითვალისწინებს კატაპულტის შექმნას, მოდელის გარდა, მოსწავლეს შეუძლია, წარადგინოს პროდუქტი განსხვავებული ფორმითაც, მაგ ნახაზის ან ელექტრონული პრეზენტაციის საშუალებით, თუმცა, აუცილებელია, დასკვნები კატაპულტის მოქმედების შესახებ იყოს არგუმენტირებული. სასკოლო გეგმაში გაწერილია სსსმ მოსწავლის საგანმანათლებლო საჭიროება, მისი დაკმაყოფილების გზები, მოსწავლის ინტერესები და ინდივიდუალურ შესაძლებლობები, აგრეთვე, ყველა დამატებით აქტივობა, (დრო, რესურსები, პასუხისმგებელი პირი და სხვა), რომელიც აუცილებელია გეგმით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად. სასკოლო გეგმაში გაწერილია შინ სწავლების მომსახურეობის პირობები და სკოლის ვალდებულებები. საბუნებისმეტყველო კათედრის შემაჯამებელი ოქმიდან გამომდინარე, კათედრა აღნიშნავს, რომ 2022-23 წელს განახორციელა კომპლექსური დავალებები, ჩამოაყალიბა შუალედური მიზნები საბაზო საფეხურზე. კათედრა გეგმავს, დანერგოს დიაგნოსტიკური შეფასებები და გამოიყენოს სადიაგნოსტიკო შეფასების მესამე ინსტრუმენტი.

რჩევა: ბუნებისმეტყველება - ყოველწლიურად განხორციელდეს ლაბორატორიაში არსებული ყვლა სასწავლო ერთეულის (მათ შორის პოსტერების, ან მოსწავლის/მასწალებლის მიერ შექმნილი სასწავლო რესურსის) ინვენტარიზაცია, გაეკრას თვალსაჩინო ადგილას ლაბოატორიაში უსაფრთხოს მუშაობის წესები, შედგეს წინსაწრი შეთანხმების საფუძველზე ლაბორატორიის დატვირთვის განრიგი, აგრესიული მჟავბი გადავიდეს სეიფში ან კარგად დაცულ/დაკეტილ საცავში ან სათავსოში, ცდების უსაფრთხოდ ჩატარებისთვის უნდა დაკომპლექტდეს ეკიპირება დამცვი სათვალეების და ხალათების (მინიმუმ 4) სახით, მომზადდეს პირველადი სამედიცინო

დახმარებისთვის სააფთიაქო ყუთი, სადემონსტრაციო მაგიდა დაიფაროს სრულად ან ნაწიობრივ ფოლგით ან ბუნებრივი ქვის ფილებით, აალების შემთხვევაში წინასწარ მომზადდეს ქვიშა/ცეცხლმაქრი ან აალების საწინააღმდეგო ნაჭერი, მოეწყოს ქიმიური ჭურჭლის საშრობი კედელი ან კუთხე.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით და პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში მასწავლებლები იყენებენ როგორც განმავითარებელ შეფასებას, ასევე, განმსაზღვრელ შეფასებას. წარმოდგენილია კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, ასევე, კონკრეტული აქტივობების განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც სამიზნე ცნებასთან დაკავშირებულ მკვიდრ წარმოდგენებს განსაზღვრავს. საბაზო საფეხურზე მასწავლებლები აქტიურად იყენებენ მოსწავლეთა თვითშეფასების რუბრიკებს. მასწავლებლებმა ინტერვიუში აღნიშნეს, რომ განმავითარებელი შეფასებისას იყენებენ ზეპირ და წერილობით უკუკავშირს, გასასვლელ ბილეთებს, სოლო ტაქსონომიას. მიმართვენ შეფასების ფორმებს: მასწავლებლის შეფასება, ურთიერთშეფასება. შეფასება მასწავლებლების მხრიდან განიხილება შედეგების გაუმჯობესების გზად. შეფასებისას ითვალისწინებენ თემის შედეგების მიღწევის ინდიკატორებს. (წარმოდგენილია განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა თემის შედეგების მიღწევის ინდიკატორებზე დაყრდნობით). შეფასების მიზანია მოსწავლეთა წინარე ცოდნის დადგენა, ცოდნის კონსტრუირების პროცესისა და მოსწავლეთა წინსვლის ხელშეწყობა, რაშიც მნიშვნელოვანია თვითშეფასება, მასწავლებელებმა აღნიშნეს, რომ მომავალ სასწავლო წელს გეგმავენ, მეტად მიექცეს ყურადღება მოსწავლეებში თვითშეფასების უნარის განვითარებას. სკოლის მიერ წარმოდგენილია 2023-24 სასწავლო წლის დამტკიცებული სასკოლო გეგმა, სადაც ასახულია მოსწავლის შეფასების სისტემა, შეფასების მიზნები, სახეები, ძირითადი ამოცანები, დოკუმენტი ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებას, რომელიც მიემართება გრძელვადიან მიზნებს - სამიზნე ცნებებს და მათ მკვიდრ წარმოდგენებს. საბუნებისმეტყველო კათედრაზე შეფასება ხორციელდება განმავითარებელ შეფასებებთან ერთად განმსაზღვრელი შეფასებებითაც. სკოლის მიერ წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებების ნიმუშები ფიზიკაში, ქიმიასა და ბიოლოგიაში. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სასწავლო წლის მანძილზე მოსწავლეთა დაკვირვებას და განმავითარებელ შეფასებას მუდმივად აწარმოებენ. მოსწავლეთა მიღწევების შესახებ ინფორმაცია ზიარდება კათედრაზე სემესტრის და წლის ბოლოს. ინტერვიუდან გამოიკვეთა, რომ კათედრა ირჩევს შეფასების 1-ელ მოდელს, გეგმავს, შექმნას განსაზღვრელი შეფასების რუბრიკები ყველა შუალედურ მიზანთან მიმართებით, ჩაატაროს სადიაგნოსტიკო შეფასება მესამე ინსტრუმენტის საფუძველზე.

რჩევა: ქართული - სკოლას მიეცა რჩევა, საბაზო საფეხურის სხვა კლასების მიერ წარმოდგენილი შეფასების ნიმუშების მიხედვით შექმნას მე-9 კლასის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. ინდიკატორი დაკმაყოფილბულია

5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით და პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრა სისტემატურად ხვდება ერთმანეთს და უზიარებს წინარე გამოცდილებას, იმ გამოწვევებს, რომლის მოგვარებასაც ახალი სასწავლო წლიდან აპირებენ, რათა უკეთესად დაგეგმონ სასწავლო პროცესი. სკოლამ წარმოადგინა ქართული ენის კათედრის სხდომის ოქმი, რომელშიც ჩანს, რომ პედაგოგები სასკოლო კურიკულუმისა და საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ სწავლა-

სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს, რომელთა შესახებაც ინფორმაციის მოგროვებასა და ანალიზს შეძლებენ სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. ეს ინფორმაცია იკითხება, ასევე, სკოლის მიერ წარმოდგენილი გაკვეთილზე ურთიერთდასწრების ფორმიდან. კათედრა ახორციელებს მოსწავლეთა ნამუშევრების, შემაჯამებელი დავალებების შეფასებასა და ანალიზს, სკოლა ითვალისწინებს მოსწავლეების, კოლეგებისა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირსა და რეფლექსიისა და პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის შედეგებს და ა.შ. მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებისა და სწავლის პროცესის მხარდაჭერის მიზნით სკოლა იყენებს ხარისხის განვითარების მექანიზმებს. შესწავლილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ სწავლა-სწავლების პროცესში არსებული წარმატებული გამოცდილებისა და გამოწვევების შესახებ ინფორმაციის მოგროვება და ანალიზი ხდება სხვადასხვა წყაროზე დაფუძნებით. კერძოდ, მასწავლებელების ურთიერთდასწრება, თვითრეფლექსია. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კათედრაზე ხდება გამოწვევების გაანალიზება, წარმატებული პრაქტიკის გაზიარება, არსებული გამოცდილება ასახულია კურიკულუმებში. საბაზო საფეხურზე ფიზიკაში, ქიმიასა და ბიოლოგიაში შემუშავებულია კურიკულუმის ჩარჩოები, სადაც წარმოდგენილია ისეთი კონტექსტ-მაგალითები, რომლებიც ეყრდნობა წინარე გამოცდილებას, ცხოვრებისეულ სიტუაციებს. სასწავლო წლის მანძილზე ინფორმაციის მოგროვების შედეგად, კათედრაზე ხდება კურიკულუმის ცვლილებების წარდგენა, გადაიხედება მეთოდოლოგია, აქტივობები, რესურსები. ცვლილებების შესახებ ინფორმაცია აისახება კურიკულუმის სამუშაო ვერსიაში, რაც ზიარდება კათედრაზე. ინტერვიუდან დასტურდება, რომ კათედრის მასწავლებლები აქტიურად იყვნენ ჩართული სამუშაო შეხვედრებში, ქოუჩინგის პროცესში, სასწავლო წლის მანძილზე ხდებოდა გაკვეთილებზე დაკვირვება წინასწარ შედგენილი კრიტერიუმების საფუძველზე, წარმოებდა უკუკავშირი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საგნობრივი კურიკულუმები;
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- სსსმ მოსწავლისათვის შექმნილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმების ნიმუშები;
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- 2023-24 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.კურიკულუმის განხორციელება

2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად და პედაგოგებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვა/განხორციელებისას მასწავლებლები ცდილობენ გაითვალისწინონ მოსწავლე, როგორც ცენტრალური ფიგურა, დაგეგმონ აქტივობები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობას, მოსწავლეებს აქვთ საშუალება იმსჯელონ, იფიქრონ და მოიძიონ პრობლემის გადაჭრის გზები, გეგმავენ და შემდეგ ახორციელებენ სხვადასხვა მიზნობრივ ქმედებებს. საბაზო საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივ კურიკულუმებში ჩაშენებულია კომპლექსური დავალებები, რომლებიც იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. ქმნიან შემოქმედებით პროდუქტებს - წარმოსახვითი ინტერვიუ, საჯარო სიტყვა, იგავის შექმნა ანდაზის გავრცობის საფუძველზე, ანალიტიკური ესე, რეპორტაჟი, საინფორმაციო-სარეკლამო ბროშურა და სხვ. სკოლაში ფუნქციონირებს „მზესუმზირების კლუბი“, რომლის მიზანია მოსწავლეებში კვლევის, დისკუსიის, პრობლემის გადაჭრის უნარის ჩამოყალიბება, მიღებული ცოდნის ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოყენება, არაფორმალური განათლების ხელშეწყობა, აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობა. მასწავლებლებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ მათ აქვთ ერთობლივი მუშაობის დიდი გამოცდილება. პედაგოგები საგნობრივი კურიკულუმების დახვეწის/განვითარების პროცესში ასახავენ საინტერესო, ცხოვრებისეულ კონტექსტ-მაგალითებზე დაფუძნებულ კომპლექსურ დავალებებსა და სხვადასხვა აქტივობას. ცდილობენ, ყოველდღიურად გამოიყენონ ასეთი მიდგომები, რათა სასწავლო პროცესი მუდმივად იყოს განახლებადი და აქტიური. დოკუმენტაციის მიხედვით, საგაკვეთილო პროცესის პარალელურად, მოსწავლეები უზრუნველყოფილნი არიან შემოქმედებით პროცესებში ჩართვის შესაძლებლობით. სკოლაში ფუნქციონირებს სასკოლო კლუბები, მაგ. ეკომცველები, მზესუმზირები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა თანამშრომლობითი, შემოქმედებითი და კრიტიკული უნარების განვითარებას. სპორტის მიმართულებით საფეხურის ფარგლებში დაგეგმილია ფესტივალები სადაც ჩართულია ყველა მოსწავლე. ეს იძლევა სწავლების თავისუფალ არჩევანის საშუალებას, თითოეულ მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა აქტიურად ჩაერთოს პოცესში და გამოავლინოს საკუთარი შესაძლებლობები. საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებში ასახულია ისეთი ტიპის დავალებები, რომელზე დაფუძნებითაც იქმნება მოსწავლეზე ორიენტირებული გარემო, სადაც მოსწავლე თავისუფალია, გამოთქვას საკუთარი აზრი, აღმოჩენებით მივიდეს სასწავლო შედეგამდე, თავად დააგეგმაროს და მართოს სასწავლო პროცესი, კრიტიკულად გაიაზროს პროცესები, შექმნას ორიგინალური პროდუქტი, თანმიმდევრულად ააშენოს საკუთარი ცოდნა. კურიკულუმებში ასახულია კომპლექსური შინაარსის დავალებები, რომლის მეშვეობითაც მოსწავლე არამხოლოდ კონკრეტულ საკითხს ეცნობა, არამედ ერთვება შემოქმედებით პროცესში. მასწავლებლები სასწავლო პროცესის მანძილზე სთავაზობენ მოსწავლეებს შესაბამის საკითხებს, აქტივობებს, რესურსებს, ასრულებენ გზამკვლევის ფუნქციას. კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები იძლევა კოგნიტური სქემების, პოსტერების თუ

ბუკლეტების, კვლევის, სტატიების, მოდელების, ელექტრონული პრეზენტაციების, ვირტუალური ლაბორატორიების - Phet სიმულაციების გამოყენებით მოსწავლემ შეიძინოს ცოდნა პრობლემაზე ფიქრის, მსჯელობის, დაგეგმვის, კვლევის, პრობლემის გადაჭრის განხორციელების გზით. ქიმიაში თემა ''ნავთობი, ნავთობპროდუქტები, ბუნებრივი აირი'' დამუშავების დროს კონტექსტ-მაგალითს მამოტივირებელი ეფექტი აქვს და პირდაპირ უკავშირდება ყოფით რეალობას პოლიერთილენის სარგებელისა თუ საფრთხის გააზრებით, მაგალითები შედარებისთვის აფართოებს წარმოდგენების სპექტრს სინთეზური და ბუნებრივი პოლიმერების შესახებ.

რჩევა: მათემატიკა - სასურველია, სასწავლო პროცესში გამოყენებული ელ-რესურსების შესახებ ინფორმაცია სრულად ასახონ კურიკულუმში რესურსების ველში. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად და პედაგოგებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვა/განხორციელებისას სასკოლო საზოგადოება ცდილობს, გაითვალისწინოს მოსწავლეთა წინარე ცოდნა და გამოცდილება ცოდნის კონსტრუირების გზაზე. ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმებში წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტებით, რომლის შესრულებისას მოსწავლემ უნდა გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა. მოსწავლეები წინარე ცოდნაზე დაფუძნებით იღებენ ახალ გამოცდილებებსა და სწავლობენ, ეუფლებიან ახალ უნარ-ჩვევებს. ამ მიმართულებით სკოლაში ფუნქციონირებს კლუბი და ხორციელდება სასკოლო პროექტები. პედაგოგები გასაუბრებისას აღნიშნავენ, რომ მნიშვნელოვანია სასკოლო პროექტების ინიცირების წახალისება და მოსწავლისთვის საინტერესო არაფორმალური განათლების ელემენტების დაგეგმვა/განცორციელება, რათა დაეხმაროს სასწავლო პროცესს მოსწავლის გამოცდილებასთან მიახლოებაში, რაც მისი ეფექტიანობის მნიშვნელოვანი წინაპირობა იქნება. კომპლექსური დავალების პირობები, ხშირად ისეა ფორმულიებული, რომ მოსწავლეს უწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი (ვიდეორგოლი, PPT პრეზენტაცია, ბუკლეტი, პოსტერი). წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ ხორციელდება პროექტები არაფორმალური განათლების მიმართულებით, მაგ.პროექტი „ დემოკრატია მულტიკულტურულ საზოგადოებაში“. მასწავლებლებმა ინტერვიუში აღნიშნეს, რომ მიმდინარე წელსაც გეგმავენ არაფორმალური განათლების კუთხით მრავალფეროვანი, ინტეგრირებული აქტივობების განხორციელებას. ინტერვიუდან ასევე ირკვევა, რომ წინარე ცოდნის გააქტიურებისათვის გამოიყენება შესასვლელი და გასასვლელი ბილეთები, გრაფიკული მაორგანიზებლები - ვენის დიაგრამა, T სქემა, ,,ვიცი, მინდა ვიცოდე, ვისწავლე“ და სხვა. ფორმალურ განათლებას აძლიერებს არაფორმალური განათლების კომპონენეტები, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის მოსწავლის გამოცდილებასთან დაახლოებას და ზრდის მოტივაციას. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ აქვთ გამოცდილება და მზაობა ფორმალური და არაფორმალური აქტივობები დაგეგმონ ინტეგრიერბულად. წარმოდგენილი კურიკულუმები ბუნებისმეტყველებაში დაგეგმილია სავალდებულო თემების მიხედვით, რომლებიც წარმოადგენენ სამიზნე ცნებების/ სწავლის შედეგების გააზრების კონტექსტს. სავალდებულო თემა ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მის გამოცდილებას და წინარე ცოდნას, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეს მოახერხოს ცოდნის კონსტრუირება, ამასთანავე, სასწავლო პროცესს აახლოებს ცხოვრებისეულ სიტუაციებთან. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილება. კურიკულუმებში მოცემულია კონტექსტ-მაგალითები, რომლებიც ეყრდნობა წინარე გამოცდილებას. მასწავლებლები ინტერვიუს დროს აღნიშნავენ, რომ სწავლებისას

თანმიმდევრულად, მარტივიდან რთულისაკენ, ნაცნობიდან უცნობისკენ აგებენ სასწავლო შინაარს, უკავშირებენ ცხოვრებისეულ სიტუაციებს. მაგ; მე-8 კლასში ბიოლოგიაში თემა სიცოცხლის ორგანიზაციის დონეები სწავლებისას, მოსწავლე ჯერ ზოგადად სასიცოცხლო თვისებებს ეცნობა, შემდეგ სიცოცხლის ორგანიზაციის დონეებს და უკავშირებს კონკრეტულ დონეს ახალ სასიცოცხლო თვისებებს, შემდეგ სწავლობს უჯრედებს და უჯრედების ორგანიზების ფორმას - ქსოვილებს. კომპლექსური დავალების სახით მოსწავლემ უნდა წარმოადგინოს მცენარეული და ცხოველური ქსოვილები, იმსჯელოს მსგავსება/განსხვავებაზე, შესასრულებელ ფუნქციებზე, რაც ცოდნის კოსტრუირებაში პრაქტიკულად დაეხმარება. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან გამოიკვეთა, რომ საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვა/განხორციელებისას პედაგოგები ცდილობენ, გაითვალისწინონ სწავლა-სწავლების მიზნები: მოსწავლეს განუვითარონ ევროკავშირის მიერ განსაზღვრული XXI საუკუნის რვა საკვანძო კომპეტენცია. მათ შორის არის პერსონალური, სოციალური და სწავლის სწავლის კომპეტენცია, რაც გულისხმობს იმას, რომ მოსწავლეს შეუძლია დავალების/შესასრულებელი საქმიანობის ღირებულების განსაზღვრა, დავალების/აქტივობის დაგეგმვა, სწავლის პროცესის მონიტორინგი, სწავლის, როგორც ქცევის სოციო-ემოციური მართვა. საბაზო საფეხურის მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ მათი მხრიდან მხარდაჭერილია მოსწავლის რეფლექსია შესრულებულ სამუშაოზე და მათი მხრიდან წარმოდგენილია მოსწავლის თვითშეფასების ბარათის ნიმუშები შესრულებული დავალებების ანალიზზე: რა შეასრულა კარგად, რა ცოდნამ, გამოცდილებამ და სტრატეგიამ მოუტანა წარმატება, რა ხელისშემშლელი ფაქტორები გამოიკვეთა, როგორ გაუმკლავდა ამ ფაქტორებს, რისი პრევენცია შეიძლებოდა თავიდან დაგეგმვის შემთხვევაში. პედაგოგებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ მოსწავლეებს ძალიან მოსწონთ თვითშეფასება, რომელიც უადვილებთ მათ მეტაკოგნიტურ პროცესებს. მეტაკოგნიციაზე აქცენტი ისახება სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზსა და ანგარიშებში. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სწავლის პროცესი ხელს უწყობს მოსწავლის მიერ საკუთარი სწავლის მართვის გაცნობიერებას (გონებრივი და ემოციური), ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების ერთობლიობაში მოქცევას, საკუთარი სასწავლო საქმიანობის დაგეგმვას, ორგანიზებას, მონიტორინგს და რეფლექსიას. კურიკულუმით დაგეგმილი საკითხების შესწავლა, კომპლექსური დავალების იდეების განხორციელება მოიაზრებს მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას. წარმოდგენილი კომპლექსური დავალების ბარათებიდან ჩანს მეტაკოგნიტური უნარების განვითარების ხელშეწყობა. მოსწავლეები ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათ შეძენილი ფიზიკური თვისებების; ორგანიზებულობის და თვითკონტროლის; ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს. მასწავლებლების ინტერვიუდან ასევ იკვეთება, რომ კომპლექსური დავალების შესრულების და პრეზენტაციის პროცესში მასწავლებელი სვამს ისეთ კითხვებს, რომელიც იწვევს სამუშაოს შესახებ მოსწავლის რეფლექსიას, გააზრებას, თუ რა გააკეთა მოსწავლემ კარგად, როგორ წარიმართა პროცესი, რა გამოცდილება შეიძინა, რა აღმოჩენა გააკეთა, რას შეცვლიდა ნამუშევრის ხელახლა დაწყების მომენტისთვის - მოცემული კითხვები ხელს უწყობს მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას. მასწავლებლები ყურადღებას ამახვილებენ მოსწავლის მიერ პროდუქტის წარმოდგენისას იმ პროცესებზე, როგორ და რა გზით მიდის მოსწავლე მიზნამდე, რა ეხმარება პროდუქტის შექმნაში, რას შეცვლიდა. თემატური მატრიცის წარმოდგენილ ნიმუშებში (ფიზიკა საბაზო საფეხური) გამოკვეთილია კომპლექსური დავალების პრეზენტაციის პროცესში მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვები.

რჩევა: საბუნებისმეტყველო - სასურველია, შეიქმნას განმავითარებელი შეფასების ისეთი ტიპის რუბრიკები, რომელიც ხელს შეუწყობს კათედრის მიერ შერჩეული სადიაგნოსტიკო შეფასებების მესამე ინსტრუმენტის ეფექტურად გამოყენებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილბულია.**

4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული)

წარმოდგენილი დოკუმენტებიდან გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში სასწავლო პროცესი ორიენტიებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე, რაზეც მეტყველებს ქართულ ენასა და ლიტერატურაში შექმნილი სასკოლო კურიკულუმები საბაზო საფეხურის ყველა კლასისთვის. წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებში ჩანს, რომ მოსწავლეები არ სწავლობენ საკითხებს განყენებულად, არამედ აქცენტი გადატანილია ცოდნის პროცედურულ და პირობისეულ ტრანსფორმაციაში. კურიკულუმებში გაწერილი კომპლექსური დავალების იდეებიც სწორედ ამას მოწმობს. მოსწავლეებმა შეძენილი ცოდნა უნდა აქციონ ინტერვიუდ, ანალიტიკურ ესედ, იგავად, რეპორტაჟად და ა.შ. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები აცნობიერებენ ცოდნის სამივე კატეგორიის განვითარების საჭიროებას და 2023 – 2024 სასწავლო წლისთვის ყველა კომპლექსური დავალება ორიენტირებული იქნება ცოდნის სამივე კატეგორიაზე. მათემატიკის კათედრამ წარმოადგინა კურიკულუმი, ფაქტიურად ესაა პრობლემაზე დაფუძნებული დავალებებისა და აქტივობების განხორციელების გეგმა, სადაც მოსწავლეს უწევს, როგორც რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის მოძებნა (მაგ. მე- 7კლასში შეარჩიულია „პაროლის პოვნის ამოცანა„) ასე რომ, სასწავლო პროცესი ხელს უწყობს საგნობრივი საკითხების სიღრმისეულ გააზრებას და ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე. მაგ. მე-8 კლასში მოცემული კომპლექსური დავალების იდეა (ბულინგის საწინააღმდეგო პოსტერის შექმნა) გულისხმობს პოსტერის შექმნას ბულინგის შესახებ, ამისათვის მოსწავლეს მოუწევს, საგნობრივი საკითხების სიღრმისეული გააზრება და რეალურ ცხოვრებასთან დაკავშირება. ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირება იკვეთება მოსწავლეთა მიერ შესრულებულ კომპლექსურ დავალებებში, ინტეგრირებულ გაკვეთილებში და არაფორმალურ აქტივობებში. საბუნებისმეტყველო კათედრაზე ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდგენილია კომპლექსური დავალებების იდეები (მაგ: ბიოლოგიაში მე-9 კლასის კურიკულუმში საინფორმაციო ბუკლეტის შექმნა ახლომხედველობის შესახებ, პრევენციის და მკურნალობის გზები, მე-8 კლასში ქიმიის კურიკულუმის მიხედვით მოლეკულების მოდელირება, კავშირი აგრეგატულ მდგომარეობებთან და დიფუზიის პროცესთან). ამ და სხვა კომპლექსური ხასიათის დავალებებზე მუშაობის პროცესში მოსწავლეს მხოლოდ შემოქმედებითობა კი არ სჭირდება, არამედ საკითხის გააზრება, მსჯელობა, ახსნა, დასკვნების გაკეთება. ამ პროცესში მეტაკოგნიტური სტრატეგიების გამოყენება მოსწავლის ნებელობას აყალიბებს, აუმჯობესებს თანამშრომლობისა და საკომუნიკაციო უნარებს. წინარე ცოდნის გააქტიურების დროს აქცენტი კეთდება დეკლარატიულ ცოდნაზე, პრაქტიკული სამუშაოები კი შეესაბამება პროცედურებს, მოქმედებათა განხორციელების საშუალებას იძლევა. პირობისეული ცოდნა აერთიანებს დეკლარატიულ და პროცედურულ ცოდნას და გულისხმობს მიღებული გამოცდილების რეალიზებას ამჯერად სხვა გარემოში, სხვა სიტუაციასა და კონტექსტში, ცოდნის ტრანსფერს რეალურ ცხოვრებისეულ მომენტებში. საბუნებისმეტყველო კათედრამ წარმოადგინა სამოქმედო გეგმა, სადაც ასახულია არამხოლოდ დაგეგმილი კომპლექსურ დავალებების განრიგი, არამედ სხვადსხვა ღონისძიებები, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის მიერ გრძელვადიანი მიზნების მიღწევას, დაეხმარება მოსწავლეს, ააგოს დეკლარატიული, პროცედურული და პირობისეული ცოდნა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

წარმოდგენილი დოკუმენტებიდან გამოიკვეთა, რომ პედაგოგებს გაცნობიერებული აქვთ სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებისა და ურთიერთდაკავშირებისთვის კურიკულუმების როლი, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ და მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ თვალსაზრისით. ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმებში გაწერილია თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, როგორც საკვანძო ასპექტები, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას გვაძლევს. რადგან კომპლექსური ბუნების დავალებები

ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შემქნაზე და ა.შ. ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. მოსწავლეები საბაზო საფეხურზე ქმნიან წარმოსახვით ინტერვიუებს, რეპორტაჟებს, სარეკლამო ბროშურებს, ანალიტიკურ ესეს, საკუთარ მოსაზრებას ასაბუთებენ და ა.შ. მასწავლებლები ამ მიმართულებით აქტიურად ახორციელებენ ინტეგრირებულ გაკვეთილებსა და პროექტებს. პედაგოგებს აქვთ მზაობა, აღნიშნული მიდგომები, წინარე გამოცდილება და ახალი მიგნებები გაითვალისწინონ სასწავლო პროცესში. უცხოური ენების კათედრას აქვს ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარების გამოცდილება, მაგ. წარმოდგენილია ინტეგრირეგული გაკვეთილის გეგმა მე-9 კლასში (რუსული-ინგლისური), სადაც მოსწავლეს, ახალი მასალის უბრალოდ დასწავლის ნაცვლად, უწევს იფიქროს გამოწვევაზე, თავი მოუყაროს ყველა იმ ცოდნასა და უნარს რაც დავალების შესასრულებლად გამოადგება და მოახდინოს ცოდნათა ორგანიზება. სკოლაში ასევე ხორციელდება პროექტი „დემოკრატია მულტიკულტურულ საზოგადოებაში“, სადაც ჩართულია სასკოლო საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი. ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას უწყობს ხელს ასევე არაფომალური აქტივობები. ცოდნათა ორგანიზება და დაკავშირება აისახება საბაზო საფეხურის კურიკულუმების ჩარჩოებში, სადაც მასწავლებლებს სასწავლო პროცესი დაგეგმილი აქვთ თემების მიხედვით, თვითოეულ თემაში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება, საკითხები ორგანიზებულია კლასტერებად. ქიმიისა და ფიზიკის კურიკულუმებში მოყვანილია კონტექსტ-მაგალითები და მაგალითები შედარებისათვის, რომელიც იძლევა საშუალებას, მოსწავლემ შეძლოს: ცოდნის ორგანიზება და დაუკავშიროს სწავლების პროცესში ერთმანეთს, წინარე ცოდნაზე დაშენებით ააგოს ახალი კონსტრუქტი. კომპლექსური დავალებების შექმნის პროცესში მოსწავლე შეძლებს აღმოაჩინოს ობიექტის, მოვლენის ახალი ნიშნები, თვისებები, კანონზომიერებები, მოახერხოს სწავლის სწავლა. პრაქტიკული დავალებები ხელს უწყობს ცოდნის ურთიერთდაკავშირებას და ტრანსფერს. **ინდიკატორი დააკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საგნობრივი კურიკულუმები;
- კომპლექსური დავალების სრული ნიმუშები (ინსტრუქციით);
- საეტაპო აქტივობები;
- ინტეგრირებული გაკვეთილის გეგმები.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით.**

სკოლის მასწავლებლებისთვის მნიშვნელოვანია, რომ სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ იყოს გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებსა (რესურსებს,მასალას) და საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექანიზმს) ცნებებს შორის. ამას უზრუნველყოფს კარგად გაწერილი კურიკულუმი. სკოლის მიერ წარმოდგენილ საბაზო საფეხურის კურიკულუმებში სტრუქტურულ ერთეულებს შორის მიმართებები სწორია. პედაგოგებთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ საგაკვეთილო აქტივობები გააზრებულია და მიემართება მიზანს. სასწავლო პროცესი დაგეგმილია შემდეგნაირად: მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხს, ისმება საკვანძო შეკითხვები, განიხილება კომპლექსური დავალების პირობა და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს ეხმარება მასალის სიღრმისეულ გააზრებაში. საბოლოოდ, მოსწავლის მიერ იქმნება კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით. სკოლაში განხორციელებული პროექტები, ასევე, ხელს უწყობს მოსწავლეებში მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას. სკოლის მიერ მიერ წარმოდგენილია საბაზო საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმის ჩარჩო მე-7, მე-8 და მე-9 კლასებისთვის, რომელშიც გათვალისწინებულია გრძელვადიან მიზანთან მიმართება. მათემატიკის სამიზნე ცნებები მათ. მოდელი, კანონზომიერება და ლოგიკა, ასევე თემები, თემის მკვიდრი წარმოდგენები განსაზღვრავს იმ ცოდნას, რომელსაც მოსწავლე უნდა დაეუფლოს საბაზო საფეხურზე მათემატიკის სწავლისას, ამ ცოდნისკენ სვლა კათედრაზე ხორციელდება შემდეგი მიდგომებით: კურკულუმში ყველაგან აქვთ წარმოდგენილი სამიზნე ცნებები, აქვთ ჩაშლილი ქვეცნებები, ასევე ინტერვიუს დროს დაზუსტდა, რომ პედაგოგებს აქვთ გააზრებული კავშირები სამიზნე ცნებებსა და თემებსა და მკვიდრ წარმოდგენებს შორის, მაგალითად ის, რომ მათემატიკური მოდელი რეალურ ცხოვრებაში მიმდინარე მოვლენებს აღწერს მათემატიკური ცნებების, ობიექტების და ენის გამოყენებით. (პროცესები შეიძლება ჩაიწეროს რიცხვითი გამოსახულების, ალგებრული გამოსახულების, განტოლების, უტოლობის, სისტემების, ფუნქციის, დიაგრამის, გეომეტრიული ობიექტების მეშვეობით. მათემატიკური მოდელი გამოიყენება რეალური პროცესების აღსაწერად, ასახსნელად, პროგნოზირებისათვის და პრობლემის გადაჭრისთვის, აღწერილი აქვთ შეფასების რუბრიკებშიც. საბაზო საფეხურზე ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის კურიკულუმის ჩარჩოები აგებულია სწავლების გრძელვადიანი მიზნების გათვალისწინებით. გრძელვადიან მიზნებად განსაზღვრულია სამიზნე ცნებები. წარმოდგენილია კავშირები სამიზნე ცნებას, სამიზნე ცნებების მკვიდრ წარმოდგენებს, საგნობრივ საკითხებს და მასალა/რესურსებს შორის. გამოკვეთილია საგნობრივი საკითხები, რომელთა შესწავლაც ხელს შეუწყობს სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებზე გასვლას. ზოგიერთ კურიკულუმში მოცემულია ქვეცნებები, რომლებიც აკავშირებს საგნობრივ საკითხებს სამიზნე ცნებებთან. ქიმიაში თემის ''ნავთობი და მისი პროდუქტები, ბუნებრივი აირი'' ორგანულ ნაერთთა მრავალფეროვნება'' შესწავლისას მუშავდება ქვეცნებები - ნაჯერი ნახშირწყალბადები, უჯერი ნახშირწყალბადები, არომატული ნახშირწყალბადები,მარტივი ბმა, ჯერადი ბმა, ჰიდრირება, ჰალოგენირება, პოლიმერიზაცია. მოცემული ქვეცნებების დამუშავება ხელს უწყობს სამიზნე ცნებებზე (ნივთიერება, ფიზიკური და ქიმიური მოვლენები, ქიმიური ბმა) და მათ მკვიდრ წარმოდგენებზე გასვლას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.

მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას, რადგან ისინი სასწავლო პროცესში საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას გადამწყვეტ უპირატესობას ანიჭებენ მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს და არა

საგნობრივი საკითხების ამოწურვის „ვალდებულებას“. გასაუბრების დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ახალი სასწავლო წლისთვის საგაკვეთილო პროცესის დროს ყურადღებას გაამახვილებენ არა მხოლოდ საგნობრივ თემატიკაზე, არამედ მოსწავლის მრავალმხრივ/ჰოლისტურ განვითარებაზე, რაც გამოიხატება ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებაში, როგორიცაა: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი, ნებისყოფა/ნებელობა. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ემპათიური გრძნობების ჩამოყალიბებისათვის, ფსიქოსოციალური განვითარებისათვის სკოლაში ყურადღება ექცევა არაფორმალურ განათლებას, რაც ემსახურება მოსწავლეთა პიროვნულ ზრდას, ფსიქო-სოციალურ განვითარებას. კლუბებში გაერთიანება და არაფორმალურ განათლებაში ჩართვა მოსწავლეებში ემპათიის გრძნობას ზრდის. სკოლაში, ამ მხრივ, დიდი ფუნქცია ეკისრება დამრიგებელს და მის მუშაობას. წარმოდგენილია მე-9 კლასის სადამრიგებლო პროგრამა, რომელიც ყველა სხვა მნიშვნელოვან საკითხთან ერთად ითვალისწინებს მოსწავლეთა მხარდაჭერას პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მიმართულებით. ამ მხრივ, დამრიგებლის როლი დიდია მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-ემოციურ განვითარებაში. უცხოური ენის მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო წლის დასაწყისში, მოსწავლის ასაკისა და ინტერესების გათვალისწინებით, განისაზღვრა სადამრიგებლო საათის თემატიკა, წარმოდგენილია მე-9 კლასის სადამრიგებლო საათის თემატიკის ჩამონათვალი, რომელიც მოიცავს მოსწავლეთა ეკოლოგიური ცნობიერებისა და პროფესიულ ორიენტაციაში ცნობიერების ამაღლების თემებს. სკოლაში ხორციელდება ისეთი პროექტები, რომელიც მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზეა ორიენტირებული. მაგ. პროექტი: “დემოკრატია მულტიკულტურულ საზოგადოებაში“. სკოლის მისია განსაზღვრავს სწორედ ისეთი გარემოს შექმნას, სადაც მოსწავლე გამოიჩენს მეტ ემპათიას, მიმღებლობას კულტურული მრავალფეროვნების მიმართ, ღირებულებებში გამოკვეთილია ყველა ადამიანის ‘’თანასწორობა, დაცულობა და ბედნიერება’’. სწავლის პროცესი ორიენტირებულია საკვანძო კომპეტენციებზე: თვითცნობიერება, თვითრეგულაცია, სოციალური ცნობიერება, ურთიერთობის უნარები, პასუხისმგებლობა გადაწყვეტილებაზე. სწავლა მხოლოდ სასწავლო პროცესის ორგანიზება არ არის, მოსწავლე იზრდება და ვითარდება არა მხოლოდ ფიზიკურად და პიროვნულად, მისი სოციო-ემოციური სფეროს განვითარება აქტიურად მიმდინარეობს სასკოლო გარემოში. მოსწავლეს თავის კლასში უწევს ითანამშრომლოს, დაამყაროს ჯანსაღი ურთიერთობები, შეაფასოს საკუთარი და მეგობრების ნამუშევრების ძლიერი და სუსტი მხარეები, გაიაზროს სხვების პოზიცია და გამოხატოს ემპათია სხვისი აზრის მიმართ. მოსწავლემ უნდა შეძლოს როგორც ინდივიდუალური პასუხიმგებლობის გააზრება, ასევე გუნდის სასრგებლო წევრად ქცევა. მიიღოს ინდივიდუალური გადაწყვეტილება ისე, რომ თანხვედრაში იყოს ღირებულებებთან. საგნობრივი კურიკულუმები იძლევა საშუალებას, შესთავაზოს მოსწავლეს მის ინტერსებზე, საჭიროებებზე და შესაძლებლობებზე მორგებული სასწავლო პროცესი. კომპლექსური დავალებების შერჩევის პროცესში, პროდუქტის შერჩევისას მოსწავლე თავისუფალია არჩევანში. კლუბების და პროექტების შეთავაზება ასევე იძლევა საფუძველს, მოსწავლემ აღმოაჩინოს საკუთარი ინტერესები და განივითაროს თვალსაწიერი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე.

მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მათ გააზრებული აქვთ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობა, იციან განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების არსი, ამასთანავე, შექმნილი აქვთ შეფასების ზოგადი რუბრიკები. აქვთ შექმნილი კონკრეტულ თემაში, საკითხზე მორგებული შეფასების რუბრიკებიც, კათედრის სხდომებზე იხილავენ შემაჯამებელი სამუშაოს ანალიზის ფორმებს. აქვთ კომპლექსური დავალების განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით შეფასების გამოცდილება. მოსწავლეებისთვის ხშირად მიმართავენ თვითშეფასების რუბრიკებს. 2023 – 2024 სასწავლო წლისთვის კათედრები გეგმავენ როგორც განმსაზღვრელი, ასევე, განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით მუშაობას,

ხოლო სადიაგნოსტიკო ტესტებს გამოიყენებენ სემესტრში ერთხელ. სასწავლო წლის განმავლობაში პედაგოგები დააკვირდებიან მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, გააანალიზებენ და მიღებულ გამოცდილებას გაითვალისწინებენ მომდევნო სასწავლო წლისათვის. სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმაში ასახულია მოსწავლეთა შეფასების სისტემა, რომელიც გულისხმობს განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებებს, აკონკრეტებს შეფასების მიზნებს, სახეებს, პრინციპებს. სკოლა იყენებს განმსაზღვრელი შეფასების სამკომპონენტიან მოდელს, შეფასებისთვის გამოიყენება ანალიტიკური და ჰოლისტური შეფასების რუბრიკები. საბუნებისმეტყველო კათედრაზე შექმნილია შეფასების რუბრიკების ნიმუშები. კათედრის შემაჯამებელი ოქმიდან ჩანს, კათედრა გეგმავს გააგრძელოს მუშაობა და შექმნას ყველა თემაზე განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები კათედრის ოქმიდან და ინტერვიუდან გამომდინარე, სასწავლო წლის მანძილზე მასწავლებლები იყენებდნენ განმავითარებელ შეფასებებს ძირითადად სიტყვიერი კომენტარების სახით, მოსწავლეთა შედეგების გაზიარება ხდებოდა კათედრაზე ასევე ზეპირად. კათედრის შემაჯამებელი ოქმში ასახულია ე.წ. SWOT ანალიზიც, რომელიც ეყრდნობა კათედრის მასწავლებელთა აზრს. საბუნებისმეტყველო კათედრა 2023-2024 სასწავლო წლისთვის ირჩევს შეფასების პირველ მოდელს. მასწავლებლები აცხადებენ, რომ განმავითარებელი შეფასებების შედეგად მოპოვებულ მონაცემებს ისინი გაუზიარებენ ერთმანეთს სამუშაო შეხვედრების დროს, პედაგოგიური საჭიროებებზე ასევე იმსჯელებენ და გააზიარებენ კათედრაზე.

რჩევა: საბუნებისმეტყველო - სასურველია, კათედრის მიერ გამოვლენილი სუსტი მხარეები გაანალიზდეს ერთობლივად, გადავიდეს კათედრის სამოქმედო გეგმაში და თითოეული პუნქტის გაუმჯობესების/აღმოფხვრის მიზნით მიზნით დაიგეგმოს შესაბამისი აქტივობები. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლა სასწავლო პროცესში უზრუნველყოფს შეფასების სისტემის ვალიდურობას, გამჭვირვალეობას, სანდოობას, ობიექტურობასა და სამართლიანობას. კომპლექსური დავალების პირობას საგნობრივი საკითხის დაანონსებისთანავე სკოლა აცნობს როგორც მოსწავლეს, ასევე, მის მშობელს. შეფასების კრიტერიუმის ვალიდურობას მასწავლებელი ამოწმებს სამიზნე ცნებებზე მუშაობის პროცესში. ხდება შეფასება იმისა, თუ როგორ ასაბუთებს მოსწავლე იმას, რომ მის მიერ წარმოდგენილი დავალება შეესაბამება სამიზნე ცნებით განსაზღვრულ საკითხს, როგორ იაზრებს თემას. შეფასების სისტემა ცნობილი და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებისათვის. სასკოლო სასწავლო გეგმაში იკითხება ინფორმაცია შეფასების მიზნის, ამოცანებისა და დიაგნოსტიკური წერების შესახებ. შეფასების ანალიზის შედეგად გამოკვეთილი ძირითადი მიგნებების საფუძველზე საჭიროების შემთხვევაში ხორციელდება ცვლილება. ეს საკითხები განიხილება მშობელთა კრებებზე, კათედრაზე, პედსაბჭოს სხდომებზე. საშუალო საფეხურის პედაგოგები 2023 – 2024 სასწავლო წლისთვის გეგმავენ მოსწავლეთა უფრო მეტ ჩართულობას შეფასების ინსტრუმენტების დახვეწასა და გამოყენებაში, რაც გაზრდის შეფასების სისტემის ხარისხს მეტი ობიექტურობისა და სამართლიანობის თვალსაზრისით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი.

მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი. მკაფიოდაა გაწერილი ვერიფიკაციის მიზანი, ამოცანები, პრინციპები. აღწერილია ვერიფიკაციის პროცესი. მკაფიოდ გაწერილია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის განმახორციელებელი პირები, რომლის მიხედვითაც შეფასების სისტემის ვერიფიკაცია შესაძლებელია, განახორციელოს: დირექტორის მოადგილემ; შესაბამისმა საგნობრივმა კათედრამ (ურთიერთადსწრების, შეფასების რუბრიკების შემუშაების, შემაჯამებელი დავალების ანალიზის დროს); დირექტორის მიერ შექმნილმა

კომისიამ (მაგ. სემესტრული გამოცდების ჩატარების მიზნით შექმნილმა კომისიამ); ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფმა მასწავლებლის საქმიანობის დაკვირვების დროს (საგაკვეთილო პროცესზე დასწრება/კომპეტენციების შემოწმება). ეს პროცესი გულისხმობს შესაფასებელი დავალებებისა და მასწავლებლის მიერ გამოყენებული შეფასების რუბრიკის შესაბამისობის დადგენას როგორც ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მეთოდიკურ ორიენტირებთან და საგნობრივ სტანდარტთან, ასევე, დავალების მიზანთან, შინაარსთან და ფორმასთან. ამ დოკუმენტის მიხედვით, ნათლად აისახება სასწავლო პროცესში გამოყენებული შეფასების ვალიდურობა, სანდოობა, გამჭვირვალეობა, ობიექტურობა და სამართლიანობა. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს წარმოადგინეს მოსწავლეთა შეფასება და აღწერეს პროცესი თუ როგორ აანალიზებენ მოსწავლეთა შეფასებებს მათემატიკური აპარატის გამოყენებით ე.წ. საერთო შემაჯამებელ ანგარიშით, რაც სტატისტიკურად უჩვენებს მათ რამდენად თანმიმდევრულია მოსწავლეთა შეფასება, მათი სწავლის დინამიკა. მათ კარგად ესმით, რომ ეს ანალიზი სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია და ილუსტრაციაა იმისა, თუ რამდენად ასრულებს შეფასების სისტემა მოსწავლის მხარდაჭერის ფუნქციას, რამდენად წარმოადგენს ის სწვლა-სწვალების პროცესის საყრდენს. წარმოდგენილი დოკუმენტაციით და ინტერვიუებით დგინდება რომ, სკოლაში მოსწავლეთა შეფასება საბაზო საფეხურზე ხდება ესგ-ის სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებთან მიმართებით. გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელ შეფასება. შეფასებისთვის გამოიყენება სხვადასხვა ინსტრუმენტი. კომპლექსური დავალებების განხორციელების წინ მასწავლებელი მოსწავლეებს და მშობლებს აცნობს როგორც დავალების პირობას, ასევე შეფასების სქემასაც. განმავითარებელი შეფასების რუბრიკები აღწერს მოსწავლის მიღწევის დონეს მოცემულ სამიზნე ცნებებთან მიმართებით. მასწავლებლები აღნიშნავენ რომ იცნობენ და იყენებენ განმავითარებელი შეფასებების სხვადასხვა ტექნიკას, სწავლის პროცესში მიმართავენ ასევე მოსწავლეთა ურთიერთშეფასებას. სკოლის მიერ წარმოდგენილია დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს სემესტრული გამოცდის გადაბარებას ნიშნის/ქულის ამაღლების მიზნით. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ აქტიურად ატარებდნენ კონსულტაციებს და მათ მიერ განხორციელებული შეფასებები შეფასების პრინციპებს სრულად ითვალისწინებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

სკოლაში დაცულია კანონმდებლობით განსაზღვრული რეგულაციები დოკუმენტების წარმოებასა და მათ შენახვასთან დაკავშირებით.

სასკოლო სასწავლოგეგმის მიხედვით, სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებების აღრიცხვასა და დაცვას არანაკლებ სამი წლის ვადით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საგნობრივი კურიკულუმები;
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- კურიკულუმში შერჩეული კომპლექსური დავალების სრული ნიმუში (ინსტრუქციით);
- საეტაპო აქტივობები;
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, აგრეთვე პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სასკოლო საზოგადოება ცდილობს შექმნას სასწავლო პროცესისათვის ღია/მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო, რომელსაც უზრუნველყოფს სასკოლო სასწავლო გეგმის თითოეული პუნქტი და მასში გაწერილი საკითხები, მათ შორის მოსწავლეზე ორიენტირებული სკოლის მისია და ხედვა, საათობრივი ბადე, შემუშავებული საგნობრივი პროგრამები, მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები, საგნობრივი კათედრების მუშაობის პრინციპები და სხვ. პედაგოგებთან გასაუბრებისას იკვეთება, რომ სკოლაში საკმაოდ ღია და მიმღებლობითი, პოზიტიური სასკოლო კლიმატია. თანამშრომლობითი და პოზიტიური კომუნიკაციაა სასკოლო საზოგადოების წევრთა შორის. მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან, მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან. კათედრის ყველა წევრი ზრუნავს თანამშრომლობითი კულტურის განვითარებასა და გამოცდილების გაზიარებაზე, ისინი ხშირად ერთობლივად გეგმავენ გაკვეთილებს, პროექტებს, უზიარებენ გამოცდილებას, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ უკუკავშირსა და საჭიროების შემთხვევაში რეკომენდაციებს. ინტერვიუში იკვეთება მასწავლებელთა გუნდური მიდგომა გამოწვევებისადმი, გააჟღერეს რომ მოსწავლეების მოსაზრება და ინიციატივები გათვალისწინებულია სასწავლო პროცესში. მაგ. ხშირ შემთხვევაში, მოსწავლეს აქვს არჩევნის უფლება თუ რა ფორმით წარმოადგინოს კომპლექსური დავალების საბოლოო პროდუქტი, ან გამოთქვას მოსაზრება თუ რა თემაა მისთვის აქტუალური ან პრობლემური. პედაგოგები ადასტურებენ, რომ გათვალისწინებულია მშობელთა და თემის ინტერესებიც. სკოლაში სასწავლო წლის დასაწყისში მუშავდება სასკოლო კურიკულუმი. სკოლისთვის პრიორიტეტია შექმნას კულტურული მრავალფეროვნების მხარდამჭერი, პოზიტიური და მაღალი მიმღებლობის გარემო, რაც ჩანს სკოლის მისიაში. ასეთი გარემოს შექმნას უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადება. სასწავლო პროცესის წარმატებით განხორციელებისათვის შექმნილია მხარდაჭერასა და ურთიერთპატივისცემაზე ორიენტირებული გარემო. მოსწავლეები ინფორმირებულები არიან სკოლაში მოქმედი არაფორმალური სასწავლო-საგანმანათლებლო აქტივობების, კლუბების შესახებ. შემუშავებულია საგნობრივი კათედრების მუშაობის გეგმები, ინდ. გეგმები. მოსწავლეებს აქვთ საშუალება ესგ სტანდარტით გათვალისწინებული არჩევითი საგნებიდან აირჩიონ სასურველი საგანი, წლის განმავლობაში მოსწავლეები იღებენ განმავითარებელ შეფასებებს,რაც მიმართულია სწავლების შედეგების გაუმჯობესებისაკენ. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორი ხელს უწყობს მხარდამჭერი და მიმღებლობითი სასკოლო გარემოს ჩამოყალიბებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, აგრეთვე, პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ორიენტირებული არიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე, მათ ინდივიდუალურ მხარდაჭერაზე. ეს აისახება საგნობრივ კურიკულუმებში, რომელშიც გაწერილია კომპლექსური დავალებები, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჩართვას სასწავლო პროცესში. მასწავლებლები ქმნიან უსაფრთხო გარემოს მოსწავლეებთან თანამშრომლობით, ხელს უწყობენ და ახალისებენ თვითრეგულირებად ქცევას, მოსწავლეებში თანამშრომლობითი უნარების განვითარებას. პედაგოგები აღნიშნავენ, რომ მოსწავლეთა და მშობელთა

ჩართულობა სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და რეგულირებაში ძალიან მნიშვნელოვანია. ამისათვის ისინი ატარებენ სადამრიგებლო სამუშაოებს, მოსწავლეები სხვადასხვა აქტივობაში იღებენ მონაწილეობას. გასაუბრების დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ „მზესუმზირების“ კლუბში ჩართულობა საკმაოდ დიდ გავლენას ახდენდა მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებაზე. პედაგოგები იყენებენ მშობლებთან კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმებს. სამომავლოდ ეცდებიან, გაზარდონ სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებაში მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობა, მეტად გაითვალისწინონ მოსწავლეთა საჭიროებები და ინტერესები, მათი ჩართულობით შეარჩიონ სასწავლო პროექტების, სასკოლო კლუბის საქმიანობის თემატიკა, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მოტივაციის ზრდასა და დადებითად აისახება მათ სასწავლო შედეგებზე. სკოლაში ფუნქციონირებს კლუბები სხვადასხვა მიმართულებით, მაგ: „ნებულა“,“ეკომცველები“, სადაც წახალისებულია მოსწავლეთა ინიციატივები, თანამშრომლობა და შექმნილია ეფექტური გარემო მოსწავლეთა პოტენციალის რეალიზებისთვის. მოსწავლეები ჩართულნი არიან, სხვადასხვას სახის სპორტულ ოლიმპიადებში, სასკოლო სპორტულ ფესტივალებში, რომლებიც მოსწავლეების ინტერესებსაა მორგებული და მათზეა ორიენტირებული. (დასტურდება ფოტომასალით, სიგელებით, სკოლის ფეისბუქ გვერდზე განთავსებული აქტივობებით).სკოლაში კურიკულუმის მიხედვით დაგეგმილი სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეზე. საშუალებაა კომპლექსური ბუნების დავალებების შესრულების დროს მოსწავლის ავტონომიურობა/დამოუკიდებლობა, მისი წინარე გამოცდილება და თვითრეგულაცია წამყვანია. მასწავლებელი ითვალისწინებს მოსწავლეთა საჭიროებებს და პრობლემებს. შეთავაზებული საკითხები, რესურსები, აქტივობები, მაგალითები შედარებისათვის იძლევა დიფერენცირების საშუალებას. კათედრა საბაზო საფეხურზე იყენებს სწავლის შედეგების მონიტორინგს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებების წარმოებით. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე. კურიკულუმების შედგენისას მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს. სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია კომპლექსური დავალებები, (მაგ: ბუკლეტების შექმნა მერვე კლასში ბიოლოგიაში ტანადობის დარღვევაზე, მე-9 კლასში მხედველობის პრობლემები, პრევენცია და მკურნალობა). ასევე ხორციელდება სასწავლო პროექტები, რომელიც მოსწავლეთა მოტივაციის და ინტერესის ზრდას უზრუნველყოფს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას.

პედაგოგებთან ინტერვიუს დროს, აგრეთვე სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების (საბაზო საფეხურის კურიკულუმები, საკლუბო საქმიანობა, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი, მასწავლებელთა და კათედრების ანგარიშები, სადამრიგებლო საათი) გაცნობით იკვეთება, რომ ეფექტურად მიმდინარეობს თანამშრომლობა სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის (მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი, სკოლის დირექცია, ადმინისტრაცია). კათედრის წევრთა შორის ხდება გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება. ამის უზრუნველყოფისთვის კი მეტად მნიშვნელოვანია თანამშრომლობა, გუნდურობა. სასკოლო წარმატებების, არსებული გამოწვევების შესახებ ინფორმირებული არიან მშობლები, იმართება მშობელთა კრებები, იგეგემება ინდივიდულაური შეხვედრები მოსწავლის შედეგების გასაცნობად. სასწავლო პროცესი დაგეგმილია იმგვარად, რომ გულისხმობს არსებული პრაქტიკის კიდევ უფრო განვითარებას. მშობლებს აქვთ ინფორმაცია საბაზო საფეხურზე ჩატარებული სპორტული ფესტივალის შინაარსის შესახებ. სკოლა გეგმავს მშობლების კომპონენტის გაძლიერებასა და სასკოლო თემის ჩართულობას პროექტებში მონაწილეობით, რაც დადებითად აისახება თანამშრომლობითი კულტურის დანერგვაზე. სასკოლო კულტურა მრავალფეროვანია, რომლის მთავარი პრინციპი თანამშრომლობაა. სასწავლო პროცესი ეფუძნება გამოცდილების გაზიარებასა და აქტიურ კომუნიკაციას. საბაზო საფეხურის პედაგოგები საბუნებისმეტყველო კათედრაზე უზიარებენ კოლეგებს გამოცდილებას, ადგენენ კურიკულუმებს, ერთობლივად მუშაობენ კომპლექსურ დავალებებზე, პროექტებზე. სკოლის საზოგადოების ყველა წევრი

მაქსიმალურადაა ჩართული გადაწყვეტილების მიღების პროცესში, პრაქტიკული კვლევები, გამოკითხვების, სამუშაო შეხვედრების პროცესში. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი ახორციელებს გაკვეთილზე დასწრებას. ჯგუფის მიზანი და ამოცანაა მონიტორინგისა და შეფასების სისტემის სრულყოფის გზით სკოლაში სწავლების ხარისხის ამაღლებაზე ზრუნვა, დაკვირვების შედეგად ხდება კოლეგებისათვის უკუკავშირის მიცემა, რაც არა მხოლოდ სწავლების ხარისხისთვის ზრუნვაა, არამედ ხელს უწყობს მასწავლებლის პროფესიული საჭიროებების გამოვლენას და პროფესიული განვითარების მხარდაჭერას, სკოლაში მაღალი თანამშრომლობითი კულტურის შექმნას, პოზიტიური, საქმიანი, განვითარებაზე ორიენტირებული გარემოს ფორმირებას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

პედაგოგებთან ინტერვიუს დროს, გამოიკვეთა, რომ სასკოლო საზოგადოების წევრები ჩართული არიან სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში. სკოლის თანამშრომლები მუდმივად ერთვებიან ერთმანეთის სამუშაოებში და ადვილად ახერხებენ ურთიერთდასწრებას, გამოცდილების გაზიარებას, რჩევა/რეკომენდაციების მიცემას. მასწავლებლებმა პირისპირ გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ პოზიტიური სასკოლო კლიმატის შესაქმნელად ცდილობენ წაახალისონ სამოქალაქო არაფორმალური განათლების აქტივობებსა და პროექტებში მოსწავლეთა ჩართულობა, დამრიგებლები თავიანთ ანგარიშებში წარმოაჩენენ მშობელთა ჩართულობის ფორმებსა და აქტივობებს. ეს აქტივობები სკოლას გაწერილი აქვს სასკოლო სასწავლო გეგმაში და არა მხოლოდ ერთი მიმართულებით, არამედ კომპლექსურად, იქნება ეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სწავლა-სწავლების ხარისხი, პროფესიული განვითარება, უსაფრთხო გარემო თუ სხვა. სასკოლო კლიმატის გასაუმჯობესებლად გარდა კურიკულუმის დასახვეწი პროცესებისა, სკოლას მრავალი აქტივობის დაგეგმვა და განხორციელება შეუძლია. კერძოდ: მათემტიკური პროექტების წახალისება მოსწავლეებში ძირითადი ფინანსური უნარების განვითარების მიზნით, ასევე ძალადობისა და კონფლიქტების პრევენციული ღონისძიებები; თანატოლების თანამშრომლობისა და თანასწავლების წახალისება; მოსწვალის პიროვნულ ზრდაზე მიმართული აქტივობები და სხვა. მასწავლებლები, მოსწავლეები და მშობლები ერთად მუშაობენ სასკოლო კულტურის პოზიტიური გარემოს შექმნისათვის. სკოლას განხორციელებული აქვს არაერთი პროექტი, მაგ. ინტეგრირებული პროექტი „დემოკრატია მულტიკულტურულ საზოგადოებაში“, რაც სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის თანამშრომლობის და ემპათიის უნარების განვითარებაზეა ორიენტირებული.

სკოლაში შექმნილია პოზიტიური სასკოლო კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე, წახალისებულია თანამშრომლობა, კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი. სწავლა-სწავლების დროს, პროექტებზე მუშაობისას, კომპლექსური დავალებების შესრულების დროს აქცენტი კეთდება მოსწავლეთა წარმატებებზე, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში მოტივაციის ამაღლებას. სადამრიგებლო საქმიანობა ხელს უწყობს კლასის დონეზე პოზიტიური გარემოს შექმნას, თანამშრომლობას, მოსწავლის პასუხისმგებლობისა და ვალდებულების გრძნობის განვითარებას, მოსწავლეების პიროვნულ ზრდასა და მათი ძირითადი ღირებულებების ჩამოყალიბებას, ამავე დროს, დამრიგებლის ინსტიტუტი სადამრიგებლო საქმიანობის რეფლექსიის საფუძველზე იძლევა მასწავლებლის პროფესიული ზრდის საშუალებას. სკოლას წარმოდგენილი აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, სადაც გეგმავს იმუშაოს რამდენიმე მიმართულებით,მათ შორისაა უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს შექმნა (სტრატეგიული მიზანი 4). გეგმაში გაწერილია ამოცანები, პასუხისმგებელი პირები, შესრულების ინდიკატორები, რესურსები. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საგნობრივი კურიკულუმები
- 2023-2024 წწ.სასკოლო სასწავლო გეგმა

- კურიკულუმის შემშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად.

სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის ზოგადი ჩარჩო, სადაც გაწერილია კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასების ძირითადი პრინციპები. თანდართულ დოკუმენტებში და პედაგოგებთან ინტერვიუების საფუძველზე დასტურდება, რომ სკოლა იმუშავებს ამ მიმართულებით და დოკუმენტში უფრო კონკრეტულად ასახავს, თუ როგორ (რა საშუალებებით) განხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. სასკოლო საზოგადოებას გააზრებული აქვს, რომ კურიკულუმის განვითარება არის ციკლური პროცესი და მონიტორინგი და შეფასება ამ პროცესის განუყოფელი ნაწილია. სკოლა, ასევე, ცალსახად გამოკვეთს მონაცემთა მიზნობრიობას, მათი შეგროვებისა და ანალიზის პროცესებს, როგორ შეიძლება აისახოს მიღებული შედეგები კურიკულუმისა და სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესებისათვის, განსაზღვრავს ინდიკატორებს, რომელიც შესაძლებლობას მისცემს სკოლას გაზომოს როგორც პროცესი, რა განხორციელდა მიზნის მისაღწევად, ასევე შედეგები და პასუხი გასცეს კითხვებს: მიმდინარეობს თუ არა აქტივობები დაგეგმილის მიხედვით? მოახდინა თუ არა ცვლილება პროგრამის აქტივობებმა? მასწავლებლებთან გასაუბრებებისას მკაფიოდ გამოიკვეთა, რომ შეფასებისთვის გამოიყენებენ როგორც განმსაზღვრელ ასევე განმავითარებელ შეფასებას, რაც დასტურდება სკოლის მიერ მოწოდებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით, სადაც მკაფიოდ არის გაწერილი, რომ მოსწავლეები შეფასდებიან გრძელვადიან მიზნებზე ცნებებზე, შედეგებზე დაყრდნობით, ასევე როგორც სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაშია აღნიშნული სკოლაში კვლევა და შეფასება ჩატარდება და წარიმართება სამი მიმართულებით: 1. მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით, სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად 2. სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობელების გადაჭრისთვის), 3. სკოლის

ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის). სკოლის მიერ მოწოდებულ კურიკულუმებში ასახული შუალედური (საკითხები, თემები, კომპლექსური დავალების იდეა) და გრძელვადიანი (ცნებები, შედეგები) მიზნებიდან და კურიკულუმებში ასახული კომპლექსური დავალებების სრული(ინსტრუქციით) ნიმუშებიდან გამომდინარე (სადაც ასევე მკაფიოდ არის გამოკვეთილი თუ რის მიხედვით უნდა შეფასდეს მოსწავლე განმავითარებელი შეფასებით) შესაძლებელია დავასკვნათ, რომ მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად. სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში განსაზღვრულია სასკოლო კურიკულუმის განვითარების ციკლური განვითარება, მათ შორისაა დანერგვის მონიტორინგი და შეფასება. დანერგვის მონიტორინგი სასწავლო პროცესთანაა შერწყმული და ხორციელდება კათედრისა და დირექციის თანამშრომლობით, კვლევა და შეფასება მოიცავს სამ მიმართულებას: მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებას ესგ-სთან მიმართებით, მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას სკოლის ბაზაზე და სკოლის ინსტიტუციურ განვითარებას. ჩამოყალიბებულია მიზნები და ამოცანები, ინფორმაციის შეგროვების ფორმები და ვადები, ჩართული და პასუხისმგებელი მხარეები, კონცეპტუალური და ორგანიზაციული საკითხები, გაწერილია შესრულების მონიტორინგში მონაწილე მხარეები, მიმართულებები, ანგარიშგების პასუხისმგებლობა თითოეული მიმართულების მიხედვით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას.

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში და პედაგოგებთან ინტერვიუების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სკოლა მუშაობს კურიკულუმის განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების სისტემაზე, სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის ზოგადი ჩარჩო, სადაც გაწერილია კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასების ძირითადი პრინციპები. სკოლა გეგმავს მასწავლებელთა მხარდაჭერასა და დახმარებას, მათ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვასა და ხელშეწყობას. მტკიცებულებებზე დაყრდნობით მასწავლებლებს შეუძლიათ შეაფასონ მოსწავლის სწავლის პროცესი, დაადგინონ ის სფეროები და უნარები, სადაც მოსწავლეს დახმარება სჭირდება, მისცენ უკუკავშირი და მიგნებების გათვალისწინებით დაგეგმონ სწავლის პროცესი. ასევე, მასწავლებლებსა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებსაც, იქნება ეს ადმინისტრაციული რგოლი, თუ მშობელი, შეუძლიათ, შეფასონ საკუთარი მუშაობის პროცესი და მოძებნონ გამოსავალი გამოწვევებზე. მონიტორინგი და შეფასება ხელს შეუწყობს სკოლის მომავლის დაგეგმვას, ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებასა და ახალი შესაძლებლობების შეფასებას.

სკოლას გააზრებული აქვს, რომ მონიტორინგი და შეფასება მნიშვნელოვანია სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერისა და დახმარებისათვის. მათ აქვთ კათედრის წევრებს შორის ურთიერთდასწრების და თანამშრომლობის პრაქტიკა. არსებობს „კრიტიკული მეგობრის " ინსტიტუტი. მასწავლებლისა და დამკვირვებლის ზეპირი სიტყვიერი რეფლექსიის საფუძველზე, აანალიზებენ ძლიერ და სუსტ მხარეებს. პროცესი არის გამჭვირვალე და თანამშრომლობაზე დაფუძნებული. სკოლაში იფუნქციონირებს ხარისხის მართვის ჯგუფი, რომელიც მომავალში უფრო აქტიურად იმუშავებს და გაუწევს მონიტორინგს სასწავლო პროცესს. აღნიშნულ გამოცდილებაზე დაყრდნობით მომავალი 2023-2024 სასწ. წლისთვის გაითვალისწინებენ გამოცდილებას კიდევ უფრო ორგანიზებულად შეიმუშავებენ დასწრების განრიგსა და საჭიროების შემთხვევაში დავხვეწენ ურთიერთშეფასების ფორმას, რომელშიც გაწერენ გაკვეთილის დადებით და უარყოფით მხარეებს და დასახავენ გაუმჯობესების გზებს. სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში სკოლას გაწერილი აქვს კურიკულუმის შემუშავებაში მნიშვნელოვანი საკითხები: კონცეპტუალური ჩარჩო, დიზაინი (მოსწავლის განვითარების გზა, მასწავლებლების პრაქტიკული საქმიანობა, ინდივიდუალური თუ ალტერნატიული სასწავლო გეგმა), საგნები საფეხურების მიხედვით და მათი ორიენტირება გრძელვადიან მიზნებზე, სწავლების მეთოდები და სტრატეგიები, ინსტრუმენტები, რესურსები. დოკუმენტში ნათლად ჩანს ფუნქციების და პასუხისმგებლობების განაწილება სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. სასკოლო

საზოგადოების ჩართულობა მოიცავს მასწავლებლის, კათედრის, დირექციის დონეს. მაგალითად, მასწავლებელი მოსწავლეებს ეხმარება შუალედური სასწავლო მიზნების მიღწევაში, ინიშნავს იმ აქტივობებსა თუ რესურსებს, რომლებიც ეფექტური აღმოჩნდა სწავლებისას, აძლევს განმავითარებელ შეფასებას (ძირითადად სიტყვიერი კომენტარის სახით), ხელს უწყობს მოსწავლის თვითშეფასებას და მასწავლებლის თვითრეფლექსიას. ამ მონაცემების საფუძველზე ხდება თემატური მატრიცის შევსება და კოლეგებთან განხილვა. კურიკულუმის განვითარება გრძელდება კათედრაზე განხილვებით და აზრის შეჯერებით. სხდომის შინაარსი კათედრის ყველა წევრის და დირექციისათვის ხელმისაწვდომია და საფუძვლად ედება სასკოლო კურიკულუმის განვითარებას.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში და პედაგოგებთან ინტერვიუების, აგრეთვე წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სკოლას გაცნობიერებული აქვს ის ფაქტი, რომ დაწესებულების მიერ განხორციელებული მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ანალიზში ასახული უნდა იყოს კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეები, განსაზღვრული უნდა იყოს ხელისშემშლელი ფაქტორები და არსებული შესაძლებლობები კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისათვის. სკოლა ანალიზზე დაფუძნებით შეიმუშავებს პრიორიტეტულ და სტრატეგიულ ხედვას და ასახავს სამოქმედო გეგმასა და კურიკულუმში. სკოლას აქვს მზაობა მიმდინარე სასწავლო წელს სკოლაში მონიტორინგისა და შეფასების შედეგად მიღებული მასალა გამოიყენოს პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაჭრისთვის. ამ ეტაპზე პედაგოგებს აქვთ ურთიერთდასწრების და განმავითარებელი შეფასების გამოცდილება, დასტურდება თვითშეფასების ანგარიშით. ეს ფორმები ნაწილობრივ გასცემს პასუხს შეკითხვებზე - მიმდინარეობს თუ არა სასწავლო პროცესი დაგეგმილის შესაბამისად. სასკოლო კურიკულუმის მეთოდოლოგიით სკოლაში განსაზღვრულია პრობლემების იდენტიფიკაციის მექანიზმი, რომელიც ეყრდნობა ინფორმაციის შეგროვებას და ანალიზს, კვლევის მეთოდებად გამოყენებულია სასწავლო პროცესის მონაწილეთა გამოკითხვა, ინტერვიუ, კითხვარების გამოყენება თუ სხვა. სკოლაში შემუშავებულია ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელშიც განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნები, გაწერილია ამოცანები და დაგეგმილი ინტერვენციები. ინტერვიუთი დასტურდება, რომ მასწავლებლები გეგმავენ, სასწავლო პროცესის მანძილზე ურთიერთთანამშრომლობით გამოკვეთონ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას წარმოშობილი პრობლემები, იმსჯელონ გადაწყვეტის გზებზე, რათა შეფასება გახდეს რელევანტური, მოსწავლისთვის, მასწავლებლისთვის და სკოლისათვის ამ შეფასებამ მიიღოს უფრო ქმედითი ხასიათი, არსებული პრობლემა აღმოიფხვრას, სასწავლო შედეგები კი გახდეს მიღწევადი, ზრდადი და მდგრადი.

რჩევა: სპორტის პედაგოგებმა სამომავლოდ საბაზო საფეხურზე შეიმუშაონ სადიაგნოსტიკო კვლევის გეგმა და ანალიზი შეადგინონ საჭიროების მიხედვით მიზნის მისაღწევად. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- შეფასების რუბრიკები;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- კომპლექსური დავალების სრული(ინსტრუქციით) ნიმუშები.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს

სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში და პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას გაცნობიერებული აქვს, თუ რას ნიშნავს შეფასების ჰოლისტური ხასიათი, რომ ესაა ინტეგრირებული, ერთიანი და სისტემური მიდგომა და მოიცავს მონაცემების შეგროვებას მრავალფეროვანი მეთოდებით, მრავალი სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით. პედაგოგები საუბრისას აღნიშნავენ, რომ საუბარია მაგ. არა მხოლოდ მოსწავლის მიღწევების, მისი ცოდნისა და უნარების შეფასებაზე, არამედ მთლიანად სასწავლო პროცესის შეფასებაზე, რომელიც ემსახურება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების დიაგნოსტირებას, პრობლემების ანალიზსა და მათი მოგვარების გზების ძიებას, რაც საბოლოოდ აისახება მოსწავლის პიროვნულ და აკადემიურ განვითარებაზე. სკოლის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მაგ. მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება განმავითარებელი კომენტარების საშუალებით. სწავლის შედეგების ანალიზი ხდება კათედრებზე, სამუშაო შეხვედრებზე. 2023 – 2024 სასწავლო წლისთვის მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში პედაგოგების მიერ მოხდება გამოკვეთილი პრობლემის შეფასებისა და მოგვარების მიზნით ინფორმაციის შეგროვება რაც შეიძლება მრვალფეროვანი წყაროებიდან: ეს შეიძლება იყოს მოსწავლე, თანატოლი, მშობელი, მასწავლებელი, დამრიგებელი, სკოლის სხვა პერსონალი და სხვა. სკოლა მუშაობს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის სასწავლო პროცესზე მორგებაზე, სადაც ასახული იქნება ისიც, თუ როგორ (რა საშუალებებით) განხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება.

სასწავლო პროცესის მონიტორინგს და შეფასებას კურიკულუმის განვითარებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება. მოიტორინგი და შეფასება მიმდინარეობს სამი მიმართულებით - მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირება, სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარება და სკოლის ინსტიტუციური განვითარება. განსაზღვრულია საკითხები, რომელთა შესახებაც მიმდინარეობს მონიტორინგი. კურიკულუმის მეთოდოლოგიაში აღწერილია ციკლი, რომელიც ეტაპობრივად მოიცავს ინფორმაციის შეგროვებასა და ანალიზს, წინა წლების კურიკულუმების გადახედვას, მიზნებისა და ამოცანების ფორმირებას, კურიკულუმის შემუშავებას და დანერგვას. ყველა ეტაპზე ჩართულია სასკოლო საზოგადოება და ინფორმაციის მოპოვება ხდება მათგან მოწოდებული მასალებისა და უკუკავშირის საფუძველზე. სკოლაში მოქმედებს შეფასების ჰოლისტური სისტემა, რომელიც გულისხმობს საგნის პედაგოგების მიერ მოსწავლეთა შეფასება მოხდეს სხვადასხვა კომპონენტების გათვალისწინებით. საბაზო საფეხურის პედაგოგები, გამომდინარე იქედან, რომ მოსწავლეები ფასდებიან განმავითარებელთან ერთად განმსაზღვრელი შეფასებით, ცდილობენ შეფასება მოიცავდეს მრავალ კომპონენტს. ინტერვიუს დროს მასწავლებლები აცნობიერებენ მოსწავლეთა თვითშეფასებას და გაკვეთილის შეფასებას, აპირებენ განმავითარებელი შეფასებისას გამოიყენონ ინფორმაციის მოკრების სხვადასხვა წყარო და ფორმა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით.

სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის ჩანაწერებში, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში და პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას აქვს მზაობა, რომ მოსწავლეთა შეფასებას განახორციელებს

მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, მაგალითად, მოსწავლის სწავლის პროგრესის, მისი საჭიროებების შეფასებისას მნიშვნელოვან ინფორმაციას მოიპოვებენ ყველა იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რაც მოსწავლის პროდუქტიულობაზე ახდენს გავლენას. ეს შეიძლება იყოს სახლი, სკოლა, კლასი, ეზო, სათამაშო სივრცე, კონკეტული გაკვეთილი და ა.შ. სრულყოფილი ინფორმაციისთვის აუცილებელია მოსწავლის სხვადასხვა კონტექსტში შესწავლა. სწორედ შეფასების მიზნიდან გამომდინარე განისაზღვრება კონტექსტებიც და ფოკუსიც, რაც მოცემულ კონტექსტში გვჭირდება. სკოლა გეგმავს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში აღწეროს და გაითვალისწინოს ყველა ეს ნიუანსი. საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სრული სურათის მისაღებად მოსწავლეებზე დაკვირვება მიმდინარეობს როგორც სასკოლო ისე არასასკოლო გარემოში (ექსკურსიები, შემეცნებითი ღონისძიებები), სწავლობენ მათ გარემოს ოჯახში თემში, რათა გაირკვეს, თუ რა ახდენს გავლენას მოსწავლის პროდუქტიულობაზე, რომ შესაბამისად მოხდეს მოსწავლის პროგრესის, მისი საჭიროებების შეფასება. სასწავლო პროცესის შეფასება საბუნებისმეტყველო საგნებში ასევე ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით: რამდენად პოზიტიური გარემოა კლასში, დინამიურია თუ არა სასწავლო პროცესი, რამდენად ითვალისწინებს მოსწავლეთა ჩართულობას, შესაძლებლობებს. თუმცა ერთ-ერთი მთავარი კონტექსტი საბუნებისმეტყველო დისციპლინების სწავლებისას მოსწავლის დაინტერესებაა. კურიკულუმი და შერჩეული აქტივობები უნდა იწვევდეს მოსწავლის დაინტერესებას და შინაგანი მოტივაციის ამაღლებას; საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდგენილია კონტექსტ-მაგალითები და მაგალითები შედარებისათვის, რომელიც მასწავლებლის ერთ-ერთი ეფექტური იარაღია, ასევე მნიშვნელოვანია რესურსების სათანადოდ შერჩევა და ზრუნვა განახლებისათვის. ინტერვიუზე დაყრდნობით იკვეთება, რომ მასწავლებლები საბაზო საფეხურზე გეგმავენ და ახორციელებენ მოსწავლეზე ორიენტირებულ სწავლებას, ეხმარებიან სასწავლო მიზნების მიღწევაში, ურთერთთანამშრომლობით აგროვებენ ინფორმაციას ეფექტიანი სასწავლო სტრატეგიების შესახებ. მასწავლებლებისთვის საინტერესოა კლასის პროფილის, საკლასო კლიმატის დადგენა და მათ ზეგავლენის შეფასება სწავლებისას. მასწავლებლები ცდილობენ, დაგეგმონ და წარმართონ სასწავლო პროცესი მოსწავლეებისათვის ნაცნობი კონტექსტებით, რეალური ცხოვრებისეული მაგალითების მოშველიებით, დაუკავშირონ გრძელვადიან მიზნებს, ხელი შეუწყონ მოსწავლის კრიტიკულ და შემოქმედებით აზროვნებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები.

სკოლის მიერ წარმოდგენილ ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში და პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა იყენებს მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა მეთოდს - კითხვარის შევსება, ინტერვიუ მცირე ჯგუფებთან, შეხვედრები, SWOT ანალიზი და სხვ. სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია და ადასტურებს მზაობას, მასში ასახოს მონიტორინგისა და შეფასების ასპექტები, მათ შორის - რა მეთოდებს, როდის, როგორ გამოიყენებს დანერგვის პროცესის შესახებ მონაცემების შესაგროვებლად. ყველაზე ტიპური და გავრცელებული მეთოდები საგანმანათლებლო სფეროში სკოლის ბაზაზე არის ანკეტირება, გამოკითხვა, ინტერვიუ, ფოკუს-ჯგუფი, მეორად მონაცემთა ანალიზი, თვისებრივი და რაოდენობრივი დაკვირვება, ტესტირება, სამოქმედო კვლევა, ექსპერიმენტი და სხვა. სკოლაში შეფასება ხორციელდება კომპლექსური და შემაჯამებელი დავალებების, სადიაგნოსტიკო წერების, საკლასო/საშინაო დავალებების, პროექტების შედეგების მიხედვით. მასწავლებლები ინტერვიუში აღნიშნავენ, რომ შეფასებისას ითვალისწინებენ კათედრაზე კოლეგა მასწავლებლის ურთიერთდასწრების ან ხარისხის და პროფესიული განვითარების მხარდამჭერი ჯგუფის დასწრების შემთხვევაში მიღებულ უკუკავშირს შეფასებების დროს. შედეგების დამუშავება თვისობრივ ხასიათს ატარებს და აისახება განმავითარებელ შეფასებებში, სიტყვიერ კომენტარებში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით, პედაგოგებთან გასაუბრებით, აგრეთვე, წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში ასახული ინფორმაციით გამოიკვეთა, რომ მოსწავლის შეფასება ხდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. პედაგოგები მოსწავლის თვითშეფასების ასამაღლებლად იყენებენ უმეტესად ზეპირსიტყვიერ განმავითარებელ უკუკავშირს, მშობლებთან წერილობით და ზეპირ უკუკავშირს მოსწავლის წარმატებასთან დაკავშირებით და სხვ. 2023 – 2024 სასწავლო წელს კათედრები გეგმავენ სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული შეფასების სისტემა იყოს უფრო მეტად კომპლექსური, მულტიფაქტორული, რომლის დროსაც მოხდება მოსწავლის აკადემიური და ფუნქციური უნარების ანალიზი. მულტიფაქტორული მიდგომა კი გულისხმობს, მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას, ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირებას და ა.შ. იგივე შეიძლება ითქვას, სკოლაში მიმდინარე ნებისმიერი პროცესისა თუ მოვლენის შეფასებისას. პედაგოგებს კარგად ესმით, რომ მნიშვნელოვანია, გათვალისწინებულ იქნას დრო და სივრცე, მოქმედი ფაქტორები, ყველაფერი, რასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს შედეგზე.

მასწავლებლებთან გასაუბრებებისას მკაფიოდ გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს გამოცდილება შეფასება მოახდინოს სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, კერძოდ, მასწავლებელები და დამრიგებელი აანალიზებენ მოსწავლის აკადემიურ და ფუნქციურ უნარებს და აკვირდებიან რა გარემო ფაქტორები (ოჯახი, ტრადიცია, თემი, ფასეულობები და სხვა) ახდენს გავლენას შედეგზე.

კათედრებზე ჩატარებული ინტერვიუდან დგინდება, რომ მასწავლებლები მოსწავლის შეფასებისას ითვალისწინებენ მოსწავლეზე მოქმედ სხვადასხვა ფაქტორს, მაგ: მის შესაძლებლობებს, უნარებს, ჯანმრთელობის ან ემოციურ მდგომარეობას, ინტერესთა სფეროს, გამოცდილებას, ინტელექტს, არსებულ სიტუაციას და სხვა. მასწავლებლები აღიშნავენ, რომ შეფასებისას ცდილობენ, გაითვალისწინონ სხვადასხვა კონტექსტებიც, მაგ: მოსწავლის საუბრის ტემპს, მისთვის დათმობილ დროს, მხარდაჭერას, წახალისებას, ეფექტურ და მიზნობრივ უკუკავშირს, ასევე სხვა მრავალ ფაქტორს, რასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს მოსწავლის სწავლების შედეგზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- შეფასების რუბრიკები;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- კომპლექსური დავალების სრული(ინსტრუქციით) ნიმუშები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი

სკოლის პედაგოგებთან გასაუბრებისას და წარმოდგენილი კურირულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის ჩანაწერებით დადგინდა, რომ კურიკულუმის განვითარების ძირითადი პრინციპები დაკავშირებულია სასკოლო და საგნობრივი კურიკულუმების გადასინჯვისა და რევიზიის პროცესთან. მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით კურიკულუმის განახლება მოხდება ყოველწლიურად მთელი წლის განმავლობაში შეგროვებული მონაცემების საფუძველზე. სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწვეტილებები მიღებულ იქნება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე. კათედრების წევრებთან ინტერვიუს დროს აღნიშნული იყო, რომ კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია განხორციელდება კათედრის სხდომებზე, სადაც წევრები გაცვლიან კურიკულუმის დანერგვისა და განხორციელების შესახებ მონაცემსა და გამოცდილებას. მონაცემების შეჯერების საფუძველზე შეიქმნება რეკომენდაციების პაკეტი მომდევნო წლისთვის წარმოდგენილი სასკოლო კურიკულუმის განვითარებისთვის და დაგეგმვის პროცესში მიღებული მიგნებები და რეფლექსიის შედეგები გააზრებული და გაზიარებული იქნება სასკოლო საზოგადოების მიერ.

რჩევა: საბუნებისმეტყველო მცნიერებები - სასურველი იქნებოდა მასწავლებლის, დამრიგებლის, კათედრის ხელმძღვანელის, ხარისხის ჯგუფის წევრის ანგარიშებში კონკრეტული კითხვების შეტანა (მაგ: ·რა გამოცდილება დამიგროვდა სასწავლო წლის მანძილზე? როგორ გამოვიყენო ეს გამოცდილება სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისათვის? კურიკულუმის გასავითარებლად? საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის გასაუმჯობესებლად? რა უნდა გავითვალისწინო ახალი წლის დაგეგმვისას: ადმინისტრაციის,კათედრის, კოლეგის, მოსწავლის, მშობლის დონეზე? როგორ გავაზიარო პასუხისმგებლობა ამ გამოცდილების გათვალისწინებაზე სასკოლო საზოგადოებაში? რამდენად დამეხმარა/დავეხმარე კოლეგის უკუკავშირი? და სხვა). აღნიშნულ კითხვებზე პასუხი შექმნიდა კურიკულუმის მხარდამჭერ საჭიროებათა პაკეტს, რომელიც გაზიარდებოდა სასკოლო საზოგადოებაში, შექმნიდა ერთგვარ გზამკვლევს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. სკოლის თვითშეფასების ანგარიშიდან ჩანს, რომ სკოლაში მოქმედ კურიკულუმებში ასახული იყო სკოლის პრიორიტეტები, მოქმედ კურიკულუმებს საფუძვლად ედო ინტერაქცია, დაგეგმილ პროცესებსა და რეალიზებულ პროცესებს შორის. რაც გადამუშავებული სახით აისახა ახალი სასწავლო წლის კურიკულუმებში. აგრეთვე, დოკუმენტში ჩანს, რომ სკოლას აქვს ხედვა, როგორ უნდა იყოს ჩართული კურიკულუმის რევიზიის პროცესში სასკოლო საზოგადოება და რა მიმართულებით გაანალიზდება რევიზიის შედეგები. კათედრის

წევრებმა ინტერვიუს დროს დაადასტურეს ზემოთ აღნიშნული მიდგომების მიმართ მზაობა და აღნიშნეს, რომ გააგრძელებენ მუშაობას ამ კუთხით. მიღებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით კურიკულუმის გადამუშავებული ვერსიის მონიტორინგის აქტივობებს დააკვირდება და მონიტორინგს გაუწევს ხარისხის განვითარების ჯგუფი.

2.4.1.2 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას.

სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტი ''სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია'', რომელიც სტანდარტულად აღწერს სასკოლო კურიკულუმის განვითარების ეტაპებს სწავლების თითოეული საფეხურისათვის, კურიკულუმის განვითარების პროცესის პრინციპებს, განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების მონაწილე მხარეების ფუნქციებს. დოკუმენტი კურიკულუმის რევიზიის ნაწილში ასახავს სასკოლო საზოგადოების - მოსწავლის, მშობლის, კათედრის და დირექციის აქტიურ თანამშრომლობას სასწავლო პროცესის განმავლობაში, კურიკულუმის კვლევა და შეფასება მიმდინარეობს შეთანხმების საფუძველზე როგორც სწავლების შედეგების დიაგნოსტირების, ასევე მასწავლებლების პედაგოგიური პრაქტიკის გაუმჯობესებისა და სკოლის ინსტიტუციური განვითარების მიმართულებით. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობით წინა სასწავლო წლის გამოცდილების გაანალიზებას და გათვალისწინებას, ინფორმაციის მოკრებას კვლევებისა და გამოკითხვების საფუძველზე. მასწავლებლები კათედრის სხდომებსა და სამუშაო შეხვედრებზე ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ გამოცდილებას, მსჯელობენ, აანალიზებენ პრობლემებს, აღნიშნავენ წარმატებულ პრაქტიკას და გეგმავენ ცვლილებებს მომავალი წლისთვის, ეს ცვლილებები აისახება კურიკულუმებში. წარმოდგენილ საგნობრივი კურიკულუმები აგებულია კურიკულუმის მეთოდოლოგიით განსაზღვრული ინსტრუმენტით - კურიკულუმის ჩარჩოს საფუძველზე, რომლებშიც განსაზღვრულია გრძელვადიანი სასწავლო მიზნები, ასახულია განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები. კათედრების შემაჯამებელი ოქმების მიხედვით, კათედრები გეგმავენ შეფასების რუბრიკებზე მუშაობას, სადიაგნოსტიკო შეფასებისათვის შერჩეული აქვთ მესამე ინსტრუმენტი. კათედრის ხელმძღვანელებმა წარმოადგინა სამუშაო გეგმებ, რომელიც ასახავს კათედრაზე დაგეგმილ ღონისძიებებს, შემაჯამებელი დავალებების ჩატარებისა და ურთიერთდასწრების განრიგს. ინტერვიუს დროს მასწალებლებმა აღნიშნეს, რომ კათედრაზე ურთიერთთანამშრომლობით მსჯელობენ და იღებენ გადაწყვეტილებებს. სკოლის ბაზაზე ვიზიტის პერიოდში ფუნქციონირებდა კლუბი ''მზესუმზირები'', ასევე წარმოდგენილი იქნა კლუბ ''ნებულას'' და ''ეკომცველების'' წესდებები და ინიციატივები. რჩევა:**საბუნებისმეტყველო - სასურველია, კურატორმა/კლუბის ხელმძღვანელმა მასწავლებელმა კლუბების ფუნქციონირებისათვის და მოსწავლეთა დაინტერესების მიზნით შეთავაზებული ინიციატივებიდან რომელიმე აქტივობა პრაქტიკულად შესთავაზოს. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები.

სასკოლო კურიკულუმი ასახავს სკოლის მისიას, რომლის მთავარ ფოკუსში ექცევა მოსწავლეებში კულტურული მრავალფეროვნების მიმართ ემპათიის უნარის ჩამოყალიბება, სკოლის ხედვა უკავშირდება კონკრეტულ აქტივობას, შექმნას საინფორმაციო - საგანმანათლებლო სივრცეები, სადაც წარმოდგენილი იქნება სასკოლო საზოგადოების ამსახველი კულტურული მრავალფეროვნება. სკოლის ღირებულებები აგრძელებს კულტურული მრავალფეროვნების თემას და წარმოადგენს ურთიერთპატივისცემის, ტოლერანტობის, კულტურული მრავალფეროვნების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას. ღირებულებები ასევე აღიარებს სასკოლო საზოგადოების თანასწორობას, დაცულობას და ბედნიერებას. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით სტრატეგიული მიზნების ფორმირებას, რომელთა შორისაა ადამიანური რესურსის განვითარება, სასკოლო საზოგადოების ჩართულობის ამაღლება, მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება. სასკოლო კურიკულუმი ითვალისწინებს მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომებს, სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლის თანაბარუფლებიანობის დაცვას, მოტივაციას, ჩართულობას და დისციპლინას. საგნობრივი კურიკულუმები ისეა შემუშავებული, რომ წლის განმავლობაში მოსწავლეებმა სხვადასხვა ტიპის დავალებებზე შეძლონ მუშაობა. (მაგ.ბიოლოგია მე-10 კლასი ვიდეოკოლაჟი საქართველოს მინერალური წყლების შესახებ, ფიზიკა მე-11 კლასი სტატია ოპტიკური ლინზების თავსებურების შესახებ) კურიკულუმებში წარმოდგენილია ძირითადი და დამატებითი რესურსები, მათ შორის ელექტრონული რესურსები, რომელიც მორგებულია მოსწავლის ინტერესებს. სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინება დასტურდება კათედრის მუშაობის დროსაც, როცა მასწავლებლები ირჩევენ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების მოდელებს, ირჩევენ დიაგოსტიკური შეფასების ფორმებს. მაგ. საბუნებისმეტყველო კათედრაზე იყენებენ შეფასების პირველ სამკომპონენტიან მოდელს და თანხმდებიან, რომ მომავალშიც კათედრა იხელმძღვანელებს ამ მოდელით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი სრულად ეფუძნება სასკოლო საზოგადოების მონაწილეობას კურიკულუმის შემუშავების პროცესში. ამ დოკუმენტის მიხედვით, კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს. ყოველი სასწავლო წლის დასასრულს, ხდება სასწავლო წლის მანძილზე მიღებული გამოცდილების კრიტიკულად გააზრება და კურიკულუმებში ცვლილებების შეტანა. ცვლილებები აისახება სასკოლო სასწავლო გეგმასა და საგნობრივ კურიკულუმებში. სამუშაო ვერსიის შემუშავების შემდეგ საგნობრივ კათედრებზე და სამეურვეო საბჭოზე მიმდინარეობს განხილვა და უკუკავშირის შეგროვება. უკუკავშირის საფუძველზე ყალიბდება სასკოლო კურიკულუმის საბოლოო ვერსია. სკოლამ ამ ეტაპზე წარმოადგინა საგნობრივი კურიკულუმები, რომელთა სტრუქტურა და შინაარსობრივი ნაწილი შექმნილია ქოუჩინგზე დაყრდნობით, წლის განავლობაში მასწავლებლები გეგმავენ კურიკულუმების განვითარებას. კათედრების ოქმები ასახავს მასწავლებელთა მონაწილეობას კურიკულუმის შემუშავებაში, კათედრის სამოქმედო გეგმა შედგენილია კათედრის მასწავლებლების გადაწყვეტილებების საფუძველზე, რა საკითხებზე შეთახმდნენ და მოუწევთ მუშაობა სასწავლო წლის განმავლობაში. **ინდიკატორი დამაყოფილებულია**

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

სასკოლო საზოგადოების ინფორმირების და მათი მხრიდან უკუკავშირის მიღების მიზნით გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხები: სკოლის ვებ-გვერდი, სკოლის ოფიციალური გვერდი სოციალურ ქსელში Meta Facebook (ორი გვერდი), სკოლის თანამშრომლების დახურული ჯგუფი და სასაუბრო ‘‘ჩათი’’ ამავე სოციალურ ქსელში, საზიარო სივრცე ელექტრონულ პლატფორმაზე

Teams, ელექტრონული ჟურნალი. შენობის ღია სივრცეს სკოლა იყენებს კომუნიკაციისთვის, განათავსებს შესაბამისი ინფორმაციას, ასევე იყენებს სატელეფონო კავშირს. ინფორმაციის მიწოდება ხდება პირდაპირი კომუნიკაციის გზითაც: ბიბლიოთეკაში, კომპიუტერულ ლაბორატორიაში, საკლასო ოთახებში. სკოლის ციფრული ტრანსფორმაციის დოკუმენტის მიხედვით, სკოლაში იგეგმება კათედრების მიერ საგანმანათლებლო პროცესში ელექტრონული რესურსების გამოყენება, დისტანციური თანამშრომლობა და ინფორმაციის გაცვლა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- კათედრის შემაჯამებელი ოქმი;
- სსგ მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- ინტეგრირებული გაკვეთილის გეგმა;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- ციფრული ტრანსფორმაციის გეგმა;
- სკოლის ფბ გვერდი;
- კათედრის სამოქმედო გეგმა;
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი;
- სამურვეო საბჭოს სხდომის ოქმი
- კლუბების წესდებები და ინიციატივები.

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.**

სკოლის კურიკულუმი მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებს, კურიკულუმის ჩარჩო წარმოდგენილია საშუალო საფეხურის ყველა კლასში. თემის ფარგლებში გამოკვეთილია ძირითადი საკითხები, მითითებულია ისეთი კონტექსტ-მაგალითები,

რომლებიც მოსწავლის ტრანსფერს უწყობს ხელს. კურიკულუმს თან ახლავს კომპლექსური დავალების ბარათი და შეფასების განმავითარებელი რუბრიკა. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ უმთავრესი მიზანი მოსწავლის პიროვნულ ძალთა განვითარების ხელშეწყობაა. საშუალო საფეხურზე მოსწავლეთა საჭიროებებისა და ინტერესების დადგენის მიზნით შემუშავებულია სადამრიგებლო პროგრამა, ხორციელდება პროექტი - დემოკრატია მულტიკულტურულ საზოგადოებაში. წარმოდგენილი კურიკულუმი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისადაა შექმნილი და მოსწავლეს საკუთარი შესაძლებლობის გამოვლენისა და თვითრეალიზების საშუალებას აძლევს. წარმოდგენილია სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც გულისხმობს სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებას, ისეთი საგანმანათლებლო სერვისების მიწოდებასა და ისეთ რეგულაციებს, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეთა უნარებს, შესაძლებლობებს, ცოდნის დონეს.

მათემატიკაში საშუალო საფეხურის წარმოდგენილი ყველა კლასის კურიკულუმის დიზაინი აგებულია იმგვარად, რომ ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე: მათემატიკური მოდელი, კანონზომიერება და ლოგიკა. კურიკულუმებსი გრძელვადიან მიზნების დასახელება რომ არ ხდება ფორმალურად, ეს მასწავლებლებთან გასაუბრების დროსაც დაზუსტდა. სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოებით საბუნებისმეტყველო საგნებში - ფიზიკა, ქიმია და ბიოლოგია, ჩანს, რომ მასწავლებლები გეგმავენ მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს, განსაზღვრავენ სწავლების გრძელვადიან და შუალედურ მიზნებს, სავალდებულო თემების მიხედვით განსაზღვრავენ საკითხთა კლასტერებს, აორგანიზებენ რესურსებს. კურიკულუმებში მოცემულია კომპლექსური დავალებები, მათი შესაბამისი კონტექსტ - მაგალითები, მაგალითები შედარებისთვის, რომლებიც იწვევს მოსწავლის დაინტერესებას. ახალი ცოდნის კონსტრუირებისთვის შეთავაზებულია კონტექსტ-მაგალითები, რომელთა გაანალიზება მოსწავლეებს მიიყვანს სამიზნე ცოდნის დაუფლებისკენ, ხელს შეუწყობს მოცემული საკითხის ღრმად გააზრებას. მაგ.მე-10 კლასის ფიზიკის კურიკულუმში თემა ''მუდმივი დენის კანონები'' დამუშავების დროს შეთავაზებულია კონტექსტ-მაგალითი, ქეისი ნათურების სიმძლავრის შესახებ, მაგალითები შედარებისათვის მოიცავს რეალური, ყოფა ცხოვრებაში გამოყენებული ჩვეულბრივი და ე.წ. ლედნათურების დანახარჯების შედარებას. ძირითადი რესურსის გარდა, თავმოყრილია მრავალფეროვანი ელექტრონული რესურსები.

საშუალო საფეხურზე ესთეტიკური აღზრდა (მუსიკა, ხელოვნება) ისწავლება მხოლოდ პროექტული სწავლებით და პროექტურლი სწავლებისთვის კურიკულუმი არ არის გათვალისწინებული, თუმცა სკოლის გადაწყვეტილებით პროექტული სწავლების მომავალი წლის კურიკულუმი სახვით ხელოვნებასა და მუსიკაში გაიწერა, კურიკულუმებში გაწერილი შუალედური (თემები, საკითხები) და გრძელვადიანი(სამიზნე ცნებები, შედეგები) მიზნებიდან და სკოლის მიერ მოწოდებული განსახორციელებელი პროექტების საეტაპო აქტივობებიდან გამომდინარე, კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს

რჩევა: საბუნებისმეტყველო - მე-10 და მე-11 კლასების ქიმიისა და ბიოლოგიის კურიკულუმის ჩარჩოებში გამოიკვეთოს შერჩეული კომპლექსური დავალების სრული პირობა. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია .

2.კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები).

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოში ძირითადად გაწერილია სამიზნე ცნებები-გრძელვადიანი მიზნები. თემის ფარგლებში გამოკვეთილია ძირითადი საკითხები, მითითებულია ისეთი კონტექსტ-მაგალითები, რომლებიც მოსწავლის ტრანსფერს უწყობს ხელს. მე-10 კლასში სამიზნე ცნებაზე- ჟანრი, კომპოზიცია, კონტექსტი, ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები- გასასვლელად მასწავლებელს ძირითად ტექსტად შერჩეული აქვს: იაკობ ხუცესის ,,წამებაი წმიდისა შუშანიკისი, დედოფლისაი", ხოლო კონტექსტ მაგალითებად: საუბრები ძველ ქართულ ლიტერატურაზე, შუასაუკუნეობრივი მოძღვრება ადამიანზე, ტექსტი, ისტორიული კონტექსტი

და ავტორი; ტელესკოლა, ქართული ჰაგიოგრაფია, რომლის საშუალებითაც მოსწავლეები მუშაობენ კომპლექსურ დავალებაზე- პირადი მოსაზრების გამომხატველი ესეს შედგენა. მთავარი ფოკუსი სამიზნე ცნებებია. სასწავლო პროცესში მუშაობა სწორედ მათ მიემართება და კურიკულმშიც მკაფიოდ იკვეთება ეს ორიენტირებულობა. საშუალო საფეხურის კლასებში გაწერილია თემები ყველა თავისი სამიზნე ცნებებითა და საჭირო რესურსებით. კურიკულუმის ჩარჩოში გაწერილია კომპლექსური დავალებები თავისი ბარათებითა და შეფასების რუბრიკებით. საშუალო საფეხურზე მოსწავლეები ქმნიან შემოქმედებით პროდუქტებს: საინფორმაციო-სარეკლამო ბროშურა, ანალიტიკური ესე, არგუმენტირებული ესე, რომელთა საშუალებითაც ისინი ეუფლებიან გლობალურ ფუნქციურ უნარებს (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია და სხვ.). გასაუბრებისას პედაგოგები ადასტურებენ ცოდნას საგნობრივ საკითხზე და ექმნებათ მკვიდრი წარმოდგენები. საშუალო საფეხურის საგნობრივი (ბიოლოგია, ქიმია და ფიზიკა) კურიკულუმების ჩარჩოებში ჩანს, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ორიენტირება მიმართულია გრძელვადიან მიზნებზე, შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე. კურიკულუმები აგებულია ეროვნულ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სავალდებულო თემების მიხედვით, რაც იძლევა საფუძველს მოსწავლემ გაიაზროს სამიზნე ცნებების/ სწავლის შედეგების კონტექსტი, გამოიწვიოს მოსწავლის ინტერესი, გამოცდილება და გაითვალისწინოს წინარე ცოდნა. სავალდებულო თემების ფარგლებში კურიულუმებში წარმოდგენილია ძირითადი საკითხები/საკითხთა კლასტერები . ქიმიის, ფიზიკის ბიოლოგიის სავალდებულო თემის ფარგლებში მუშავდება სამიზნე ცნებები. მაგ: ბიოლოგიის მე- 10 კლასის კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილია სავალდებულო თემები, მათ შორისაა ''უჯრედის ბიოლოგია'' და ''უჯრედის გამრავლება'', ჩანს, რომ მოცემულ თემებში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება, განსაზღვრულია საკითხები, რესურსები, კომპლექსური დავალების იდეა, რაც იწვევს მოსწავლის დაინტერესებას, ჩართულობას, კომპეტენციების ზრდას, ცხოვრებისეული პრობლემების გადაწყვეტას. მაგ კომპლექსური დავალების იდეაა საქართველოს მინერალური წყლების მრავალფეროვნებისა და სამკურნალო თისებების წარმოჩენა ვიდეოკოლაჟის საშუალებით, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას, ფუნქციურ - კოგნიტური უნარების განვითარებას. რესურსები და შეთავაზებული მასალა სრულად შეესაბამება მოსწავლეთა წინარე ცოდნას, სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს, იძლევა საშუალებას, დააინტერესოს მოსწავლე, აღძრას მასში შემოქმედებითი პროცესები განუვითაროს ავტონომიურობის განცდა და მიაღწევინოს ემოციური კმაყოფილება. სკოლის ფბ გვერდზე ასხავს მეათე კლასის მოსწავლეების მიერ განხორციელებულ საპროექტო დავალების დაცვას მემკვიდრული დაავადებების შესახებ. უცხოური ენების მასწავლებლებმა ინტერვიუში გააჟღერეს, რომ სკოლაში ხორციელდება ინტეგრირებული პროექტი „ დემოკრატია მულტიკულტურულ საზოგადოებაში“ სადაც ხდება საგანთა ინტეგრირება არაფორმალური განათლების მეშვეობით. ასევე აღსანიშნავია პროექტი „მეინსტრიმინგი“. სპორტის კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნებისკენ (ფიზიკური თვისებები, ორგანიზებულობა და თვითკონტროლი, ცხოვრების ჯანსაღი წესი) , სტანდარტის შედეგებსა და გლობალური ფუნქციური უნარების განვითარებაზე.

რჩევა: საბუნებისმეტყველო - სასურველია, ბიოლოგიის და ქიმიის საშუალო საფეხურის კურიკულუმებში ნათლად აისახოს კვლევითი კომპონენტი, რაც უკავშირდება შერჩეულ შუალედურ მიზნებს. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, სასწავლო პროცესში სკოლა ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს, ზოგადად, სასწავლო პროცესის ინკლუზიურ ხედვას, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, განათლების თანამედროვე პარადიგმების რეალიზებას სასკოლო სივრცეში, როგორიცაა სწავლის კონსტრუქტივისტული ფილოსოფია, მოსწავლისადმი ჰოლისტური მიდგომა, მოსწავლეზე ორიენტირებული სიღრმისეული სწავლა და ა.შ. და, მეორე მხრივ, პოზიტიური სასკოლო კულტურის ჩამოყალიბებას. სკოლამ წარმოადგინა ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა, საშუალო საფეხურზე სკოლას არ ჰყავს სსსმ მოსწავლე,

თუმცა ამ მიმართულებით პედაგოგებს აქვთ დიდი გამოცდილება. საშუალო საფეხურის მასწავლებლები სასწავლო პროცესში, ასევე, აქტიურად იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს. სკოლის სასწავლო გეგმა მოიცავს სასწავლო პროცესში მასწავლებელთა და მოსწავლეთა შეფასებასა და თვითშეფასებას. სასკოლო საზოგადოებას გაცნობიერებული აქვს, რომ საჭიროა ყოველთვის იმის გაანალიზება, თუ რამდენადაა მორგებული საგნობრივი კურიკულუმები, მოსწავლეთა შეფასებისა და მასწავლებლების თვითრეფლექსიის ამსახველი დოკუმენტები კონკრეტული მოსწავლეების ინტერესებს, შესაძლებლობებსა და საჭიროებებს; რამდენად მოქნილია სასწავლო გარემო (პროცესი, შინაარსი) მოსწავლეთა საჭიროებებზე ორიენტირებისთვის.

სკოლა დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომებისათვის იყენებს სხვადასხვა საშუალებებს: შექმნილია მოქნილი სასწავლო სივრცე, რაც ხელს უწყობს მოსწავლეს გამოხატოს თავისი ინტერესები, საჭიროებები და შესაძლებლობები, ლაბორატორიისთვის გამოყოფილია შენობის მესამე სართულზე საკლასო ოთახი მიმდებარე საცავით, რომელიც იკეტება. ლაბორატორია კომპლექსურია და აერთიანებს ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის დისციპლინებს. ლაბორატორიაში არის სადემონსტრაციო მაგიდა, რომელიც დაფარულია მინის ნაჭრით, ოთახი აღჭურვილია პროექტორით, პერსონალური კომპიუტერით და პრინტერით. ლაბორატორიის ღია კარადებში განლაგებულია სადემონსტრაციო მასალა ფიზიკის და ბიოლოგიის მასალებით. კედლებზე განთავსებულია პოსტერები მენდელეევის პერიოდულობის ცხრილით, მეტალთა ელექტროქიმიური ძაბვის მწკრივით, მოსწავლეთა ნამუშევრებით. ელექტრული დენის წყაროები დაცულია. საცავში კარადებში განთავსებულია ქიმიური ჭურჭელი და რეაგენტები, შტატივები და სხვა ხელსაწყოები. ქიმიური ნივთიერებები დაჯგუფებულია ნაერთთა კლასებად, აქვს შესაბამისი ეტიკეტები და დაშორება. საცავი აღჭურვილია სველი წერტილით. სკოლის მიერ წარმოდგენილია 2023-24 წლისთვის შეძენილი ქიმიური რეაგენტების ნუსხა და ღირებულება.

სასწავლო კურიკულუმები საშუალო საფეხურზე ფიზიკაში, ქიმიასა და ბიოლოგიაში აგებულია კონსტრუქტივისტული პრინციპით, ითვალისწინებს მოსწავლის წინარე ცოდნას, ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე, შეთავაზებული რესურსები მრავალფეროვანია და შეესაბამება მოსწავლეთა ინტერესებს, ხელს უწყობს მათ ჩართულობას სასწავლო პროცესში. კურიკულუმები სთავაზობს მოსწავლეებს კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომელიც მოსწავლეს აძლევს შესაძლებლობას გამოხატოს საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება. მაგ .ფიზიკის მე-11 კლასის კომპლექსური დავალება ითვალისწინებს მარტივი ძრავის შექმნას, მასწავლებლის განცხადებით, მოდელის გარდა, მოსწავლეს შეუძლია, წარადგინოს პროდუქტი განსხვავებული ფორმითაც, მაგ ნახაზის ან ელექტრონული პრეზენტაციის საშუალებით, თუმცა, აუცილებელია, ასახოს მუშაობის პრინციპები, დანიშნულება. კათედრის მიერ წარმოდგენილია პროექტი ფიზიკაში მე-10 მე-11 კლასების მოსწავლეების მიერ „როგორ გავაკეთოთ ენერგიის დანაზოგი", სადაც მოსწავლეებმა გაანალიზეს სხვადასხვა ელექტრომოწყობილობების დანახარჯები და იმსჯელეს ენერგიის დაზოგვის მეთოდებზე. სასწავლო შინაარსის მიხედვით დიფერენცირებული მიდგომა ჩანს ქიმიის სხვადასხვა სირთულის მაგალითების ნიმუშშიც,რომელიც წარმოადგინა ქიმიის პედაგოგმა. სასკოლო გეგმაში გაწერილია სსსმ მოსწავლის საგანმანათლებლო საჭიროებები, მისი დაკმაყოფილების გზები, მოსწავლის ინტერესები და ინდივიდუალურ შესაძლებლობები, აგრეთვე, ყველა დამატებით აქტივობა, (დრო, რესურსები, პასუხისმგებელი პირო და სხვა), რომელიც აუცილებელია გეგმით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად. სასკოლო გეგმაში გაწერილია შინ სწავლების მომსახურეობის პირობები და სკოლის ვალდებულებები. საბუნებისმეტყველო კათედრის შემაჯამებელი ოქმიდან გამომდინარე, კათედრა აღნიშნავს, რომ 2022-2023 წელს განახორციელა კომპლექსური დავალებები, ჩამოაყალიბა შუალედური მიზნები საბაზო საფეხურზე. კათედრა გეგმავს, დანერგოს დიაგნოსტიკური შეფასებები და გამოიყენოს სადიაგნოსტიკო შეფასების მესამე ინსტრუმენტი.

რჩევა: საბუნებისმეტყველო - ყოველწლიურად განხორციელდეს ლაბორატორიაში არსებული ყვლა სასწავლო ერთეულის (მათ შორის პოსტერების, ან მოსწავლის/მასწალებლის მიერ შექმნილი სასწავლო რესურსის) ინვენტარიზაცია, გაეკრას თვალსაჩინო ადგილას ლაბოატორიაში უსაფრთხოს მუშაობის წესები, შედგეს წინსაწრი შეთანხმების საფუძველზე ლაბორატორიის დატვირთვის განრიგი, აგრესიული მჟავები გადავიდეს სეიფში ან კარგად დაცულ/დაკეტილ საცავში ან სათავსოში, ცდების უსაფრთხოდ ჩატარებისთვის უნდა დაკომპლექტდეს ეკიპირება დამცვი სათვალეების და ხალათების (მინიმუმ 4) სახით, მომზადდეს პირველადი სამედიცინო დახმარებისთვის სააფთიაქო ყუთი, სადემონსტრაციო მაგიდა დაიფაროს სრულად ან ნაწიობრივ ფოლგით ან ბუნებრივი ქვის ფილებით, აალების შემთხვევაში წინასწარ მომზადდეს ქვიშა/ცეცხლმაქრი ან აალების საწინააღმდეგო ნაჭერი, მოეწყოს ქიმიური ჭურჭლის საშრობი კედელი ან კუთხე. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს.

სკოლის მიერ წარმოდგენილია 2023-2024 სასწავლო წლის დამტკიცებული სასკოლო გეგმა, სადაც ასახულია მოსწავლის შეფასების სისტემა, შეფასების მიზნები, სახეები, ძირითადი ამოცანები, დოკუმენტი ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებას, რომელიც მიემართება გრძელვადიან მიზნებს-სამიზნე ცნებებს და მათ მკვიდრ წარმოდგენებს. საბუნებისმეტყველო კათედრაზე შეფასება ხორციელდება განმავითარებელ შეფასებებთან ერთად განმსაზღვრელი შეფასებებითაც. სკოლის მიერ წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებების ნიმუშები საგნების მიხედვით. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სასწავლო წლის მანძილზე მოსწავლეთა დაკვირვებას და განმავითარებელ შეფასებას მუდმივად აწარმოებენ. მოსწავლეთა მიღწევების შესახებ ინფორმაცია ზიარდება კათედრაზე სემესტრის და წლის ბოლოს. ინტერვიუდან გამოიკვეთა, რომ კათედრა ირჩევს შეფასების 1-ელ მოდელს, გეგმავს, შექმნას განსაზღვრელი შეფასების რუბრიკები ყველა შუალედურ მიზანთანმიმართებით, ჩაატაროს სადიაგნოსტიკო შეფასება მესამე ინსტრუმენტის საფუძველზე. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით და პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში მასწავლებლები იყენებენ როგორც განმავითარებელ შეფასებას, ასევე, განმსაზღვრელ შეფასებას. წარმოდგენილია კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, ასევე, კონკრეტული აქტივობების განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც სამიზნე ცნებასთან დაკავშირებულ მკვიდრ წარმოდგენებს განსაზღვრავს. საშუალო საფეხურზე მასწავლებლები აქტიურად იყენებენ მოსწავლეთა თვითშეფასების რუბრიკებს. **სკოლას მიეცა რჩევა, იმუშაონ მე-11 და მე-12 კლასების განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებზე. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით და პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრა სისტემატურად ხვდება ერთმანეთს და უზიარებს წინარე გამოცდილებას, იმ გამოწვევებს, რომლის მოგვარებასაც ახალი სასწავლო წლიდან აპირებენ, რათა უკეთესად დაგეგმონ სასწავლო პროცესი. სკოლამ წარმოადგინა კათედრის სხდომის ოქმი, რომელშიც ჩანს, რომ პედაგოგები სასკოლო კურიკულუმისა და საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს, რომელთა შესახებაც ინფორმაციის მოგროვებასა და ანალიზს შეძლებენ სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. ეს ინფორმაცია იკითხება, ასევე, სკოლის მიერ წარმოდგენილი გაკვეთილზე ურთიერთდასწრების ფორმიდან. კათედრა ახორციელებს მოსწავლეთა ნამუშევრების, შემაჯამებელი დავალებების შეფასებასა და ანალიზს, სკოლა ითვალისწინებს მოსწავლეების, კოლეგებისა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირსა და რეფლექსიისა და პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის შედეგებს და ა.შ. მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებისა და

სწავლის პროცესის მხარდაჭერის მიზნით სკოლა იყენებს ხარისხის განვითარების მექანიზმებს. მათემატიკის საშუალო საფეხურის კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებულ ყურადღება მიაქციეს წავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს, რომელთა შესახებაც ინფორმაცია გამოიკვეთა მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს. მათ ამ საფეხურზე შესატანად აარჩიეს ის დავალებები რომლებიც უკვე განხორციელებული ჰქონდათ წინა წლებში. გამოთქვეს მზაობა რომ მოსწავლეების, კოლეგებისა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირის, რეფლექსიის შედეგების და წინარე გამოცდილების გათვალისწინებით გადაამუშავებენ და დახვეწავენ კურიკულუმებს. საშუალო საფეხურზე ფიზიკაში, ქიმიასა და ბიოლოგიაში შემუშავებულია კურიკულუმის ჩარჩოები, სადაც წარმოდგენილია ისეთი კონტექსტ-მაგალითები, რომლებიც ეყრდნობა წინარე გამოცდილებას, ცხოვრებისეულ სიტუაციებს. სასწავლო წლის მანძილზე ინფორმაციის მოგროვების შედეგად, კათედრაზე ხდება კურიკულუმის ცვლილებების წარდგენა, გადაიხედება მეთოდოლოგია, აქტივობები, რესურსები. ცვლილებების შესახებ ინფორმაცია აისახება კურიკულუმის სამუშაო ვერსიაში, რაც ზიარდება კათედრაზე. ინტერვიუდან დასტურდება, რომ კათედრის მასწავლებლები აქტიურად იყვნენ ჩართული სამუშაო შეხვედრებში, სასწავლო წლის მანძილზე ხდებოდა გაკვეთილებზე დაკვირვება წინასწარ შედგენილი კრიტერიუმების საფუძველზე, წარმოებდა უკუკავშირი. მაგ ფიზიკის პროექტის ‘’როგორ გავაკეთოთ ენერგიის დანაზოგი’’ ფარგლებში მიღებული გამოცდილება დაეხმართ უკეთ გაეზრებინათ მე-10 კლასის საკითხი ელექტრული დენის მუშაობა და სიმძლავრე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საგნობრივი კურიკულუმები;
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- 2023-24 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- კათედრის შემაჯამებელი ოქმი;
- სასწავლო პროექტი ფიზიკაში;
- დიფერენცირებული დავალებები საშუალო საფეხურზე;
- სკოლის ფბ გვერდი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.კურიკულუმის განხორციელება

2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას.**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად და პედაგოგებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვა/განხორციელებისას მასწავლებლები ცდილობენ, გაითვალისწინონ მოსწავლე, როგორც ცენტრალური ფიგურა, დაგეგმონ აქტივობები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობას, მოსწავლეებს აქვთ საშუალება იმსჯელონ, იფიქრონ და მოიძიონ პრობლემის გადაჭრის გზები, გეგმავენ და შემდეგ ახორციელებენ სხვადასხვა მიზნობრივ ქმედებებს. საშუალო საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივ კურიკულუმებში ჩაშენებულია კომპლექსური დავალებები, რომლებიც იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. მოსწავლეები ქმნიან შემოქმედებით პროდუქტებს - ანალიტიკური ესე, საინფორმაციო-სარეკლამო ბროშურა, არგუმენტირებული ესე და სხვ. სკოლაში ფუნქციონირებს „მზესუმზირების კლუბი“, რომლის მიზანია მოსწავლეებში კვლევის, დისკუსიის, პრობლემის გადაჭრის უნარის ჩამოყალიბება, მიღებული ცოდნის ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოყენება, არაფორმალური განათლების ხელშეწყობა, აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობა. მასწავლებლებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ მათ აქვთ ერთობლივი მუშაობის დიდი გამოცდილება. პედაგოგები საგნობრივი კურიკულუმების დახვეწის/განვითარების პროცესში ასახავენ საინტერესო, ცხოვრებისეულ კონტექსტ-მაგალითებზე დაფუძნებულ კომპლექსურ დავალებებსა და სხვადასხვა აქტივობას. ცდილობენ, ყოველდღიურად გამოიყენონ ასეთი მიდგომები, რათა სასწავლო პროცესი მუდმივად იყოს განახლებადი და აქტიური. საშუალო საფეხურის მათემატიკის კურიკულუმებში შეტანილი კომპლექსური დავალებები არჩეულია „მათემატიკური წიგნიერების“ ახალი სახელმძღვანელოდან, ეს დავალებები საშუალებას აძლევს მოსწავლეს შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. ასევე იგეგმება სასწავლო პროცესში ჩართონ უფრო მეტი ელ. რესურსი და ასახონ კურიკულუმში რესურსების ველში. მასწავლებლებს აქვთ გააზრებული, რომ ახალი მასალის, ინფორმაციის დამუშავების პროცესში მასწავლებლის როლი არის ორგანიზებული მიზნობრივი გარემოს შექმნა, სადაც გამოწვევები დაკავშირებული იქნება მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებასთან და მიმართული იქნება სამიზნე ცნებების გააზრებაზე. კათედრა ამ ყველაფრის საფუძველზე ასაბუთებს, რომ სასწავლო პროცესი ხელს უწყობს აქტიურ სწავლასა და მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გაღვივებას.

საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებში ასახულია ისეთი ტიპის დავალებები, რომლილზე დაფუძნებითაც იქმნება მოსწავლეზე ორიენტირებული გარემო, სადაც მოსწავლე თავისუფალია, გამოთქვას საკუთარი აზრი, აღმოჩენებით მივიდეს სასწავლო შედეგამდე, თავად დააგეგმაროს და მართოს სასწავლო პროცესი, კრიტიკულად გაიაზროს პროცესები, შექმნას ორიგინალური პროდუქტი, თანმიმდევრულად ააშენოს საკუთარი ცოდნა. კურიკულუმებში ასახულია კომპლექსური შინაარსის დავალებები, რომლის მეშვეობითაც მოსწავლე არამხოლოდ კონკრეტულ საკითხს ეცნობა, არამედ ერთვება შემოქმედებით პროცესში. მასწავლებლები სასწავლო პროცესის მანძილზე სთავაზობენ მოსწავლეებს შესაბამის საკითხებს, აქტივობებს, რესურსებს, ასრულებენ გზამკვლევის ფუნქციას.

კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები იძლევა კოგნიტური სქემების, პოსტერების თუ ბუკლეტების, კვლევის, სტატიების, მოდელების, ელექტრონული პრეზენტაციების, ვირტუალური ლაბორატორიების - Phet სიმულაციების გამოყენებით მოსწავლემ შეიძინოს ცოდნა პრობლემაზე ფიქრის, მსჯელობის, დაგეგმვის, კვლევის, პრობლემის გადაჭრის განხორციელების გზით. აგ.ფიზიკის მე-11 კლასის კურიკულუმში წარმოდგენილია ელექტრული ძრავის მოდელის დამზადება, რესურსებად მოაზრებულია ვიდეორგოლი, ვირტუალური ლაბორატორიია, ემპირიული დაკვირვება სხვასხვა ძრავებზე. სკოლის დოკუმენტაციის თანახმად, საგაკვეთილო პროცესის პარალელურად, მოსწავლეები უზრუნველყოფილნი არიან შემოქმედებით პროცესებში ჩართვის შესაძლებლობით. სკოლაში ფუნქციონირებს კლუბები: ნებულა, ეკომცველები, მზესუმზირები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა თანამშრომლობითი, შემოქმედებითი და კრიტიკული უნარების განვითარებას. აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩართულობას უწყობს ხელს სკოლაში არაფორმალური აქტივობები (მაგალითად: პროექტი გენდერული მეინსტრიმინგი), მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სამოქალაქო განათლების პროექტებზე მუშაობა განსაკუთრებით უწყობს ხელს მოსწავლეთა ჩართულობას. მასწავლებელებმა აღნიშნეს, რომ სამომავლოდ მეტად გაითვალისწინებენ საგანთაშორის კავშირებს, რაც კიდევ უფრო აამაღლებს მოსწავლეთა მოტივაციას. სპორტში მე-10-12 კლასის საშუალო საფეხურის კურიკულუმებში შერჩეული და გაწერილია როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული მიმართულებით თემები, რაც, ბუნებრივია დადებითად აისახება მოსწავლეზე, ის ფიზიკურთან ერთად გონებრივი უნარების განვითარებასაც შეუწყობს ხელს. საფეხურის ფარგლებში დაგეგმილია ფესტივალები სადაც ჩართულია ყველა მოსწავლე. ეს იძლევა სწავლების თავისუფალი არჩევანის საშუალებას, თითოეულ მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა აქტიურად ჩაერთოს პროცესში და გამოავლინოს საკუთარი შესაძლებლობები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად და პედაგოგებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვა/განხორციელებისას სასკოლო საზოგადოება ცდილობს გაითვალისწინოს მოსწავლეთა წინარე ცოდნა და გამოცდილება ცოდნის კონსტრუირების გზაზე. ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმებში წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტებით, რომლის შესრულებისას მოსწავლემ უნდა გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა. მოსწავლეები წინარე ცოდნაზე დაფუძნებით იღებენ ახალ გამოცდილებებსა და სწავლობენ, ეუფლებიან ახალ უნარ-ჩვევებს. ამ მიმართულებით სკოლაში ფუნქციონირებს კლუბი და ხორციელდება სასკოლო პროექტები. პედაგოგები გასაუბრებისას აღნიშნავენ, რომ მნიშვნელოვანია სასკოლო პროექტების ინიცირების წახალისება და მოსწავლისთვის საინტერესო არაფორმალური განათლების ელემენტების დაგეგმვა/განცორციელება, რათა დაეხმაროს სასწავლო პროცესს მოსწავლის გამოცდილებასთან მიახლოებაში, რაც მისი ეფექტიანობის მნიშვნელოვანი წინაპირობა იქნება. მაგ; მე-11 კლასში ფიზიკაში თემა „ელექტრომაგიტური მოვლენები'' მოსწავლე ნაბიჯ-ნაბიჯ კრებს ინფორმაციას ნებისმიერი ძრავის შესახებ შესაბამისი რესურსების შეთავაზებით დაკვირვების, გააზრების საფუძველზე და მხოლოდ ამის შემდეგ ცდილობს, ააწყოს მუდმივ დენზე მომუშავე ძრავის საკუთარი მოდელი. უცხოურ ენებში კომპლექსური დავალების პირობები, ხშირად ისეა ფორმულიებული, რომ მაგ. მოსწავლეს უწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი (პრეზენტაცია, პოტერი, მიმოხილვა, ესე).წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ ხორციელდება პროექტები არაფორმალური განათლების მიმართულებით, მაგ. პროექტი „დემოკრატია მულტიკულტურულ საზოგადოებაში“ , მასწავლებლებმა ინტერვიუში აღნიშნეს,რომ გეგმავენ არაფორმალური განათლების კუთხით მრავალფეროვანი, ინტეგრირებული აქტივობების განხორციელებას. საზოგადოებრივ მეცნიერებებში წარმოდგენილ კურიკულუმებში დაგეგმილი კომპლექსური დავალებები მოსწავლეს სთავაზობს ნაცნობ კონტექსტებს, მას სჭირდება პრობლემის გადაჭრა, გადაწყვეტილების მიღება, საკითხის

სხვადასხვა პერსპექტივიდან დანახვა და განზოგადება. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ გამოიყენება შესასვლელი ბილეთები, გრაფიკული მაორგანიზებლები- ვენის დიაგრამა, T სქემა, ,,ვიცი, მინდა ვიცოდე, ვისწავლე" და სხვა **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, გამოიკვეთა, რომ საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვა/განხორციელებისას პედაგოგები ცდილობენ, გაითვალისწინონ სწავლა-სწავლების მიზნები: მოსწავლეს განუვითარონ ევროკავშირის მიერ განსაზღვრული XXI საუკუნის რვა საკვანძო კომპეტენცია. მათ შორის არის პერსონალური, სოციალური და სწავლის სწავლის კომპეტენცია, რაც გულისხმობს იმას, რომ მოსწავლეს შეუძლია დავალების/შესასრულებელი საქმიანობის ღირებულების განსაზღვრა, დავალების/აქტივობის დაგეგმვა, სწავლის პროცესის მონიტორინგი, სწავლის, როგორც ქცევის სოციო-ემოციური მართვა. საბაზო საფეხურის მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ მათი მხრიდან მხარდაჭერილია მოსწავლის რეფლექსია შესრულებულ სამუშაოზე და მათი მხრიდან წარმოდგენილია მოსწავლის თვითშეფასების ბარათის ნიმუშები შესრულებული დავალებების ანალიზზე: რა შეასრულა კარგად, რა ცოდნამ, გამოცდილებამ და სტრატეგიამ მოუტანა წარმატება, რა ხელისშემშლელი ფაქტორები გამოიკვეთა, როგორ გაუმკლავდა ამ ფაქტორებს, რისი პრევენცია შეიძლებოდა თავიდან დაგეგმვის შემთხვევაში. პედაგოგებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ მოსწავლეებს ძალიან მოსწონთ თვითშეფასება, რომელიც უადვილებთ მათ მეტაკოგნიტურ პროცესებს. მეტაკოგნიციაზე აქცენტი ისახება სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზსა და ანგარიშებში. სპორტში სწავლა-სწავლების პროცესში აქცენტები კეთდება ისეთ რესურსების გამოყენებაზე და სწავლების იმ მეთოდების დანერგვაზე, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში განსხავებული უნარ ჩვევების გამოვლენას. მოსწავლეები ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათ შეძენილი ფიზიკური თვისებების, ორგანიზებულობის და თვითკონტროლის, ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს. ამის დამადასტურებლად გვაქვს კომპლექსური დავალებები. ფიზიკის კურიკულუმის ჩარჩოში 10 კლასი, ასევე თანდართულ თემატური მატრიცის წარმოდგენილ ნიმუშებში გამოკვეთილია კომპლექსური დავალების პრეზენტაციის პროცესში მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვები, რომელიც იწვევს შესრულებული სამუშაოს შესახებ მოსწავლის რეფლექსიას, გააზრებას, თუ რა გააკეთა მოსწავლემ კარგად, როგორ წარიმართა პროცესი, რა გამოცდილება შეიძინა, რა აღმოჩენა გააკეთა, რას შეცვლიდა ნამუშევრის ხელახლა დაწყების მომენტისთვის - მოცემული კითხვები ხელს უწყობს მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას. როგორც ინტერვიუდან დადგინდა, მასწავლებლები ყურადღებას ამახვილებენ მოსწავლის მიერ პროდუქტის წარმოდგენისას იმ პროცესებზე, როგორ და რა გზით მიდის მოსწავლე მიზნამდე, რა ეხმარება პროდუქტის შექმნაში.

რჩევა: საბუნებისმეტყველო - სასურველია, შეიქმნას განმავითარებელი შეფასების ისეთი ტიპის რუბრიკები, რომელიც ხელს შეუწყობს კათედრის მიერ შერჩეული სადიაგნოსტიკო შეფასებების მესამე ინსტრუმენტის ეფექტურად გამოყენებას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული)

საშუალო საფეხური. წარმოდგენილი დოკუმენტებიდან გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში სასწავლო პროცესი ორიენტიებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე, რაზეც მეტყველებს ხვადასხვა საგანში შექმნილი სასკოლო კურიკულუმები საშუალო საფეხურის ყველა კლასისთვის. ქართულ ნასა და ლიტერატურაში წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებში ჩანს, რომ მოსწავლეები არ სწავლობენ საკითხებს განყენებულად, არამედ აქცენტი გადატანილია ცოდნის პროცედურულ და პირობისეულ ტრანსფორმაციაში. კურიკულუმებში გაწერილი კომპლექსური დავალების იდეებიც სწორედ ამას მოწმობს. მოსწავლეებმა შეძენილი ცოდნა უნდა აქციონ ანალიტიკურ ესედ, არგუმენტირებულ ესედ, რეპორტაჟად და ა.შ.

მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები აცნობიერებენ ცოდნის სამივე კატეგორიის განვითარების საჭიროებას და 2023 – 2024 სასწავლო წლისთვის ყველა კომპლექსური დავალება ორიენტირებული იქნება ცოდნის სამივე კატეგორიაზე. მათემატიკის კურიკულუმებში შესატანად კომპლექსური დავალებები ძირითადად არჩეულია „მათემატიკური წიგნიერების“ ახალი სახელმძღვანელოდან, ამ დავალებებში აქცენტი კეთდება ცოდნის სამივე კატეგორიაზე, აღნიშნული საფეხურის კლასებში ჩატარებული შემაჯამებელი დავალებებიც გათვლილია, როგორც დეკლარატიულ, ისე პროცედურული და პირობისეული ცოდნის ჩამოყალიბებაზე. კურიკულუმის და თემატური მატრიცის წარმოდგენილ ნიმუშებში (მაგ; ფიზიკა მე-10 და მე-11 კლასი) წარმოდგენილია ცოდნის სამივე კატეგორიის ამსახველი კითხვები, რაც მოსწავლეს ეხმარება ცოდნის კონსტრუირებაში. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში მოსწავლეს უწევს იაზროვნოს კრიტიკულად, პროდუქტის შექმნისას მას შემოქმედებითი უნარების განვითარება სჭირდება. მასწავლებლის მიერ მეტაკოგნიტური სტრატეგიების ეფექტურად გამოყენება კი მოსწავლეს უბიძგებს, კრიტიკულად გაიაზროს ცოდნის კონსტრუირების საკუთარი გზა, აირჩიოს ოპტიმალური და ეფექტური. ასევე აყალიბებს ნებელობას, აუმჯობესებს თანამშრომლობის უნარებს. წინარე ცოდნის გააქტიურების დროს აქცენტი კეთდება დეკლარატიულ ცოდნაზე, პრაქტიკული სამუშაოები შეესაბამება პროცედურებს, რომლებიც მოქმედებების განხორციელების საშუალებას იძლევა. პირობისეული ცოდნა აერთიანებს დეკლარატიულ და პროცედურულ ცოდნას და გულისხმობს მათ ტრანსფერს ცხოვრებაში. კათედრაზე ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშეს, რომ კომპლექსური ბუნების დავალებებით და პროექტებით სწავლება მოსწავლეებში ხელს უწყობს დეკლარატიული, პროცედურული და პირობისეული ცოდნის ჩამოყალიბებას.

რჩევა: საბუნებისმეტყველო - კათედრაზე მომზადდეს მოსწავლებში მეტაკოგნიტური უნარების ხელის შემწყობი კითხვების პაკეტი, რომელზეც პასუხები ინდივიდუალური ხასიათის იქნება და დაეხმარება მასწავლებელს სადიაგნოსტიკო შეფასებაში მესამე ინსტრუმენტის შესაბამისად. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

წარმოდგენილი დოკუმენტებიდან გამოიკვეთა, რომ პედაგოგებს გაცნობიერებული აქვთ სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებისა და ურთიერთდაკავშირებისთვის კურიკულუმების როლი, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ და მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ თვალსაზრისით. ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმებში გაწერილია თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, როგორც საკვანძო ასპექტები, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას გვაძლევს. რადგან კომპლექსური ბუნების დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შემქნაზე და ა.შ. ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. მოსწავლეები საშუალო საფეხურზე ქმნიან ანალიტიკურ ესეს, არგუმენტირებულ ესეს, ამზადებენ პრეზენტაციებს, საკუთარ მოსაზრებას ასაბუთებენ და ა.შ. მასწავლებლები ამ მიმართულებით აქტიურად ახორციელებენ ინტეგრირებულ გაკვეთილებსა და პროექტებს. პედაგოგებს აქვთ მზაობა, აღნიშნული მიდგომები, წინარე გამოცდილება და ახალი მიგნებები გათვალისწინებულ იქნას სასწავლო პროცესში.

ცოდნათა ორგანიზება და დაკავშირება აისახება საშუალო საფეხურის კურიკულუმების ჩარჩოებში, სადაც მასწავლებლებს სასწავლო პროცესი დაგეგმილი აქვთ თემების მიხედვით, თითოეულ თემაში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება, საკითხები ორგანიზებულია კლასტერებად. ქიმიისა და ფიზიკის კურიკულუმებში მოყვანილია კონტექსტ-მაგალითები და მაგალითები შედარებისათვის, რომელიც იძლევა საშუალებას, მოსწავლემ შეძლოს: ცოდნის ორგანიზება და დაუკავშიროს სწავლების პროცესში ერთმანეთს, წინარე ცოდნაზე

დაშენებით ააგოს ახალი კონსტრუქტი. კომპლექსური დავალებების შექმნის პროცესში მოსწავლე შეძლებს აღმოაჩინოს ობიექტის, მოვლენის ახალი ნიშნები, თვისებები, კანონზომიერებები, მოახერხოს სწავლის სწავლა. პრაქტიკული დავალებები ხელს უწყობს ცოდნის ურთიერთდაკავშირებას და ტრანსფერს, სასწავლო პროექტები ხელს უწყობს ცოდნათა ორგანიზებას და დაკავშირებას. მაგ: მე-11 კლასებში ფიზიკაში განხორციელდა პროექტი ''როგორ დავზოგოთ ენერგია'', ბიოლოგიაში - მემკვიდრეული დაავადებები. სკოლის დოკუმენტაციიდან ასევე დასტურდება, რომ სკოლა ახორციელებს ინტეგრირებულ გაკვეთილებს. ინტერვიუზე გააჟღერეს, რომ მიმდინარე სასწავლო წელს იგეგმება ინტეგრირებული გაკვეთილის ჩატარება XI კლასში - უცხოური ენების და საბუნებისმეტყველო კათედრების ურთიერთთანამშრომლობით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საგნობრივი კურიკულუმები;
- საეტაპო აქტივობები;
- შეფასების რუბრიკები;
- სკოლის ფბ გვერდი;
- სასწავლო პროექტი ფიზიკაში.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;**

სკოლის მასწავლებლებისთვის მნიშვნელოვანია, რომ სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ იყოს გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებსა (რესურსებს,მასალას) და საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექანიზმს) შორის. ამას უზრუნველყოფს კარგად გაწერილი კურიკულუმი. სკოლის მიერ წარმოდგენილი საშუალო საფეხურის კურიკულუმებში სტრუქტურულ ერთეულებს შორის მიმართებები სწორია. მნიშვნელოვანია რეალიზებული კომპლექსური დავალებები და მათზე რეფლექსია, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, აგრეთვე, პედაგოგებთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ საგაკვეთილო აქტივობები გაზრებულია მიზანზე, სასწავლო პროცესი დაგეგმილია შემდეგნაირად: მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხს, ისმება საკვანძო შეკითხვები, განიხილება კომპლექსური დავალების პირობა და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს ეხმარება მასალის სიღრმისეულ გააზრებაში. საბოლოოდ, მოსწავლის მიერ იქმნება

კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით. სკოლაში განხორციელებული პროექტები, ასევე, ხელს უწყობს მოსწავლეებში მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას. სკოლის მიერ მიერ წარმოდგენილია საშუალო საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმის ჩარჩო მე-10, მე-11 და მე-12 კლასებისთვის, რომელშიც გათვალისწინებულია გრძელვადიან მიზანთან მიმართება. ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის კურიკულუმის ჩარჩოები აგებულია სწავლების გრძელვადიანი მიზნების გათვალისწინებით. გრძელვადიან მიზნებად განსაზღვრულია სამიზნე ცნებები. წარმოდგენილია კავშირები სამიზნე ცნებას, სამიზნე ცნებების მკვიდრ წარმოდგენებს, საგნობრივ საკითხებს და მასალა/რესურსებს შორის. გამოკვეთილია საგნობრივი საკითხები, რომელთა შესწავლაც ხელს შეუწყობს სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებზე გასვლას. ზოგიერთ კურიკულუმში მოცემულია ქვეცნებები, რომლებიც აკავშირებს საგნობრივ საკითხებს სამიზნე ცნებებთან. მაგ: მე-11 კლასში ბიოლოგიაში კომპლექსური დავალების იდეაა ვირუსების თავისებურების წარმოდგენა, თემა - ევოლუცია. მუშავდება ქვეცნებები: ცოცხალი ორგანიზმების სტრუქტურა და ფუნქცია, ბუნებრივი გადარჩევისა და შეგუებულობის სასიცოცხლო მნიშვნელობა, მიკრო და მაკროევოლუცია, როგორც ბიომრავალფეროვნების საფუძველი, დაავადებები, გამომწვევი მიზეზები და პრევენცია, მოცემული საკითხის სწავლება ემიზნება გრძელვადიან მიზნებს - სტრუქტურა და ფუნქცია, სასიცოცხლო თვისებები, ბიომრავალფეროვნება, რომელიც ხელს უწყობს შესაბამისი მკვიდრი წარმოდგენების შექნას მოსწავლის მეხსიერებაში, შექმნის ბაზისს და ორგანულად დაუკავშირდება შემდეგი წლის სავალდებულო თემას ''ვირუსიდან ადამიანამდე''. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.

მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას, რადგან ისინი სასწავლო პროცესში საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას გადამწყვეტ უპირატესობას ანიჭებენ მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს და არა საგნობრივი საკითხების ამოწურვის „ვალდებულებას". გასაუბრების დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ახალი სასწავლო წლისთვის საგაკვეთილო პროცესის დროს ყურადღებას გაამახვილებენ არა მხოლოდ საგნობრივ თემატიკაზე, არამედ მოსწავლის მრავალმხრივ/ჰოლისტურ განვითარებაზე, რაც გამოიხატება ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებაში, როგორიცაა: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი, ნებისყოფა/ნებელობა. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ემპათიური გრძნობების ჩამოყალიბებისათვის, ფსიქოსოციალური განვითარებისათვის სკოლაში ყურადღება ექცევა არაფორმალურ განათლებას, რაც ემსახურება მოსწავლეთა პიროვნულ ზრდას, ფსიქო-სოციალურ განვითარებას. კლუბებში გაერთიანება და არაფორმალურ განათლებაში ჩართვა მოსწავლეებში ემპათიის გრძნობას ზრდის. სკოლაში, ამ მხრივ, დიდი ფუნქცია ეკისრება დამრიგებელს და მის მუშაობას. წარმოდგენილია სადამრიგებლო პროგრამა, რომელიც ყველა სხვა მნიშვნელოვან საკითხთან ერთად ითვალისწინებს მოსწავლეთა მხარდაჭერას პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მიმართულებით. ამ მხრივ, დამრიგებლის როლი დიდია მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-ემოციურ განვითარებაში. სკოლის მისია განსაზღვრავს სწორედ ისეთი გარემოს შექმნას, სადაც მოსწავლე გამოიჩენს მეტ ემპათიას, მიმღებლობას კულტურული მრავალფეროვნების მიმართ, ღირებულებებში გამოკვეთილია ყველა ადამიანის ''თანასწორობა, დაცულობა და ბედნიერება''. სწავლის პროცესი ორიენტირებულია საკვანძო კომპეტენციებზე: თვითცნობიერება, თვითრეგულაცია, სოციალური ცნობიერება, ურთიერთობის უნარები, პასუხისმგებლობა გადაწყვეტილებაზე. სწავლა მხოლოდ სასწავლო პროცესის ორგანიზება არ არის, მოსწავლე იზრდება და ვითარდება არა მხოლოდ ფიზიკურად და პიროვნულად, მისი სოციო-ემოციური სფეროს განვითარება აქტიურად მიმდინარეობს სასკოლო გარემოში. მოსწავლეს თავის კლასში უწევს ითანამშრომლოს, დაამყაროს ჯანსაღი ურთიერთობები, შეაფასოს საკუთარი და მეგობრების ნამუშევრების ძლიერი და სუსტი მხარეები, გაიაზროს სხვების პოზიცია და გამოხატოს ემპათია სხვისი აზრის მიმართ. მოსწავლემ უნდა შეძლოს როგორც

ინდივიდუალური პასუხიმგებლობის გააზრება, ასევე გუნდის სასრგებლო წევრად ქცევა. მიიღოს ინდივიდუალური გადაწყვეტილება ისე, რომ თანხვედრაში იყოს ღირებულებებთან. საგნობრივი კურიკულუმები იძლევა საშუალებას, შესთავაზოს მოსწავლეს მის ინტერსებზე, საჭიროებებზე და შესაძლებლობებზე მორგებული სასწავლო პროცესი. კომპლექსური დავალების შერჩევის პროცესში, პროდუქტის შერჩევისას მოსწავლე თავისუფალია არჩევანში. კლუბების და პროექტების შეთავაზება ასევე იძლევა საფუძველს, მოსწავლემ აღმოაჩინოს საკუთარი ინტერესები და განივითაროს თვალსაწიერი. სკოლაში ხორციელდება ისეთი პროექტები,რომელიც მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზეა ორიენტირებული. მაგ. პროექტი "დემოკრატია მულტიკულტურულ საზოგადოებაში".

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე

მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მათ გააზრებული აქვთ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობა, მათ იციან განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების არსი, ამასთანავე, შექმნილი აქვთ შეფასების ზოგადი რუბრიკები. აქვთ შექმნილი კონკრეტულ თემაში, საკითხზე მორგებული შეფასების რუბრიკებიც, კათედრის სხდომებზე იხილავენ შემაჯამებელი სამუშაოს ანალიზის ფორმებს. აქვთ კომპლექსური დავალების განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით შეფასების გამოცდილება. 2023 – 2024 სასწავლო წლისთვის კათედრა გეგმავს როგორც განმსაზღვრელი, ასევე, განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით მუშაობას, ხოლო სადიაგნოსტიკო ტესტებს გამოიყენებენ სემესტრში ერთხელ. სასწავლო წლის განმავლობაში პედაგოგები დააკვირდებიან მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, გააანალიზებენ და მიღებულ გამოცდილებას გაითვალისწინებენ მომდევნო სასწავლო წლისათვის. სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმაში ასახულია მოსწავლეთა შეფასების სისტემა, რომელიც გულისხმობს განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებებს, აკონკრეტებს შეფასების მიზნებს, სახეებს, პრინციპებს. სკოლა იყენებს განმსაზღვრელი შეფასების სამკომპონენტიან მოდელს, შეფასებისთვის გამოიყენება ანალიტიკური და ჰოლისტური შეფასების რუბრიკები.ს აბუნებისმეტყველო კათედრაზე შექმნილია შეფასების რუბრიკების ნიმუშები. კათედრის შემაჯამებელი ოქმიდან ჩანს, კათედრა გეგმავს გააგრძელოს მუშაობა და შექმნას ყველა თემაზე განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ქოუჩინგის ფარგლებში მიღებული გამოცდილების საფუძველზე. ოქმიდან და ინტერვიუდან გამომდინარე, სასწავლო წლის მანძილზე მასწავლებლები იყენებდნენ განმავითარებელ შეფასებებს ძირითადად სიტყვიერი კომენტარების სახით, მოსწავლეთა შედეგების გაზიარება ხდებოდა კათედრაზე ასევე ზეპირად. კათედრის შემაჯამებელი ოქმში ასახულია ე. წ. SWOT ანალიზიც, რომელიც ეყრდნობა კათედრის მასწავლებეთა აზრს. საბუნებისმეტყველო კათედრა 2023-2024 სასწავლო წლისთვის ირჩევს შეფასების პირველ მოდელს. მასწავლებლები აცხადებენ, რომ განმავითარებელი შეფასებების შედეგად მოპოვებულ მონაცემებს ისინი გაუზიარებენ ერთმანეთს სამუშაო შეხვედრების დროს, პედაგოგიური საჭიროებებზე ასევე იმსჯელებენ და გააზიარებენ კათედრაზე.

რჩევა: საბუნებისმეტყველო - სასურველია, კათედრის მიერ გამოვლენილი სუსტი მხარეები გაანალიზდეს ერთობლივად, გადავიდეს კათედრის სამოქმედო გეგმაში და თითოეული პუნქტის გაუმჯობესების/აღმოფხვრის მიზნით დაიგეგმოს შესაბამისი აქტივობები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლა სასწავლო პროცესში უზრუნველყოფს შეფასების სისტემის ვალიდურობას, გამჭვირვალეობას, სანდოობას, ობიექტურობასა და სამართლიანობას. კომპლექსური დავალების პირობას საგნობრივი საკითხის დაანონსებისთანავე სკოლა აცნობს როგორც მოსწავლეს, ასევე, მის მშობელს. შეფასების კრიტერიუმის ვალიდურობას მასწავლებელი ამოწმებს სამიზნე ცნებებზე მუშაობის პროცესში. ხდება შეფასება იმისა, თუ როგორ ასაბუთებს მოსწავლე იმას, რომ მის მიერ წარმოდგენილი დავალება შეესაბამება სამიზნე ცნებით განსაზღვრულ საკითხს,

როგორ იაზრებს თემას. შეფასების სისტემა ცნობილი და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებისათვის. სასკოლო სასწავლო გეგმაში იკითხება ინფორმაცია შეფასების მიზნის, ამოცანებისა და დიაგნოსტიკური წერების შესახებ. შეფასების ანალიზის შედეგად გამოკვეთილი ძირითადი მიგნებების საფუძველზე საჭიროების შემთხვევაში ხორციელდება ცვლილება. ეს საკითხები განიხილება მშობელთა კრებებზე, კათედრაზე, პედსაბჭოს სხდომებზე. საშუალო საფეხურის პედაგოგები 2023 – 2024 სასწავლო წლისთვის გეგმავენ მოსწავლეთა უფრო მეტ ჩართულობას შეფასების ინსტრუმენტების დახვეწასა და გამოყენებაში, რაც გაზრდის შეფასების სისტემის ხარისხს მეტი ობიექტურობისა და სამართლიანობის თვალსაზრისით. წარმოდგენილი დოკუმენტაციით და ინტერვიუებით დგინდება რომ, სკოლაში მოსწავლეთა შეფასება საშუალო საფეხურზე ხდება ესგ-ის სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებთან მიმართებით. შეფასებისთვის გამოიყენება სხვადასხვა ინსტრუმენტი. კომპლექსური დავალებების განხორციელების წინ მასწავლებელი მოსწავლეებს და მშობლებს აცნობს როგორც დავალების პირობას, ასევე შეფასების სქემასაც. განმავითარებელი შეფასების რუბრიკები აღწერს მოსწავლის მიღწევის დონეს მოცემულ სამიზნე ცნებებთან მიმართებით. მასწავლებლები აღნიშნავენ რომ იცნობენ და იყენებენ განმავითარებელი შეფასებების სხვადასხვა ტექნიკას, სწავლის პროცესში მმართავენ ასევე მოსწავლეთა ურთიერთშეფასებას. სკოლის მიერ ასევე წარმოდგენილია დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს სემესტრული გამოცდის გადაბარებას ნიშნის/ქულის ამაღლების მიზნით. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ აქტიურად ატარებდნენ კონსულტაციებს და მათი შეფასებები შეფასების პრინციპებს სრულად ითვალისწინებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი. მკაფიოდაა გაწერილი ვერიფიკაციის მიზანი, ამოცანები, პრინციპები. აღწერილია ვერიფიკაციის პროცესი. შეფასების სისტემის ვერიფიკაცია შესაძლებელია, განახორციელოს: დირექტორის მოადგილემ; შესაბამისმა საგნობრივმა კათედრამ (ურთიერთადსწრების, შეფასების რუბრიკების შემუშაების, შემაჯამებელი დავალების ანალიზის დროს); დირექტორის მიერ შექმნილმა კომისიამ (მაგ. სემესტრული გამოცდების ჩატარების მიზნით შექმნილმა კომისიამ); ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფმა მასწავლებლის საქმიანობის დაკვირვების დროს (საგაკვეთილო პროცესზე დასწრება/კომპეტენციების შემოწმება). ეს პროცესი გულისხმობს შესაფასებელი დავალებებისა და მასწავლებლის მიერ გამოყენებული შეფასების რუბრიკის შესაბამისობის დადგენას როგორც ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მეთოდიკურ ორიენტირებთან და საგნობრივ სტანდარტთან, ასევე, დავალების მიზანთან, შინაარსთან და ფორმასთან. ამ დოკუმენტის მიხედვით, ნათლად აისახება სასწავლო პროცესში გამოყენებული შეფასების ვალიდურობა, სანდოობა, გამჭვირვალეობა, ობიექტურობა და სამართლიანობა. სასკოლო სასწავლო გეგმაში ინტეგრირებულია (ასევე წარმოდგენილია ცალკე ფაილის სახითაც) შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. დოკუმენტში გაწერილია მიზანი, ამოცანები, პრინციპები. ვერიფიკაციისათვის სკოლამ შეიძლება გამოიყენოს სადიაგნოსტიკო წერები, წლიური თუ სემესტრული გამოცდები, შემაჯამებელი სამუშაოები. ვერიფიკაციის მექანიზმი ეფუძნება შეფასების პრინციპებს და განსაზღვრავს პროცედურებს. დოკუმენტით განსაზღვრულია ვერიფიკაციაზე პასუხისმგებელი პირები - მათ შორის დირექტორის მოადგილე, ვერიფიკაციის ჯგუფები სკოლის ბაზაზე, რომლებიც წარმომადგენლობითია (სხვადასხვა მიზნით, პროცედურით, ინსტრუმენტით) სხვადასხვა პროცესების შეფასების დროს. ინტერვიუს დროს მასწავლებლები ადასტურებენ, რომ სკოლაში მოქმედებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც ესწრება გაკვეთილებს, აძლევს უკუკავშირს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

სკოლაში დაცულია კანონმდებლობით განსაზღვრული რეგულაციები დოკუმენტების წარმოებასა და მათ შენახვასთან დაკავშირებით.

სასკოლო სასწავლოგეგმის მიხედვით, სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებების აღრიცხვასა და

დაცვას არანაკლებ სამი წლის ვადით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კურიკულუმები;
- განმავითარებელი და განმსაზრვრელი შეფასების რუბრიკები;
- კურიკულუმში შერჩეული კომპლექსური დავალების სრული ნიმუში (ინსტრუქციით);
- საეტაპო აქტივობები;
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
- კათედრის შემაჯამებელი ოქმი რესურსი 12;
- კათედრის სხდომის ოქმი N4;
- სასკოლო სასსწავლო გეგმა;
- გამოცდის გადაბარების მასალები.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, აგრეთვე ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სასკოლო საზოგადოება ცდილობს შექმნას სასწავლო პროცესისათვის ღია/მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო, რომელსაც უზრუნველყოფს სასკოლო სასწავლო გეგმის თითოეული პუნქტი და მასში გაწერილი საკითხები, მათ შორის მოსწავლეზე ორიენტირებული სკოლის მისია და ხედვა, საათობრივი ბადე, შემუშავებული საგნობრივი პროგრამები, მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები, საგნობრივი კათედრების მუშაობის პრინციპები და სხვ. პედაგოგებთან გასაუბრებისას იკვეთება, რომ სკოლაში საკმაოდ ღია და მიმღებლობითი, პოზიტიური სასკოლო კლიმატია. თანამშრომლობითი და პოზიტიური კომუნიკაციაა სასკოლო საზოგადოების წევრთა შორის. მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან, მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან. კათედრის ყველა წევრი ზრუნავს თანამშრომლობითი კულტურის განვითარებასა და გამოცდილების გაზიარებაზე, ისინი ხშირად ერთობლივად გეგმავენ

გაკვეთილებს, პროექტებს, უზიარებენ გამოცდილებას, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ უკუკავშირსა და საჭიროების შემთხვევაში რეკომენდაციებს. სკოლაში სასწავლო წლის დასაწყისში მუშავდება სასკოლო კურიკულუმი. სკოლისთვის პრიორიტეტია შექმნას კულტურული მრავალფეროვნების მხარდამჭერი, პოზიტიური და მაღალი მიმღებლობის გარემო, რაც ჩანს სკოლის მისიაში. ასეთი გარემოს შექმნას უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადება.სასწავლო პროცესის წარმატებით განხორციელებისათვის შექმნილია მხარდაჭერასა და ურთიერთპატივისცემაზე ორიენტირებული გარემო. მოსწავლეები ინფორმირებულები არიან სკოლაში მოქმედი არაფორმალური სასწავლო-საგანმანათლებლო აქტივობების, კლუბების შესახებ. შემუშავებულია საგნობრივი კათედრების მუშაობის გეგმები, ინდ. გეგმები. მოსწავლეებს აქვთ საშუალება ე.ს.გ. სტანდარტით გათვალისწინებული არჩევითი საგნებიდან აირჩიონ სასურველი საგანი, წლის განმავლობაში მოსწავლეები იღებენ განმავითარებელ შეფასებებს, რაც მიმართულია სწავლების შედეგების გაუმჯობესებისაკენ. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორი ხელს უწყობს მხარდამჭერი და მიმღებლობითი სასკოლო გარემოს ჩამოყალიბებას. უცხოური ენების მასწავლებლებმა გააჟღერეს რომ მოსწავლეების მოსაზრება და ინიციატივები გათვალისწინებულია სასწავლო პროცესში, მაგ. მოსწავლეს აქვს არჩევნის უფლება თუ რა ფორმით წარმოადგინოს საბოლოო პროდუქტი, ან გამოთქვას მოსაზრება თუ რა თემაა მისთვის აქტუალური ან პრობლემური. პედაგოგები ადასტურებენ, რომ გათვალისწინებულია მშობელთა და თემის ინტერესებიც. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, აგრეთვე, პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ორიენტირებული არიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე, მათ ინდივიდუალურ მხარდაჭერაზე. ეს აისახება საგნობრივ კურიკულუმებში, რომელშიც გაწერილია კომპლექსური დავალებები, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჩართვას სასწავლო პროცესში. მასწავლებლები ქმნიან უსაფრთხო გარემოს მოსწავლეებთან თანამშრომლობით, ხელს უწყობენ და ახალისებენ თვითრეგულირებად ქცევას, მოსწავლეებში თანამშრომლობითი უნარების განვითარებას. პედაგოგები აღნიშნავენ, რომ მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობა სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და რეგულირებაში ძალიან მნიშვნელოვანია. ამისათვის ისინი ატარებენ სადამრიგებლო სამუშაოებს, მოსწავლეები სხვადასხვა აქტივობაში იღებენ მონაწილეობას. გასაუბრების დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ „მზესუმზირების“ კლუბში ჩართულობა საკმაოდ დიდ გავლენას ახდენდა მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებაზე. პედაგოგები იყენებენ მშობლებთან კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმებს. სამომავლოდ ეცდებიან, გაზარდონ სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებაში მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობა, მეტად გაითვალისწინონ მოსწავლეთა საჭიროებები და ინტერესები, მათი ჩართულობით შეარჩიონ სასწავლო პროექტების, სასკოლო კლუბის საქმიანობის თემატიკა, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მოტივაციის ზრდასა და დადებითად აისახება მათ სასწავლო შედეგებზე. სკოლაში კურიკულუმის მიხედვით დაგეგმილი სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეზე. კომპლექსური ბუნების დავალებების შესრულების დროს მოსწავლის ავტონომიურობა/ დამოუკიდებლობა, მისი წინარე გამოცდილება და თვითრეგულაცია წამყვანია. მასწავლებელი ითვალისწინებს მოსწავლეთა საჭიროებებს და პრობლემებს. საკითხები,რესურსები, აქტივობები, მაგალითები შედარებისათვის იძლევა დიფერენცირების საშუალებას. კათედრა საბაზო საფეხურზე იყენებს სწავლის შედეგების მონიტორინგს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებების წარმოებით. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე. კურიკულუმების შედგენისას მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

პედაგოგებთან ინტერვიუს დროს, აგრეთვე სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების (საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები, საკლუბო საქმიანობა, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, სასწავლო პროცესში გამოყენებული

მასალები/აქტივობები, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი, მასწავლებელთა და კათედრების ანგარიშები, სადამრიგებლო საათი) გაცნობით იკვეთება, რომ ეფექტურად მიმდინარეობს თანამშრომლობა სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის (მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი, სკოლის დირექცია, ადმინისტრაცია). სასკოლო კულტურა მრავალფეროვანია, რომლის მთავარი პრინციპი თანამშრომლობაა. სასწავლო პროცესი ეფუძნება გამოცდილების გაზიარებასა და აქტიურ კომუნიკაციას. საბაზო საფეხურის პედაგოგები საბუნებისმეტყველო კათედრაზე უზიარებენ კოლეგებს გამოცდილებას, ადგენენ კურიკულუმებს, ერთობლივად მუშაობენ კომპლექსურ დავალებებზე, პროექტებზე. სკოლის საზოგადოების ყველა წევრი მაქსიმალურადაა ჩართული გადაწყვეტილების მიღების პროცესში, პრაქტიკული კვლევები, გამოკითხვების, სამუშაო შეხვედრების პროცესში. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი ახორციელებს გაკვეთილზე დასწრებას. ჯგუფის მიზანი და ამოცანაა მონიტორინგისა და შეფასების სისტემის სრულყოფის გზით სკოლაში სწავლების ხარისხის ამაღლებაზე ზრუნვა, დაკვირვების შედეგად ხდება კოლეგებისათვის უკუკავშირის მიცემა, რაც არა მხოლოდ სწავლების ხარისხისთვის ზრუნვაა, არამედ ხელს უწყობს მასწავლებლის პროფესიული საჭიროებების გამოვლენას და პროფესიული განვითარების მხარდაჭერას, სკოლაში მაღალი თანამშრომლობითი კულტურის შექმნას, პოზიტიური, საქმიანი, განვითარებაზე ორიენტირებული გარემოს შექმნას. სკოლა ხელს უწყობს და ორგანიზებას უწევს სპორტულ, სახელოვნებო, საკლუბო აქტივობებსა და სასკოლო პროექტებს, არაფორმალურ განათლებას, გასვლით ვიზიტებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

პედაგოგებთან ინტერვიუს დროს, გამოიკვეთა, რომ სასკოლო საზოგადოების წევრები ჩართული არიან სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში. სკოლის თანამშრომლები მუდმივად ერთვებიან ერთმანეთის სამუშაოებში და ადვილად ახერხებენ ურთიერთდასწრებას, გამოცდილების გაზიარებას, რჩევა/რეკომენდაციების მიცემას. მასწავლებლებმა პირისპირ გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ პოზიტიური სასკოლო კლიმატის შესაქმნელად ცდილობენ წაახალისონ სამოქალაქო არაფორმალური განათლების აქტივობებსა და პროექტებში მოსწავლეთა ჩართულობა, დამრიგებლები თავიანთ ანგარიშებში წარმოაჩენენ მშობელთა ჩართულობის ფორმებსა და აქტივობებს. ეს აქტივობები სკოლას გაწერილი აქვს სასკოლო სასწავლო გეგმაში და არა მხოლოდ ერთი მიმართულებით, არამედ კომპლექსურად, იქნება ეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სწავლა-სწავლების ხარისხი, პროფესიული განვითარება, უსაფრთხო გარემო თუ სხვა. სკოლაში შექმნილია პოზიტიური სასკოლო კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე, წახალისებულია თანამშრომლობა, კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი. სწავლა- სწავლება ინტერაქტიული ფორმით მიმდინარეობს. სწავლა-სწავლების დროს, პროექტებზე მუშაობისას, კომპლექსური დავალებების შესრულების დროს აქცენტი კეთდება მოსწავლეთა წარმატებებზე და არა მარცხზე, ეს კი ხელს უწყობს მოსწავლეებში მოტივაციის ამაღლებას და საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენას. სადამრიგებლო საქმიანობა ხელს უწყობს კლასის დონეზე პოზიტიური გარემოს შექმნას, თანამშრომლობას, მოსწავლის პასუხისმგებლობისა და ვალდებულების გრძნობის განვითარებას, მოსწავლეების პიროვნულ ზრდასა და მათი ძირითადი ღირებულებების ჩამოყალიბებას, ამავე დროს, დამრიგებლის ინსტიტუტი სადამრიგებლო საქმიანობის რეფლექსიის საფუძველზე იძლევა მასწავლებლის პროფესიული ზრდის საშუალებას. სკოლას წარმოდგენილი აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, სადაც გეგმავს იმუშაოს რამდენიმე მიმართულებით, კომპლექსურად. გეგმაში გააზრებულია ამოცანები, პასუხისმგებელი პირები, შესრულების ინდიკატორები, რესურსები.

სკოლას განხორციელებული აქვს არაერთი პროექტი, მაგ. ინტეგრირებული პროექტი „დემოკრატია მულტიკულტურულ საზოგადოებაში“, რაც სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის თანამშრომლობის და ემპათიის უნარების განვითარებაზეა ორიენტირებული.მოსწავლეებს, სკოლა მოსწავლეებს ასევე სთავაზობს დამატებით საგანმანათლებლო, კლასგარეშე და სააღმზრდელო მომსახურებას, რაც პოზიტიური კლიმატის ჩამოყალიბებისკენაა მიმართული. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საგნობრივი კურიკულუმები;
- 2023-24 სასკოლო სასწავლო გეგმა;
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სადამრიგებლო პროგრამები;
- სკოლის ფბ გვერდი.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.2 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად

სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის ზოგადი ჩარჩო, სადაც გაწერილია კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასების ძირითადი პრინციპები. თანდართულ დოკუმენტებში და პედაგოგებთან ინტერვიუების საფუძველზე დასტურდება, რომ სკოლა იმუშავებს ამ მიმართულებით და დოკუმენტში უფრო კონკრეტულად ასახავს, თუ როგორ (რა საშუალებებით) განხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. სასკოლო საზოგადოებას გააზრებული აქვს, რომ კურიკულუმის განვითარება არის ციკლური პროცესი და მონიტორინგი და შეფასება ამ პროცესის განუყოფელი ნაწილია. სკოლა, ასევე, ცალსახად გამოკვეთს მონაცემთა მიზნობრიობას, მათი შეგროვებისა და ანალიზის პროცესებს, როგორ შეიძლება აისახოს მიღებული შედეგები კურიკულუმისა და სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესებისათვის, განსაზღვრავს ინდიკატორებს, რომელიც შესაძლებლობას მისცემს სკოლას გაზომოს როგორც პროცესი, რა განხორციელდა მიზნის მისაღწევად.

სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში განსაზღვრულია სასკოლო კურიკულუმის განვითარების ციკლური განვითარება, მათ შორისაა დანერგვის მონიტორინგი და შეფასება. დანერგვის მონიტორინგი სასწავლო პროცესთანაა შერწყმული და ხორციელდება კათედრისა და დირექციის თანამშრომლობით, კვლევა და შეფასება მოიცავს სამ მიმართულებას: მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებას ესგ მიმართებით, მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას სკოლის ბაზაზე და სკოლის ინსტიტუციურ განვითარებას. ჩამოყალიბებულია მიზნები და ამოცანები, ინფორმაციის შეგროვების და ვადების ფორმები, ჩართული და

პასუხისმგებელი მხარეები, კონცეპტუალური და ორგანიზაციული საკითხები, გაწერილია შესრულების მონიტორინგში მონაწილე მხარეები,მიმართულებები, ანგარიშგების პასუხისმგებლობა თითოეული მიმართულების მიხედვით. მასწავლებლებთან გასაუბრებებისას გამოიკვეთა, რომ შეფასებისთვის გამოიყენებენ როგორც განმსაზღვრელ ასევე განმავითარებელ შეფასებას, რაც დასტურდება სკოლის მიერ მოწოდებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი რუბრიკებით, სადაც მკაფიოდ არის გაწერილი, რომ მოსწავლეები შეფასდებიან გრძელვადიან მიზნებზე ცნებებზე, შედეგებზე დაყრდნობით, ასევე როგორც სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაშია აღნიშნულ სკოლაში კვლევა და შეფასება ჩატარდება და წარიმართება სამი მიმართულებით: 1. მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით, სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად 2. სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობელების გადაჭრისთვის), 3. სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას

სკოლას გააზრებული აქვს, რომ მონიტორინგი და შეფასება მნიშვნელოვანია სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერისა და დახმარებისათვის. სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის ზოგადი ჩარჩო, სადაც გაწერილია კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასების ძირითადი პრინციპები. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში და პედაგოგებთან ინტერვიუირების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ აქვთ კათედრის წევრებს შორის ურთიერთდასწრების და თანამშრომლობის პრაქტიკა. არსებობს „კრიტიკული მეგობრის“ ინსტიტუტი. დამკვირვებლის ზეპირი სიტყვიერი რეფლექსიის საფუძველზე აანალიზებენ ძლიერ და სუსტ მხარეებს. პროცესი არის გამჭვირვალე და თანამშრომლობაზე დაფუძნებული. სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის მართვის ჯგუფი, რომელიც მონიტორინგს უწევს სასწავლო პროცესს. აღნიშნულ გამოცდილებაზე დაყრდნობით მიმდინარე 2023-2024 სასწ. წლისთვის კიდევ უფრო ორგანიზებულად შეიმუშავებენ დასწრების განრიგსა და საჭიროების შემთხვევაში დავხვეწენ ურთიერთშეფასების ფორმას, რომელშიც გაწერენ გაკვეთილის დადებით და უარყოფით მხარეებს და დასახავენ გაუმჯობესების გზებს. მონიტორინგი და შეფასება ხელს შეუწყობს სკოლის მომავლის დაგეგმვას, ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებასა და ახალი შესაძლებლობების შეფასებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის ჩანაწერებში, თანდართულ დოკუმენტებში და პედაგოგებთან ინტერვიუების, აგრეთვე წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სკოლას გაცნობიერებული აქვს ის ფაქტი, რომ დაწესებულების მიერ განხორციელებული მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ანალიზში ასახული უნდა იყოს კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეები, განსაზღვრული უნდა იყოს ხელისშემშლელი ფაქტორები და არსებული შესაძლებლობები კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისათვის. სკოლა ანალიზზე დაფუძნებით შეიმუშავებს პრიორიტეტულ და სტრატეგიულ ხედვას და ასახავს სამოქმედო გეგმასა და კურიკულუმში. სასკოლო კურიკულუმის მეთოდოლოგიით სკოლაში განსაზღვრულია პრობლემების იდენტიფიკაციის მექანიზმი, რომელიც ეყრდნობა ინფორმაცის შეგროვებას და ანალიზს, კვლევის მეთოდებად გამოყენებულია სასწავლო პროცესის მონაწილეთა გამოკითხვა, ინტერვიუ, კითხვარების გამოყენება თუ სხვა. სკოლაში შემუშავებულია ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელშიც განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნები, გაწერილია ამოცანები და დაგეგმილი ინტერვენციები. ადგილზე ვიზიტისას ინტერვიუთი დასტურდება, რომ მასწავლებლები გეგმავენ, სასწავლო პროცესის მანძილზე ურთიერთთანამშრომლობით გამოკვეთონ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას წარმოშობილი პრობლემები, იმსჯელონ

გადაწყვეტის გზებზე, რათა შეფასება გახდეს რელევანტური, მოსწავლისთვის, მასწავლებლისთვის და სკოლისათვის ამ შეფასებამ მიიღოს უფრო ქმედითი ხასიათი, არსებული პრობლემა აღმოიფხვრას, სასწავლო შედეგები კი გახდეს მიღწევადი, ზრდადი და მდგრადი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- შეფასების რუბრიკები;
- კურიკულუმი;
- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის ჩანაწერებში, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში და პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას გაცნობიერებული აქვს, თუ რას ნიშნავს შეფასების ჰოლისტური ხასიათი, რომ ესაა ინტეგრირებული, ერთიანი და სისტემური მიდგომა და მოიცავს მონაცემების შეგროვებას მრავალფეროვანი მეთოდებით, მრავალი სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით. პედაგოგები საუბრისას აღნიშნავენ, რომ საუბარია მაგ. არა მხოლოდ მოსწავლის მიღწევების, მისი ცოდნისა და უნარების შეფასებაზე, არამედ მთლიანად სასწავლო პროცესის შეფასებაზე, რომელიც ემსახურება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების დიაგნოსტირებას, პრობლემების ანალიზსა და მათი მოგვარების გზების ძიებას, რაც საბოლოოდ აისახება მოსწავლის პიროვნულ და აკადემიურ განვითარებაზე. 2023 – 2024 სასწავლო წლისთვის მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში პედაგოგების მიერ მოხდება გამოკვეთილი პრობლემის შეფასებისა და მოგვარების მიზნით ინფორმაციის შეგროვება რაც შეიძლება მრვალფეროვანი წყაროებიდან. სკოლა მუშაობს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის სასწავლო პროცესზე მორგებაზე. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ მიმდინარეობს სასწავლო პროცესის და აღრიცხვის ელექტრონული ჟურნალის მონიტორინგი, რომელზეც პასუხესმგებლები არიან დირექტორის მოადგილეები. მოიტორინგი და შეფასება მიმდინარეობს სამი მიმართულებით - მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირება , სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარება და სკოლის ინსტიტუციური განვითარება. კურიკულუმის მეთოდოლოგიაში აღწერილი ციკლი, რომელიც ეტაპობრივად მოიცავს ინფორმაციის შეგროვებასა და ანალიზს, წინა წლების კურიკულუმების გადახედვას, მიზნებისა და ამოცანების ფორმირებას, კურიკულუმის შემუშავებას და დანერგვას. ყველა ეტაპზე ჩართულია სასკოლო საზოგადოება და ინფორმაციის მოპოვება ხდება მათგან მოწოდებული მასალებისა და უკუკავშირის საფუძველზე. სკოლაში მოქმედებს შეფასების ჰოლისტური სისტემა, რომელიც გულისხმობს საგნის პედაგოგების მიერ მოსწავლეთა შეფასება მოხდეს სხვადასხვა კომპონენტების

გათვალისწინებით. ინტერვიუს დროს მასწავლებლები აცნობიერებენ მოსწავლეთა თვითშეფასებას და გაკვეთილის შეფასებას, აპირებენ განმავითარებელი შეფასებისას გამოიყენენო ინფორმაციის მოკრების სხვადასხვა წყარო და ფორმა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის ჩანაწერებში, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში და პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას აქვს მზაობა, რომ მოსწავლეთა შეფასებას განახორციელებს მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, მაგალითად, მოსწავლის სწავლის პროგრესის, მისი საჭიროებების შეფასებისას მნიშვნელოვან ინფორმაციას მოიპოვებენ ყველა იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რაც მოსწავლის პროდუქტიულობაზე ახდენს გავლენას. ეს შეიძლება იყოს სახლი, სკოლა, კლასი, ეზო, სათამაშო სივრცე, კონკეტული გაკვეთილი და ა.შ. სრულყოფილი ინფორმაციისთვის აუცილებელია მოსწავლის სხვადასხვა კონტექსტში შესწავლა. სწორედ შეფასების მიზნიდან გამომდინარე განისაზღვრება კონტექსტებიც და ფოკუსიც, რაც მოცემულ კონტექსტში გვჭირდება. პედაგოგები გასაუბრებაზე აღნიშნავდნენ, რომ მოსწავლის სწვალის პროგრესის, მისი საჭიროებების შეფასებისას მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ მასწავლებლის პროფესიული მზაობა და მისი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევაც, რომლის მიზანიც იქნება შეისწავლოს რამდენად ეფექტურია მასწავლებლის მიერ შემუშავებული ინტერვენცია სწავლის შედეგების თვალსაზრისით. სკოლა გეგმავს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში აღწეროს და გაითვალისწინოს ყველა ეს ნიუანსი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები

სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის ჩანაწერებში, ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში და პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა იყენებს მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა მეთოდს - კითხვარის შევსება, ინტერვიუ მცირე ჯგუფებთან, შეხვედრები, SWOT ანალიზი და სხვ. სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია და ადასტურებს მზაობას, მასში ასახოს მონიტორინგისა და შეფასების ასპექტები, მათ შორის - რა მეთოდებს, როდის, როგორ გამოიყენებს დანერგვის პროცესის შესახებ მონაცემების შესაგროვებლად. ყველაზე ტიპური და გავრცელებული მეთოდები საგანმანათლებლო სფეროში სკოლის ბაზაზე არის ანკეტირება, გამოკითხვა, ინტერვიუ, ფოკუს-ჯგუფი, მეორად მონაცემთა ანალიზი, თვისებრივი და რაოდენობრივი დაკვირვება, ტესტირება, სამოქმედო კვლევა, ექსპერიმენტი და სხვა.

სასწავლო პროცესის შეფასება საბუნებისმეტყველო საგნებში ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით: რამდენად პოზიტიური გარემოა კლასში, დინამიურია თუ არა სასწავლო პროცესი, რამდენად ითვალისწინებს მოსწავლეთა ჩართულობას, შესაძლებლობებს. თუმცა ერთ-ერთი მთავარი კონტექსტი საბუნებისმეტყველო დისციპლინების სწავლებისას მოსწავლის დაინტერესებაა. კურიკულუმი და შერჩეული აქტივობები უნდა იწვევდეს მოსწავლის დაინტერესებას და შინაგანი მოტივაციის ამაღლებას; საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდგენილია კონტექსტ-მაგალითები და მაგალითები შედარებისათვის, რომელიც მასწავლებლის ერთ-ერთი ეფექტური იარაღია, ასევე მნიშვნელოვანია რესურსების სათანადოდ შერჩევა და ზრუნვა განახლებისათვის. ინტერვიუზე დაყრდნობით იკვეთება, რომ მასწავლებლები საბაზო საფეხურზე გეგმავენ და ახორციელებენ მოსწავლეზე ორიენტირებულ სწავლებას, ეხმარებიან სასწავლო მიზნების მიღწევაში, ურთერთთანამშრომლობით აგროვებენ ინფორმაციას ეფექტიანი სასწავლო სტრატეგიების შესახებ, რამაც ხელი შეუწყო მოსწავლეს აღმოეჩინა საკუთარი მიგნება და თავად აეგო ცოდნის ახალი კონსტრუქტი. მასწავლებლებისთვის საინტერესოა კლასის პროფილის, საკლასო კლიმატის დადგენა და მათ ზეგავლენის შეფასება სწავლებისას. მასწავლებლები ცდილობენ, დაგეგმონ და წარმართონ სასწავლო პროცესი მოსწავლეებისათვის ნაცნობი კონტექსტებით, რეალური ცხოვრებისეული მაგალითების მოშველიებით, დაუკავშირონ გრძელვადიან მიზნებს, ხელი შეუწყონ მოსწავლის კრიტიკულ და შემოქმედებით აზროვნებას. აღნიშნული მონაცემები ქმნის შეფასების მრავალფეროვან კონტექსტს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

მასწავლებლებს აქვთ გააზრებული, რომ მოსწავლეზე, მის სასწავლო სიტუაციაზე, გარემოებაზე გავლენას ახდენს, არა მხოლოდ უშუალო გარემომცველი მიკროსისტემა, არამედ ფაქტორთა მთელი რიგი სხვადასხვა სისტემებიდან: ოჯახი, ჯანდაცვა, ფასეულობები, ტრადიციები და ა. შ. თვითშეფასების ანგარიშშიც აღნიშნავენ, რომ ყველა ზემოთ აღნიშნული გათვალისწინებული იქნება მომდევნო სასწავლო წელს. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით, პედაგოგებთან გასაუბრებით, აგრეთვე, წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში ასახული ინფორმაციით გამოიკვეთა, რომ მოსწავლის შეფასება ხდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. პედაგოგები მოსწავლის თვითშეფასების ასამაღლებლად იყენებენ უმეტესად ზეპირსიტყვიერ განმავითარებელ უკუკავშირს, მშობლებთან წერილობით და ზეპირ უკუკავშირს მოსწავლის წარმატებასთან დაკავშირებით და სხვ. 2023 – 2024 სასწავლო წელს კათედრა გეგმავს, სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული შეფასების სისტემა იყოს უფრო მეტად კომპლექსური, მულტიფაქტორული, რომლის დროსაც მოხდება მოსწავლის აკადემიური და ფუნქციური უნარების ანალიზი. მულტიფაქტორული მიდგომა კი გულისხმობს, მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას, ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირებას და ა.შ. იგივე შეიძლება ითქვას, სკოლაში მიმდინარე ნებისმიერი პროცესისა თუ მოვლენის შეფასებისას. პედაგოგებს კარგად ესმით, რომ მნიშვნელოვანია, გათვალისწინებულ იქნას დრო და სივრცე, მოქმედი ფაქტორები, ყველაფერი, რასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს შედეგზე. ინტერვიუდან დგინდება, რომ მასწავლებლები მოსწავლის შეფასებისას იყენებენ მოსწავლეზე მოქმედ სხვადასხვა ფაქტორს, მის შესაძლებლობებს, უნარებს, ჯანმრთელობის ან ემოციურ მდგომარეობას, ინტერესთა სფეროს, გამოცდილებას, ინტელექტს, არსებულ სიტუაციას და სხვა. მასწავლებლები აღიშნავენ, რომ შეფასებისას ცდილობენ, გაითვალისწინონ სხვადასხვა კონტექსტებიც, მაგ: მოსწავლის საუბრის ტემპს, მისთვის დათმობილ დროს, მხარდაჭერას, წახალისებას, ეფექტურ და მიზნობრივ უკუკავშირს, ასევე სხვა მრავალ ფაქტორს, რასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს მოსწავლის სწავლების შედეგზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- შეფასების რუბრიკები;
- კურიკულუმი;
- კომპლექსური დავალების სრული(ინსტრუქციით) ნიმუშები;
- 2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმა.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

3. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
4. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი

სკოლის პედაგოგებთან გასაუბრებისას და წარმოდგენილი კურირულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის ჩანაწერში იკითხება, რომ კურიკულუმის განვითარების ძირითადი პრინციპები დაკავშირებულია სასკოლო და საგნობრივი კურიკულუმების გადასინჯვისა და რევიზიის პროცესთან. მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით კურიკულუმის განახლება მოხდება ყოველწლიურად მთელი წლის განმავლობაში შეგროვებული მონაცემების საფუძველზე. სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწვეტილებები მიღებულ იქნება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე. კათედრების წევრებთან ინტერვიუს დროს აღნიშნული იყო, რომ კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია განხორციელდება კათედრის სხდომებზე, სადაც წევრები გაცვლიან კურიკულუმის დანერგვისა და განხორციელების შესახებ მონაცემსა და გამოცდილებას. მონაცემების შეჯერების საფუძველზე შეიქმნება რეკომენდაციების პაკეტი მომდევნო წლისთვის წარმოდგენილი სასკოლო კურიკულუმის განვითარებისთვის და დაგეგმვის პროცესში მიღებული მიგნებები და რეფლექსიის შედეგები გააზრებული და გაზიარებული იქნება სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

რჩევა: საბუნებისმეტყველო - სასურველი იქნებოდა მასწავლებლის, დამრიგებლის, კათედრის ხელმძღვანელის, ხარისხის ჯგუფის წევრის ანგარიშებში კონკრეტული კითხვების შეტანა (მაგ: რა გამოცდილება დამიგროვდა სასწავლო წლის მანძილზე? როგორ გამოვიყენო ეს გამოცდილება სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისათვის? კურიკულუმის გასავითარებლად? საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის გასაუმჯობესებლად? რა უნდა გავითვალისწინო ახალი წლის დაგეგმვისას: ადმინისტრაციის,კათედრის, კოლეგის, მოსწავლის, მშობლის დონეზე? როგორ გავაზიარო პასუხისმგებლობა ამ გამოცდილების გათვალისწინებაზე სასკოლო საზოგადოებაში? რამდენად დამეხმარა/დავეხმარე კოლეგის უკუკავშირი? და სხვა). აღნიშნულ კითხვებზე პასუხი შექმნიდა კურიკულუმის მხარდამჭერ საჭიროებათა პაკეტს, რომელიც გაზიარდებოდა სასკოლო საზოგადოებაში, შექმნიდა ერთგვარ გზამკვლევს.

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. სკოლის თვითშეფასების ანგარიშიდან ჩანს, რომ სკოლაში მოქმედ კურიკულუმებში ასახული იყო სკოლის პრიორიტეტები, მოქმედ კურიკულუმებს საფუძვლად ედო ინტერაქცია, დაგეგმილ პროცესებსა და რეალიზებულ პროცესებს შორის. რაც გადამუშავებული სახით აისახა ახალი სასწავლო წლის კურიკულუმებში. აგრეთვე, დოკუმენტში ჩანს, რომ სკოლას აქვს ხედვა, როგორ უნდა იყოს ჩართული კურიკულუმის რევიზიის პროცესში სასკოლო საზოგადოება და რა მიმართულებით გაანალიზდება რევიზიის შედეგები. კათედრის წევრებმა ინტერვიუს დროს დაადასტურეს ზემოთ აღნიშნული მიდგომების მიმართ მზაობა და აღნიშნეს, რომ გააგრძელებენ მუშაობას ამ კუთხით. მიღებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით კურიკულუმის გადამუშავებული ვერსიის მონიტორინგის აქტივობებს დააკვირდება და მონიტორინგს გაუწევს ხარისხის განვითარების ჯგუფი.

2.4.1.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
მტკიცებულება:
კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Tamar Odzelashvili
Digitally signed by Tamar Odzelashvili
Date: 2023.08.24

1/12/2023 წ.